# არსენალი

1425
2011

№26 (147). 23 დეკემბერი, 2011 წ. — 5 იანვარი, 2012 წ. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.

გილოცავთ დამდეგ 2012 წელს!

ამერიკელები იარაღს მოგვყიდიან, მაგრამ რითი ვიყიდოთ?!



2011 წლის სამხედრო მოვლენების მიმოხილვა

ყოფილმა კაპრალმა თავდაცვას მოუგო

ეროვნული ბიბლიოთეკა



საჰაერო დესანტი ირანში... შეცდომით

48



ბომბები ბუნკერების ასაფეთქებლად

41




ამერიკული სატანკო ექსპერიმენტები

30

პირველ ჩინურ ავიამზიდში ქართული წილიცაა

17





100 დიდი მხედართმთავარი — ალფრედ დიდი

46

სტალონეს „კობრას" ფინური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი




53

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


კალეიდოსკოპი

4 სამხედრო სიახლეები

წლის ანალიზი

7 2011 წლის სამხედრო მოვლენების მიმოხილვა

სკანდალი

12 ყოფილმა კაპრალმა თავდაცვას მოუგო

გარღვევა

14 ამერიკელები იარაღს მოგვყიდიან, მაგრამ რითი ვიყიდოთ?!

სიურპრიზი

17 შავიდან ყვითელ ზღვაში, ანუ პირველ ჩინურ ავიამზიდში ქართული წილიცაა

საზღვაო პოლიტიკა

19 დიდი საზღვაო „თამაშები“ შავ ზღვაში

საიდუმლო ფრონტი

22 რუსეთ-საქართველო: ჯაშუშომანიის მორიგი წრე იწყება?

რეგიონი

26 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა

ტანკმშენებელი ქვეყნები

30 ამერიკული ჯავშანტექნიკა — სატანკო ექსპერიმენტების პერიოდი

ინოვაციური ტექნოლოგიები

35 „შავი ყუთის“ საიდუმლო

სპეცდანაყოფები

38 სამხრეთაფრიკული სპეცრაზმი: წარმატებული ოპერაციის მძიმე საზღაური

საავიაციო შეიარაღება

41 ბომბები ბუნკერების გასანადგურებლად

ნადირობა

44 თუ ნადირობა არ იცი, სანადიროდ არ უნდა წახვიდე

100 დიდი მხედართმთავარი

46 ალფრედ დიდი

სამხედრო ისტორიები

48 როგორ გადასხა მოსკოვმა საჰაერო დესანტი ირანში შეცდომით...

„არსენალის“ იარაღის მაღაზია

53 სტალონეს „კობრას“ ფინური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი


გარეკანზე: ბრიტანული მრავალდანიშნულების შვეულმფრენი Lynx-II

27901

პალიტრა მედია

## რედაქციისგან

მიილია კიდევ ერთი, 2011 წელი, რომლის განმავლობაში „არსენალსა“ და მის მკითხველს ერთმანეთისთვის არ უღალატიათ. „არსენალის“ რედაქცია მთელი წლის განმავლობაში ცდილობდა ერთგული მკითხველისთვის საინტერესო მასალები მიეწოდებინა. რა თქმა უნდა, უნებლიეთ შეცდომაც მოგვდიოდა, მაგრამ ჩვენი სურვილი იყო სამხედრო საქმით დაინტერესებულ, საქართველოს სიყვარულით აღგზნებულ პატრიოტებს მეტი გაეგოთ, თუ რა საფრთხეები ემუქრება ჩვენს სამშობლოს და რა არის საჭირო მის დასაცავად. გვერწმუნეთ, მაშინ როდესაც თავდაცვის სამინისტრო თვითიზოლირებული იყო საზოგადოების უდიდესი ნაწილისგან და ლამის ჩაკეტილ უწყება-სახელმწიფოდ იქცეს, ძალიან ძნელია, ახალი, თუნდაც მხოლოდ დადებითი ინფორმაციის მოწოდება ქართულ არმიაზე. იმედია, „არსენალისა“ და მისი მკითხველის თანამშრომლობა მომავალ წელსაც პროდუქტიულად გაგრძელდება და 2012 წელს ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვლება საქართველოს რეალობაში.

ძვირფასო მკითხველო,
გილოცავთ ახალ 2012 წელს!


მთავარი რედაქტორი
ირაკლი ალადაშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორი
თემურ ჩაჩანიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დათო მოსიაშვილი

ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი“
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 238-26-74; 238-26-73



რედაქციის დაუკითხავად
მასალების გადაბეჭდვა
აკრძალულია



გადაცემულია დასაბეჭდად
19.12.2011

გაზეთ „კვირის პალიტრის“
დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49
ტელ: 238-83-07 (121)

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 237-78-07; 238-78-70
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
პარასკევს


საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ჭკვიანი ყუმბარა" მხოლოდ მტერს აფეთქებს



ამერიკელ სამხედროებს ახალი თაობის „ჭკვიანი" ყუმბარის შექმნა სურთ, რომელიც მხოლოდ მაშინ აფეთქდება, თუკი ახლომახლო მშვიდობიანი მოსახლეობა არ იქნება. ერთგვარი ყუმბარა-უპილოტო მომაკვდინებელ მისიას იმ შემთხვევაში შეასრულებს, თუ საფრთხე სამოქალაქო პირებს ან „თავისიან" მეომრებს არ დაემუქრება.

ახალი იარაღის მთავარი თავისებურება სპეციალურ სისტემაშია, რომლის დახმარებითაც მსროლელი-ოპერატორი ყუმბარის გასროლისა და ფრენის განსაზღვრულ რეჟიმში გადასვლის შემდეგ მისი ფრენის ტრაექტორიის გაკონტროლებას შეძლებს.

„ჭკვიან ყუმბარას" სავარაუდოდ, 40-მმიანი ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნიდან გაისვრიან და 965 მეტრს ის 10 წამში დაფარავს. მასზე დამონტაჟებული მინიატიურული ინფრაწითელი ვიდეოკამერით ოპერატორი ადგილმდებარეობას დაზვერავს და თავის ტერმინალზე GPS-კოორდინატებს მიიღებს.

ახალი ყუმბარა მეომრებს საშუალებას მისცემს, მაგალითად, შენობის ნებისმიერი სართულის ფანჯარაში სტყორცნონ ის და შემდეგ იქაურობა დაათვალიერონ. თუკი იქ მოწინააღმდეგე აღმოჩნდება, მაშინ ოპერატორი აფეთქების ბრძანებას გასცემს, ხოლო მშვიდობიანი ადამიანების გამოჩენის შემთხვევაში დეტონატორი გამოირთვება.

# ფრანგულ-იტალიური ანტისარაკეტო სისტემა ბალისტიკურ რაკეტას გაუმკლავდა

საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა წარმატებით გამოცადეს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა SAMP/T, რომელმაც 1000 მ/წმ სიჩქარით მფრინავი ბალისტიკური რაკეტა 10 კმ-ის მანძილიდან გაანადგურა. ცდების დროს ბალისტიკური რაკეტის იმიტაციას გამანადგურებლის ბორტიდან გაშვებული სამიზნე ასრულებდა. მთლიანად ექსპერიმენტის ამოცანა კი მოდერნიზებული P-17 „სკადის" ტიპის სარაკეტო კომპლექსიდან შემოტევის იმიტირება და მასთან გამკლავება იყო.

სისტემა SAMP/T-მა პერსპექტივაში შეიარაღებული ძალები საფრთხეების ფართო სპექტრისგან, მათ შორის ბალისტიკური რაკეტებისა და მასობრივი განადგურების იარაღისგან უნდა დაიცვას.

ფრანგი და იტალიელი მეცნიერების ერთობლივი ნამუშევარი მომავალი წლის ზაფხულიდან საფრანგეთის გარეთ დისლოცირებული შენაერთების დაცვას უზრუნველყოფს.

SAMP/T-ი არაერთი უნიკალური მახასიათებლით გამოირჩევა, მათ შორის აღსანიშნავი კი სწრაფი რეაქცია და სროლის მაღალი ტემპია — 10 წამში 8 გასროლა. ამ დროისთვის საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალებს 7 ასეთი სისტემა აქვს, იტალიის არმიას კი — 3.



# ამერიკელებმა „შავ პარასკევს" რეკორდული რაოდენობის იარაღი იყიდეს



მას შემდეგ, რაც გამოძიების ფედერალური ბიურო შესაბამის სტატისტიკას აწარმოებს, წლევანდელ „შავ პარასკევს" (დიდი ფასდაკლებების ტრადიციული დღე ამერიკულ მაღაზიებსა და სავაჭრო ცენტრებში) აშშ-ში რეკორდული რაოდენობის ცეცხლსასროლი იარაღი გაიყიდა. როგორც ირკვევა, 2011 წლის 25 ნოემბერს ამერიკის იარაღის მაღაზიებში მსურველებმა 126166 სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი შეიძინეს. აქამდე რეკორდული 2008 წელი იყო, როცა ამ მაჩვენებელმა 97848 ერთეული შეადგინა.

გამოძიების ფედერალური ბიუროს ცნობით, შარშანდელთან შედარებით, ამერიკელებმა 32%-ით მეტი რაოდენობის იარაღი იყიდეს. მნიშვნელოვნად გაზრდილია იმ პირთა რიცხვი, ვინც იარაღი პირველად შეიძინეს. მოსახლეობაში იარაღის მოთხოვნის გაზრდის მიზეზებს ბიუროს სპეციალისტები ჯერჯერობით ვერ ხსნიან.

## გატეხე საიტი და დასაქმდი ბრიტანეთის კიბერდაზვერვაში!




სოციალურ ქსელებში: „თვითერსა“ და „ფეისბუკში“ აქტიურად ვრცელდება საიტის სახით წარმოდგენილი თამაში Can you crack it („სცადე ამის გატეხა“). მის პირველ და ერთადერთ გვერდზე ერთი შეხედვით უაზროდ დახარისხებული, ასო-ციფრისგან შედგენილი 160 წყვილი და კოდური სიტყვის ჩასაწერი ველია გამოსახული.

ისინი, ვინც ამოცანას ამოხსნიან, გამოიცნობენ კოდურ სიტყვას, ანუ „გატეხენ საიტს“, საზოგადოებისთვის უცნობები დარჩებიან. ამბობენ, რომ ამ უჩვეულო თავსატეხის დამკვეთი თვით ბრიტანეთის კიბერდაზვერვის ცენტრის საიდუმლო განყოფილებაა (GCHQ).

მართალია, ოფიციალურად არავინ იძლევა იმის გარანტიას, რომ ამოცანის ამომხსნელს უმალ საიდუმლო სამსახურში სამუშაოდ მიიწვევენ, თუმცა, ასეთი ეჭვის არსებობისთვის ყველა პირობაა — ამ სამსახურმა სულ ახლახან უწყებაში კვალიფიციური კადრების დეფიციტზე დაიჩივლა.

თანაც, ბრიტანულ დაზვერვას თავსატეხების მეშვეობით თავისი რიგები ნიჭიერი კადრებით ადრეც შეუვსია. მეორე მსოფლიო ომის დროს ხელისუფლებამ და შესაბამისმა უწყებამ გაზეთ „დეილი ტელეგრაფში“ განცხადება გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, დაზვერვის სამსახურში მუშაობის დაწყების მსურველებს სპეციალური კროსვორდი 12 წუთში უნდა შეევსოთ.

## ნაჩუქარ ტანკს კბილი არ გაესინჯება?!

საბერძნეთის თავდაცვის სამინისტრო აშშ-ის შეთავაზებას დათანხმდა და უსასყიდლოდ M1A1 Abrams-ის ტიპის საბრძოლო ტანკებს უსასყიდლოდ მიიღებს.

საბერძნეთს აშშ-ის არმიის საცავებში ნევადაში დაკონსერვებული 400 ტანკი გადაეცემა და სანაცვლოდ ბერძნები მხოლოდ ტრანსპორტირებისთვის საჭირო თანხას — რვა მილიონ ევროს გადაიხდიან.

სხვათა შორის, ამერიკელები თავისთვის უსარგებლო ტანკებს ბერძნებს უსასყიდლოდ უკვე მეორედ სთავაზობენ. პირველად ეს 2010 წელს მოხდა, თუმცა, მაშინ საბერძნეთის თავდაცვის სამინისტრომ შეთავაზებაზე უარი თქვა. ახლა კი ქვეყანაში შექმნილი ფინანსური კრიზისით გამოწვეული საბიუჯეტო პრობლემების გამო, იძულებულია, საჩუქარი მიიღოს.

ნაჩუქარი ამერიკული ტანკები ნაომარია და 1990-91 წლებში სპარსეთის ყურეში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდნენ.



## ლიბიაში კადაფის დროინდელ საზენიტო კომპლექსებს ანადგურებენ



ლიბიაში ხუთი ათასზე მეტი გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი და რაკეტა გააუვნებლეს, რომელიც მუამარ კადაფის მმართველობის დროს ქვეყნის არმიას შეიარაღებაში ჰქონდა. ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ენდრიუ შაპირომ განაცხადა, რომლის თქმით, ლიბიაში კიდევ ათასამდე მსგავსი კომპლექსი NATO-ს დაბომბვების დროს განადგურდა.

კადაფის რეჟიმის დამხობის შემდეგ უკონტროლოდ დარჩენილი რაკეტები სამოქალაქო ავიაციისთვის პოტენციურ საფრთხედ განიხილება და ერთობლივი ამერიკელ-ლიბიელ გამნალმველთა ჯგუფი რამდენიმე თვეა მათ მოძიებასა და გაუვნებლებაზე მუშაობს.

აღსანიშნავია, რომ ლიბიაში სამოქალაქო ომის დაწყებამდე ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა მოსახლეობაში 20 ათასამდე საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი გაავრცელეს. შესაბამისად, არსებობს საფრთხე, რომ ეს იარაღი „ალ-ქაიდის“ ხელში აღმოჩნდეს.

# ახალი მცურავი საშუალება ერთბაშად საბრძოლო ხომალდი და წყალქვეშა ნავია



LIMA-2011-ის გამოფენაზე კომპანია DCNS-მა საკმაოდ თამამი პროექტი — უნიკალური მცურავი საშუალება წარმოადგინა, რომელსაც წყალზევით ხომალდივით და წყალ ქვეშ კი სუბმარინის დარად სვლა შეუძლია. SMX-25-ის მსგავსი ხომალდი აქამდე არასდროს აგებულა და ის სრულიად ახალი ტიპის მცურავი საშუალებაა და უნიკალური შესაძლებლობებით გამოირჩევა.

ცნობისთვის, წყლის ზედაპირზე მცურავი თანამედროვე ხომალდების საბრძოლო ღირსება სვლის დიდი მარაგი, მძლავრი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა, მაღალი სიჩქარე და ბორტზე უპილოტო და პილოტირებადი საფრენი აპარატების მიღების უნარია. სამაგიეროდ, ხომალდები ადვილი შესამჩნევია და საჰაერო თავდასხმებისგან ყოველთვის დაცული არ არიან. მათგან განსხვავებით, წყალქვშა ნავები უკეთ „იმალებიან“ და რაკეტებისგანაც, ასე თუ ისე, უფრო საიმედოდ დაცული არიან. სანაცვლოდ სუბმარინები დაბალი სიჩქარით გამოირჩევიან და თანაც საგემბანო ავიაციის გამოყენების შესაძლებლობას მოკლებული არიან.

და აი, პირველად სწორედ პროექტი SMX-25 გააერთიანებს ხომალდისა და წყალქვეშა ნავის ღირსებებს ერთ მცურავ საშუალებაში. ის სწრაფად დადის წყლის ზედაპირზე და საჭიროების შემთხვევაში მოწინააღმდეგეს წყალქვეშ დაემალება. მისი ინოვაციური კორპუსი სამხედრო ხომალდისთვის აუცილებელ ყველა საშუალებას დაიტევს: რადარებს, ოპტიკურ სენსორებს, კავშირის თანამგზავრულ და სხვა სისტემებს, სარაკეტო შეიარაღების სხვადასხვა კომპლექსს, უპილოტო საფრენ აპარატებს და სხვ. SMX-25-ის მთელი შეიარაღება და აღჭურვილობა ჰერმეტულ შახტებსა და საცავებში განთავსდება.

# ახალი „სამთვალა“ წესრიგს „წიწაკის“ ქვემეხით დაიცავს

მსოფლიოში გაფიცვებისა და საპროტესტო აქციები თუ არ მატულობს, არც მცირდება. შესაბამისად, წესრიგის აღდგენისა და ადამიანთა მასის გაკონტროლების ჰუმანური და ეფექტური მეთოდების მოსაძიებლად სამართალდამცველებსაც უხდებათ საპასუხო ზომების მიღება, — ასეთი არგუმენტი აქვთ სკუტერ T3 NLRV-ის მწარმოებლებს, რომლებმაც სამბორბლიანი ელექტროსკუტერის ბაზაზე ახალი „სწრაფი რეაგირების არამომაკვდინებელი სატრანსპორტო საშუალება“ წარმოადგინეს.

„პოლიციურ სამთვალას“ ორი არალეტალური, პნევმატური იარაღი მოჰყვება, წუთში 700 გასროლით. სავარაუდოდ, იარაღისთვის ტყვიები რეზინის, „წიწაკის“, წყლის ან საღებავის იქნება.

„სამთვალა“ ასევე აღჭურვილია შუქდიოდური სტრობოსკოპით, აკუსტიკური სისტემით, ვიდეორეგისტრატორითა და დაუფუშავი ბორბლებით. კრიტიკულ ვითარებაში სამართალდამცველებს მისი გამოყენება ფარადაც შეეძლებათ.




# შიშველი მოდელის სხეულზე პაკისტანის დაზვერვის აბრევიატურას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა

პაკისტანელი მსახიობისა და მოდელის ვინა მალიკის მიერ ჟურნალ FHM-ის ინდური ვერსიისთვის გადაღებულ ფოტოსესიას სკანდალი მოჰყვა, — გარდა იმისა, რომ მომხიბვლელი მუსლიმანი ქალი ჟურნალის გარეკანზე შიშველია გამოსახული, სხეულზე აქვს აბრევიატურა ISI, რაც პაკისტანის დაზვერვის სამსახურის (Inter-Service Intelligence) აღმნიშვნელია.




ინდოეთში მცხოვრები ვინას საქციელს მის სამშობლოში დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა და მოდელმაც თავი უმალ იმართლა, ფოტოსურათი ჟურნალმა ჩემს დაუკითხავად გამოაქვეყნაო. რაც შეეხება პაკისტანის დაზვერვის აბრევიატურას, ლამაზმანის თქმით, ეს ინდოეთის საზოგადოებაში გავრცელებული შეხედულების დაცინვა იყო, რომელიც ქვეყნის ყველა პრობლემას პაკისტანის დაზვერვას მიაწერს.



# 2011 წლის სამხედრო მოვლენების მიმოხილვა

**ბინ ლადენის ლიკვიდაცია, ლიბია კადაფის გარეშე, რუსული „ტოჩკები" და „ბურატინოები" ოკუპირებულ ცხინვალსა და სოხუმში, დარბეული ომის ვეტერანები და არმიიდან გაყრილი ოფიცრები, NATO-ს „ღია კართან" ლოდინი და მოსკოვისთვის სომხეთისკენ ჩაკეტილი ცა, რეზერვისტების მზადება და ოთხჯერ გაზრდილი ჯარისკაცების რიცხვი...**

2011 წელი არანაკლებ სავსე იყო სამხედრო მოვლენებით, ვიდრე გასული წლები. სხვა თუ არაფერი, წელს დაიწყო და ჯერ კიდევ არ დამთავრებულა „არაბული რევოლუციები", რომლებიც დიდი სისხლის ღვრით გამოირჩევა.

საქართველოს რეალობაში აღარ იყო ისეთი დაძაბული ზაფხული, როგორიც 2009 წელს, აგვისტოს ომის წლისთავზე, როდესაც ყველა ელოდა საბრძოლო მოქმედებების განახლებას რუსეთთან, თუმცა მთელი წლის განმავლობაში მოსკოვი აძლიერებდა თავის საოკუპაციო სამხედრო ბაზებს ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში.

და რაც მთავარია, 2011 წელს აშშ-მა ბოლოს და ბოლოს, ფიზიკურად გაანადგურა უსამა ბინ ლადენი, ის, ვინც მიჩნეული იყო 2001 წლის 11 სექტემბრის ყველა გრანდიოზული ტერორისტული აქტის ორგანიზატორად, რის გამოც დაიწყო ომი ავღანეთში, რომელიც უკვე 10 წელია მიმდინარეობს.

## მსოფლიოს N1 ტერორისტის ლიკვიდაცია

უსამა ბინ ლადენის, მსოფლიოს ცნობილი ტერორისტის, ლიკვიდაცია 2011 წლის 2 მაისს პლანეტის მთავარ სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენად იქცა. ეს მარტო იმან კი არ განაპირობა, რომ ბინ ლადენის ხელმძღვანელობით 2011 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში ტერორისტული აქტების გამო 3 ათასზე მეტი კაცი დაიღუპა, არამედ სწორედ მისი ლიკვიდაციისა და „თალიბანის" განადგურების მიზნით დაიწყო ათწლიანი ომი ავღანეთში, რომელსაც ბოლო არ უჩანს.

ბევრს გაუჩნდა იმედი, რომ ბინ ლადენის ლიკვიდაცია დააჩქარებდა ავღანეთში ომის დასასრულს, მაგრამ ეს, ალბათ, არ მოხდება. პირიქით, დასავლეთის კოალიცია, და პირველ რიგში აშშ ყოველდღიურად იუარესებს ურთიერთობას ამ ომში მთავარ პარტნიორთან — პაკისტანთან. რჩება შთაბეჭდილება, რომ თუკი დასავლეთის კოალიცია 2014 წელს მართლაც დატოვებს ავღანეთს, ადგილობრივი ხელისუფლება მარტო დიდხანს ვერ გაძლებს და ქვეყნის ხელისუფლებაში ისევ „ალ-ქაიდა" და „თალიბანი" მოვლენ, როგორც ეს ერთხელ უკვე მოხდა გასული საუკუნის 90-იან წლების დამდეგს, ავღანეთიდან საბჭოთა არმიის გასვლის შემდეგ.



ბინ ლადენზე შურისძიებას ამერიკა 10 წელი ელოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



არაბული სამყარო სამოქალაქო ომების კვამლმა გადაფარა

## „არაბული რევოლუციები“ და უკადაფოდ დარჩენილი ლიბია

ეგვიპტე, იორდანია, სირია, ლიბია, — აი, ის არასრული ჩამონათვალი, სადაც 2011 წელს „არაბულ რევოლუციებად“ მონათლულმა მოვლენებმა, ფაქტობრივად კი ადგილობრივმა სამოქალაქო ომებმა იფეთქა. ამ სახელმწიფოების ხანდაზმული მმართველები, რომლებიც პრეზიდენტის სავარძელს ბოლო 30-40 წელი არ ტოვებდნენ, სახალხო მრისხანების წინაშე აღმოჩნდნენ.

ქალაქების ქუჩებში გაჩაღებულ ბრძოლებს, ერთი მხრივ, პოლიციასა და სამხედროებს, ხოლო, მეორე მხრივ, შეიარაღებულ ოპოზიციას შორის ათასობით კაცი შეეწირა.

ეგვიპტეში ხალხში საპროტესტო გამოსვლები შედარებით მალე დამთავრდა, ხელისუფლება სამხედროებმა აიღეს და ექსპრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქს ასამართლებენ, მაგრამ კვლავ დაძაბულია მდგომარეობა სირიაში, რომლის პრეზიდენტი ბაშარ ასადი არ თმობს ხელისუფლებას და არმიას მოსახლეობას უსევს.

ლიბიის ტრაგიკული მოვლენები ნამდვილად ცალკე გამოსაყოფია, რადგან მუამარ კადაფის რეჟიმის სამხედრო ძალით დამხობაში აშკარად მონაწილეობდა NATO. სწორედ ის ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, რომლის ზოგიერთი წევრი ქვეყნების (მათ შორის — იტალიისა თუ საფრანგეთის) პრეზიდენტები ერთი წლით ადრე კადაფის ძმობას ეფიცებოდნენ და თანამედროვე შეიარაღებას სთავაზობდნენ საყიდლად.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ფრანგული „რაფალები“ კადაფის რეჟიმის სამხედრო ობიექტებს ბომბავდნენ 2011 წლის ზაფხულში, მაშინ, როდესაც 2009-10 წლებში პრეზიდენტი სარკოზი იმავე „რაფალებს“ კადაფის სთავაზობდა.

დიდი გაჭირვებით, მაგრამ შეიარაღებულმა ამბოხებულებმა დასავლეთის მხარდაჭერით მაინც მოახერხეს კადაფის რეჟიმის დამხობა, ხოლო თავად კადაფი საშინელი წამებით მოკლეს, შეიძლება სწორედ იმიტომაც, რომ ცოცხალი კადაფი არ ალაპარაკებულიყო თუნდაც იმ საინტერესო თემებზე, რომლებზეც ზემოთ ვწერდით.

ისევ გაურკვეველია სირიაში ვითარება, რომელსაც დასავლეთმა საერთაშორისო სანქციები დაუწესა. არ არის გამორიცხული, რომ სირიაშიც გათამაშდეს „ლიბიის ვარიანტი“ და ამბოხებულთა მხარეზე გარეშე ძალები ჩაერთონ ბრძოლებში. შეიძლება ეს არა NATO, არამედ არაბული ქვეყნების კოალიცია იყოს, მაგრამ ფაქტია, პრეზიდენტ ასადის რეჟიმს დიდი დღე არ უწერია.

ლიბიის მოვლენებში მოსკოვი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა და კრემლს არ სურს იგივე სირიის შემთხვევაშიც განმეორდეს. ამიტომაც რუსეთმა სირიის სანაპიროსკენ თავისი ერთადერთი ავიამზიდი გაგზავნა, რომლის ფაქტორმაც, პუტინ-მედვედევის აზრით, არ უნდა დაუშვას ამერიკული ან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ავიაციის გამოყენება სირიის რეჟიმის წინააღმდეგ, როგორც ეს ლიბიაში გაკეთდა.

## ერაყის ომის დასასრული

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ერაყში სამხედრო მოქმედებები ოფიციალურად დაამთავრა და ბოლო სამხედრო ბაზა გადასცა ადგილობრივ ხელისუფლებას. დამთავრდა თითქმის 9-წლიანი ომი, რომელიც 2003 წლის მარტში დაიწყო იმ მოტივით, რომ სა-

ერაყი უკანასკნელმა ამერიკელმა სამხედროებმა დატოვეს



არმიიდან ის ოფიცრები გაყარეს, ვისაც თავის დროზე რუსეთის სამხედრო აკადემიებში უსწავლია(?!)



დამ ჰუსეინს მასობრივი განადგურების იარაღი ჰქონდა.

ჰუსეინის „ქიმიური რაკეტები“ ბლეფი აღმოჩნდა, თუმცა ეს საუკეთესო საბაბი გახდა სადამ ჰუსეინის რეჟიმის დასამხობად, რასაც 4487 ამერიკელი სამხედრო შეეწირა, 32226 კი დაიჭრა. დაიღუპა 80 ათასამდე ადგილობრივი მცხოვრები, ორჯერ მეტი კი დაიჭრა.

ვინ მოიგო ამ ომით? ალბათ, იმ საერთაშორისო კორპორაციებმა, რომლებმაც ერაყულ ნავთობზე კონტროლი ჩაიგდეს ხელში და რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ აშშ-ის ხელისუფლებასთან. სამაგიეროდ, ერაყი „კრაზანების ბუდეს“ დაემსგავსა, სადაც კვირა არ გავა, ტერორისტული აქტი არ მოხდეს. სადამ ჰუსეინი არსად აჭაჭანებდა რადიკალურ ისლამურ დაჯგუფებებს, მათ შორის „ალ-ქაიდას“, ახლა კი „ალ-ქაიდას“ ადგილობრივი დაჯგუფებები ქვეყნის ყველა რეგიონს მოედენენ.

ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ ერაყმა, ფაქტობრივად, დაკარგა გავლენა ქურთებით დასახლებულ ჩრდილოეთ რეგიონზე და ქვეყანა რთული ეკონომიკურ-პოლიტიკური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა.

ერაყის ომმა ნეგატიურად იმოქმედა საქართველოზეც. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ერაყში 2000-მდე სამხედრო იყო გაგზავნილი. ეს სწორედ იმ პირველი ქვეითი ბრიგადის მთავარი ბირთვი იყო, რომელიც პირველი უნდა ჩართულიყო ომში, მაგრამ პოლიტიკურ და სამხედრო დაგეგმარებაში დაშვებული საბედისწერო შეცდომების გამო, იმ დროს სამშობლოდან ათასი კმ-ის მოშორებით აღმოჩნდა...

ერაყის ომმა რამდენიმე ქართველი სამხედრო შეიწირა, ათობით დაიჭრა (ამ სტატიის ავტორმაც თავის თავზე განიცადა, თუ რას ნიშნავს ერაყის გზაზე თავდასხმა), მაგრამ ყველაზე ცუდი ის არის, რომ ერაყში ქართული არმიის დანაყოფებმა ვერ მიიღეს ის საბრძოლო გამოცდილება, რომელსაც წარმატებით გამოიყენებდნენ 2008 წლის აგვისტოს ომში (2003 წლის ზაფხულიდან 2008 წლის ზაფხულამდე ერაყში მივლინება გაიარა საქართველოს შეიარაღებული ძალების რამდენიმე ათასმა სამხედრო მოსამსახურემ).

## საზოგადოებისგან დახურული თავდაცვა და გამოყრილი ოფიცრები

მსოფლიო დონის სამხედრო მოვლენებიდან ქართულ რეალობაში გადმოვინაცვლოთ.

თავდაცვის მინისტრმა ბაჩო ახალაიამ შეძლო ის, რაც თავის დროზე ვერ მოახერხა ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა, — საზოგადოებისგან მთლიანად მოწყვიტა და ჩაკეტა თავდაცვის სამინისტრო და შეიარაღებული ძალები.

ფაქტობრივად, დღეს თავდაცვის სამინისტრო სახელმწიფო სახელმწიფოშია და მისი მინიპრეზიდენტი — თავდაცვის მინისტრი გავლენით თვით ვანო მერაბიშვილსაც არ ჩამოუვარდება, რადგან თავისი სპეცსამსახური ჰყავს.

წლის განმავლობაში ლაპარაკი იყო თავდაცვის მინისტრ ბაჩო ახალაიას სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორად გადაყვანაზე, რაც არ გამართლდა, ხოლო პოლიტიკურ ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილის მოულოდნელად (ხელისუფლებისთვის) გამოჩენის შემდეგ, პრეზიდენტი სააკაშვილი, ალბათ, ვეღარ შეელევა ახალაიას თავდაცვის მინისტრობას. შეიარაღებულ ძალებსა და თავდაცვის სამინისტროში მომსახურე სამ ათეულ ათასამდე სამხედრო და სამოქალაქო პირი რეალური ამომრჩეველია, რომელთა ხმების გარანტირებულ მიღებას ხელისუფლება კანონიერი თუ უკანონო საშუალებებით შეეცდება.

2011 წელი ქართული არმიისთვის ტრაგედიითა და სკანდალებით დაიწყო. 11 იანვარს კრწანისის სასწავლო ცენტრში სასწავლო სროლებისას ნაღმსატყორცნის ლულაში შეცდომით ორი ნაღმის ჩადებამ აფეთქება გამოიწვია. ტრაგიკულ შემთხვევას სამი არტილერისტი შეეწირა, 13 კი დაიჭრა. მოგვიანებით ამ სისხლიანი ინციდენტის გამო სამი ოფიცერი გაასამართლეს და ყველაზე მეტი პოლკოვნიკ მამუკა ფარეშიშვილს მიუსაჯეს იმის გამო, რომ ნაღმსატყორცნებს არ ჰქონდა დაყენებული ორმაგი დატენისგან დამცავი მექანიზმი. პოლკოვნიკმა ფარეშიშვილმა არ აღიარა დანაშაული, გასაოცარი კი ის არის, რომ ავღანეთში გაგზავნილი ქართველი არტილერისტები დღესაც დამცავი მექანიზმის გარეშე ისვრიან ნაღმსატყორცნებს.

ზემოხსენებულ ტრაგედიამდე რამდენიმე დღით ადრე იმავე კრწანისის სასწავლო ცენტრში გადამზადებაზე მყოფი ეროვნული გვარდიის 100-მდე სამხედრო მოსამსახურე ერთდროულად დაითხოვეს. თვითმხილველების თქმით, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ ამ გვარდიელებს მობილური ტელეფონებით საუბრები დიდ დანაშაულად ჩაუთვალა და უხეშად აიძულა სამსახურის დატოვება. შეიძლება მობილური ტელეფონი მხოლოდ მიზეზი იყო და თავდაცვის სამინისტროს პირველი პირები საბაბს ეძებდნენ ეროვნულ გვარდიაში მორიგი „წმენდის“ ჩასატარებლად.

ასეთი „წმენდები“ მთელი წელი გრძელდებოდა და შეიარაღებული ძალებიდან ასობით ოფიცერი დაითხოვეს ისე, რომ არც მისცეს საშუალება სრულფასოვანი სამხედრო პენსია მიეღოთ.

დათხოვნილთა ნაწილს ბრალად ის დასდეს, რომ მათ რუსეთის სამხედრო აკადემიებში ისწავლეს, — ნორმალურ ქვეყანაში ეს მისასალმებელი იქნებოდა, თუკი ოფიცრებმა სავარაუდო (სამი წლის წინ კი რეალური) მოწინააღმდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



„დიდგორები“ ჯერჯერობით მხოლოდ სააღლუმო პიარად რჩებიან...

გის სამხედრო აკადემიებში მისი არმიის ტაქტიკური თუ სტრატეგიული მოქმედებები გაიცნეს და მათ დააწინაურებდნენ კიდეც.

## NATO-ს „ღია კართან“ ლოდინი

განვლილ 2011 წელს აქტუალურობა არ დაუკარგავს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს შესაძლო გაწევრების თემას. ხელისუფლება ტრადიციულად ოპტიმისტურად იყო განწყობილი და მოსახლეობას არწმუნებდა, რომ NATO-ს კარი ისევ ღიაა საქართველოსთვის. საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილს კი უკვე იმედი გაუცრუვდა, რადგან მუდმივად იმის მოსმენა, რომ NATO მზადაა საქართველოს მისაღებად, საქმით ჯერჯერობით არ მტკიცდება.

ძალზე მნიშვნელოვან მოვლენად იქცა თბილისში NATO — საქართველოს კომისიის სხდომა და იქ თავად NATO-ს გენერალური მდივნის, ანდერს ფოგ რასმუსენის დასწრება. რასმუსენმა არცთუ ორაზროვანი განცხადება გააკეთა — NATO დააკვირდება საქართველოში ჩასატარებელ ორ უახლოეს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტს, არის თუ არა საქართველო მზად დემოკრატიულობის ხარისხის თვალსაზრისით ალიანსში გასაწევრებლადო.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ უახლოეს ორ წელიწადში ეს პერსპექტივა არ არსებობს. თუმცა, 2012 წლის მაისში ჩიკაგოს სამიტზე თბილისი შეეცდება MAP-ის მიღებას. თუ ეს მოხდა, ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, თუმცა, ამის დიდი შანსი არა გვაქვს.

## ქართველები ავღანეთში

ავღანეთში ISAF-ის ოპერაციაში ქართული სამხედრო კონტინგენტის მონაწილეობა 2011 წელს ტრაგიკული შემთხვევებით აღინიშნა და დაღუპული ქართველ სამხედროთა რიცხვმა 10-ს მიაღწია. თავდაცვის სამინისტრო კვლავ გულმოდგინედ მალავს, რამდენი ქართველი სამხედრო დაიჭრა ავღანეთში, სავარაუდოდ, მათმა რაოდენობამ უკვე გადააჭარბა 40-50 კაცს.

წლის ბოლოს პრეზიდენტმა წამოაყენა ინიციატივა, ავღანეთში კიდევ ერთი ქართული ქვეითი ბატალიონის გაგზავნის შესახებ. თუ მართლაც ასე მოხდა, მაშინ 2012 წელს საქართველოს ISAF-ის ოპერაციაში საერთო ჯამში 1700-მდე სამხედრო ეყოლება და ის პირველი გახდება NATO-ს იმ არაწევრ ქვეყნებს შორის, ვისაც ავღანეთში სამხედრო კონტინგენტები ჰყავს გაგზავნილი.

შეიძლება ეს საეჭვო პირველობა პრეზიდენტისა და ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის საამაყო იყოს, მაგრამ ის არ ექვემდებარება ლოგიკას, რადგან დღეს ავღანეთიდან სამხედრო დანაყოფები სხვა ქვეყნებს (მათ შორის — აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, კანადასა და სხვ.) გაჰყავთ.

ზოგი ამის გამართლებას იმით ცდილობს, რომ რაც მეტ სამხედროს გავგზავნით ავღანეთში, მით უფრო დაჩქარდება საქართველოს NATO-ში გაწევრებაო. ეს მოსაზრება, რომ არასწორია, თავად NATO-ს გენერალურმა მდივანმა რასმუსენმა დაამტკიცა, როდესაც ვიზიტით მყოფმა განაცხადა, ავღანეთში ქართული სამხედრო კონტინგენტის ზრდა პირდაპირ კავშირში არ არის თქვენი ქვეყნის ალიანსში გაწევრებასთანო.

გაზრდილი ქართული სამხედრო კონტინგენტი მძიმე ტვირთად დააწვება ქვეყნის ბიუჯეტს. ამასთან 1700-მდე მებრძოლი შეიძლება დააკლდეს საქართველოს დამცველებს, თუკი რუსეთმა განაახლა საბრძოლო მოქმედებები საქართველოში. 2008 წლის აგვისტოში ეს მწარე შეცდომა ხელისუფლებამ დაუშვა, როდესაც მოწინააღმდეგე ქართულ სოფლებს აწიოკებდა, 2000-მდე ქართველი მებრძოლი კი ათასი კმ-ის დაშორებით ერაყულ სოფლებს იცავდა.

## ამერიკული კრეისერები ბათუმში და ანტისარაკეტო სისტემა

ბათუმისა და ფოთის პორტებს 1996 წლიდან არაერთი უცხოური სამხედრო ხომალდი სტუმრებია ოფიციალური ვიზიტით, მაგრამ 2011 წელს საქართველოს ტერიტორიულ წყლებში სამი ამერიკული სარაკეტო კრეისერის სტუმრობა აბსოლუტურად სხვა დონის მოვლენა გახლდათ. „ტიკონდეროგას“ კლასის ამ კრეისერებზე დამონტაჟებულია „იჯისის“ ტიპის მრავალფუნქციური საბრძოლო საინფორმაციო-მართვის სისტემები, რომლებიც ევროპაში ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემის მთავარი კომპონენტებია.

ერთი წუთითაც რომ წარმოვიდგინოთ, რომ ასეთი კრეისერები ქართულ

სანაპიროსთან იდრეიფებენ, მაშინ მათი ანტისარაკეტო სისტემა საქართველოს საჰაერო სივრცეს 200 კმ სიღრმეში გააკონტროლებს და დაიცავს.

## „დიდგორი“ და 40 ნაჩუქარი „ჰამვი“

2011 წლის 26 მაისის აღლუმზე თავდაცვის სამინისტრომ ორი მოდიფიკაციის რვა ჯავშანმანქანა „დიდგორი“ წარადგინა. მათი პრეზენტაცია უფრო პომპეზურად იყო დაგეგმილი, მაგრამ აღლუმამდე რამდენიმე საათით ადრე რუსთაველის პროსპექტზე სამაგალითოდ დარბეულმა მიტინგმა გეგმაში კორექტივი შეიტანა.

მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვის სამინისტრო ჯიუტად ცდილობდა, დაემტკიცებინა, თითქოს „დიდგორი“ მთლიანად საქართველოში იყო აწყობილი, რეალობა სხვა რამეზე მეტყველებდა: „დიდგორი“ ამერიკული „ფორდის“ პიკაპის ძარაზე საზღვარგარეთ ნაყიდი ჯავშნისა და ჯავშანმინების, ექსკლუზიანი უცხოური ტყვიამფრქვევების დამონტაჟებით შეიქმნა. მაგრამ ამაში სამარცხვინო არაფერია, რადგან ეს მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა, უბრალოდ რატომ სურდათ „დიდგორი“ მთლიანად ეროვნულ ნაწარმად მოენათლათ, ალბათ, სახელმწიფო პიარის რეპერტუარიდან იყო. პიარზე მეტად მნიშვნელოვანი ის იყო, აღლუმის შემდეგ ინტენსიურად გამოეცადათ „დიდგორების“ როგორც გამავლობა, ისე ჯავშნის მდგრადობა და დაეწყოთ მისი, თუნდაც მცირე სერიით წარმოება და ყოველივე ეს არ დარჩენილიყო მხოლოდ სააღლუმო პიარად.

წელი მთავრდება, მაგრამ „დიდგორების“ რიცხოვნობა ისევ სააღლუმოა და სავარაუდოდ მათი სრულყოფილი გამოცდაც არ ჩატარებულა.

სანამ „დიდგორის“ ბედი გაირკვეოდა, ამერიკულმა მხარემ ქართულ არმიას უსასყიდლოდ გადასცა „ჰამვის“ ტიპის 40 შეჯავშნული ავტომობილი, რომლებითაც ავღანეთში გასაგზავნი ქართველი სამხედროები ემზადებიან. მართალია, ავღანეთში ქართველი მებრძოლები „ჰამვიზე“ უფრო დაცული სხვა ტიპის ჯავშანმანქანებით დადიან, მაგრამ „ჰამვები“ კიდევ გამოგვადგება.

## რუსული საოკუპაციო ბაზების გაძლიერება

მე-4 (ცხინვალის რეგიონი) და მე-7 (აფხაზეთი) რუსული საოკუპაციო ბაზების გაძლიერების პროცესი მთელი 2011 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. იგებოდა ახალი ყაზარმები და ფარეხები, მწყობრში დგებოდა პოლიგონები და საკონტროლო-გამშვები პუნქტები, მაგრამ რაც ჩვენთვის სახიფათოა, მიმდინარეობდა ამ ბაზების გადაიარაღება ახალი საბრძოლო ტექნიკით.

საოკუპაციო ბაზებში გამოჩნდა რუსეთის არმიის შედარებით თანამედროვე შეიარაღება — T-90A ტიპის ტანკები, БТР-82A ჯავშანტრანსპორტიორები, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები „სმერჩები“, ზალპური რეაქტიული ცეცხლისმფრქვეველები „ბურატინოები“, საზენიტო-სარაკეტო სისტემები С-300-ები და ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსები Точка-У-ები.

ეს ის ძირითადი შეიარაღებაა, რომლითაც რუსეთს NATO-ს დაშინებაც შეუძლია, რომ აღარაფერი ვთქვათ პატარა საქართველოზე.

რუსეთის სამხრეთ სამხედრო ოლქის გადაიარაღება და გაძლიერება იმაზე მიუთითებს, რომ მოსკოვში არ გამორიცხავენ სამხრეთის მიმართულებით საბრძოლო მოქმედებებს, მათ შორის სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება ირანს.

**სიტუაცია ისე ვითარდება, რომ ირანის ფაქტორმა შეიძლება გააჩინოს ახალი შეიარაღებული კონფლიქტის კერა, რომელზეც ზეგავლენას რუსეთი სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან შეეცდება.**

## რეზერვისტების მომზადება და ჯარისკაცთა რიცხვის ოთხჯერ გაზრდა

აგვისტოს ომის შემდეგ, 2011 წელს, ინტენსიურად დაიწყო რეზერვისტთა ახალი პროგრამით მომზადება. ამ პროცესებზე თავად რეზერვისტებს განსხვავებული აზრი აქვთ, — ბევრი კმაყოფილია, ზოგსაც პრეტენზია აქვს კვებასა თუ მომზადებაზე.

სარეზერვო ბანაკებშიც სხვადასხვა პირობა იყო. ყველაზე მეტი სირთულით ალგეთში, შუა უდაბნოში გახსნილი სარეზერვო ბანაკი გამოირჩეოდა.

ერთ-ორკვირიან შეკრებაზე რეზერვისტები (მით უმეტეს ისინი, რომლებსაც სამხედრო ფორმა არასდროს სცმიათ და ავტომატი ხელში არ სჭერიათ) ბევრს ვერაფერს ისწავლიდნენ, მაგრამ მთავარია, როგორ გაგრძელდება მათი სარეზერვო ბატალიონების შემდგომი მომზადება.

სარეზერვო სისტემით მომზადება აუცილებელია ჩვენისთანა რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში მყოფი ქვეყნისთვის, მაგრამ ისეც არ უნდა მოხდეს, რომ აქცენტი მხოლოდ რეზერვისტთა რაოდენობაზე გაკეთდეს და არა მომზადების ხარისხზე და სარეზერვო შეკრებები ფულის გათეთრების ერთ-ერთ მორიგ საშუალებად იქცეს.

სანამ რეზერვისტები ყვითელი ავტობუსებით ბანაკებში მიჰყავდათ, პრეზიდენტის განკარგულებით გასულ წელთან შედარებით თითქმის ოთხჯერ გაიზარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გასაწვევ პირთა რაოდენობა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ თავდაცვის სამინისტრომ ლოგისტიკის (ზურგის) დანაყოფებში კონტრაქტით მომსახურეები სავალდებულო სამხედრო სამსახურებში გაწვეულებით შეცვალა, ხოლო შსს-მ და სასჯელაღსრულებითმა სისტემამ გააძლიერეს ობიექტებისა და ციხეების გარე პერიმეტრების დაცვა.

გარდა ამისა, დადის ხმა, რომ 2012 წლიდან სავალდებულო სამხედრო სამსახური ორწლიანი ხდება.

**2011 წელი როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოშიც სამხედრო მოვლენების სიუხვით გამოირჩეოდა. მნიშვნელოვანი იყო, რომ ქვეყანა წლის განმავლობაში არ ჩაუთრევიათ სამხედრო პროვოკაციაში.**

**2012 წელი ამ მხრივ შეიძლება უფრო სახიფათო გამოდგეს, რაც ზოგიერთ პოლიტიკურ მოვლენას (მათ შორის რუსეთში საპრეზიდენტო და საქართველოში საპარლამენტო არჩევნებს) დაუკავშირდება.**

*ირაკლი ალადაშვილი*



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ყოფილმა კაპრალმა თავდაცვას მოუგო

## 15 წუთის დაგვიანებისთვის 38 ათასი?

**ყოფილმა სამხედრომ თავდაცვის სამინისტროსთან სასამარლო დავა მოიგო. ვის და რატომ გაახსენდა 3 წლის წინ დათხოვნილი კაპრალი?**

25 ნოემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ თავდაცვის სამინისტროს საჩივარი უსაფუძვლობის მოტივით არ დააკმაყოფილა და ძალაში დატოვა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის უპრეცედენტო გადაწყვეტილება.

თავდაცვის სამინისტროსა და ყოფილ სამხედრო მოსამსახურე რამაზ იმერლიშვილს შორის სასამართლო დავა რამდენიმე თვის წინ დაიწყო. 2008 წელს სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ კაპრალს თავდაცვის სამინისტრო კონტრაქტის დარღვევაში ადანაშაულებდა და მიყენებული ზარალის — 38 ათასი ლარის გადახდას ითხოვდა.

3 წლის წინ სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი ახალგაზრდის ოჯახმა მოულოდნელად შეიტყო ამ დავის ამბავი. თავად რამაზი საქართველოში არ იმყოფება და 27 წლის სამხედროს დედამ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურისტს, იამზე მემარნიშვილის შვილის უფლებათა დაცვაში დახმარება სთხოვა.

მართალია, იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე სასამართლო წარმომადგენლობის უზრუნველყოფას არ ითვალისწინებს, მაგრამ იურისტმა სასოწარკვეთილი დედა დახმარების გარეშე არ დატოვა და სოციალურად დაუცველ მოქალაქეს შესაგებებელი სარჩელი მოუმზადა.

**სრულიად შემთხვევით, მასალების შესწავლის დროს, ადვოკატმა საქმეში უპრეცედენტო ფაქტი აღმოაჩინა. მართალია, ყოფილ სამხედროს ხელშეკრულების პირობების დარღვევას ედავებოდნენ, მაგრამ მას კონტრაქტზე ხელი მოწერილი არ ჰქონდა.**

ალბათ, წარმოუდგენელია, როგორ შეიძლებოდა პირს სამხედროში ემსახურა და კონტრაქტზე ხელი არ ჰქონოდა მოწერილი, მაგრამ ეს სასამართლოზეც დადასტურდა და სწორედ ამ საფუძვლით უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ოჯახი ჯარიმის დაკისრებას გადაურჩა.

იმ დღეს რამაზ იმერლიშვილის საქმესთან ერთად, ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ 11 ყოფილი სამხედრო პირის საქმე განიხილა. თითოეულს თავდაცვის სამინისტრო კონტრაქტის პირობების დარღვევას ედავებოდა. ყველა სხვა დავა სამინისტრომ მოიგო.

მართალია, მოსამართლეებმა თავდაცვის სამინისტროს სარჩელები ნაწილობრივ დააკმაყოფილეს, მაგრამ ყოფილ სამხედრო პირებს სოლიდური თანხების გადახდა დაეკისრათ.

„საკმაოდ დიდ თანხებს ითხოვდა სამინისტრო, თითოეულისთვის სხვადასხვა ოდენობის თანხა იყო დაანგარიშებული, როგორც ვიცი, ყველაზე მცირე, 20 ათასი ლარია, ზოგიერთის ჯარიმა კი 50 ათასი ლარიც არის. ეს გადაწყვეტილებები კანონიერ ძალაში უკვე შევიდა.

**ჩვენ ვეცადეთ, გაგვერკვია, როგორ დაიანგარიშეს ჯარიმები, მაგრამ იმდენად ბუნდოვანია, რომ დადგენა ვერ შევძელით. იმ 11 ყოფილი ჯარისკაცისგან უმრავლესობა სოციალურად დაუცველია, ნაწილი საშუალო ფენაა, შეუძლებელია, ამხელა თანხები გადაიხადონ.**

ყველას, ვინც მომავალში სამხედროში სამსახურს აპირებს, ვურჩევთ, გულდასმით, იურისტის დახმარებით გაეცნოს იმ ხელშეკრულებას, რასაც

ხელს აწერენ, რომ შემდეგ ასეთ მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ და 15 წუთით დაგვიანების გამო სამინისტრომ კოლოსალური თანხის გადახდა მათგანაც არ მოითხოვოს“, — აღნიშნა ადვოკატმა იამზე მემარნიშვილმა, რომელმაც რამაზის საქმე გაგვაცნო.

**იამზე მემარნიშვილი:** — რამაზს მამა გარდაცვლილი ჰყავს, დედა — ინვალიდია. ორი ძმები არიან. ოჯახი სოციალურად დაუცველთა ბაზაშია. უმუშევრად დარჩენილმა 27 წლის ბიჭმა 2008 წელს სამხედრო სამსახურში შესვლა გადაწყვიტა და თბილისში მსახურობდა. სულ სამი თვე იყო ჯარში. ერთ დღეს დედა ცუდად გახდა და მისი წამლების საყიდლად წასულს, ნაწილში მისვლა 15 წუთით დააგვიანდა. სწორედ ეს ერთჯერადი დაგვიანება გახდა მისი სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი და ოფიციალური ბრძანების დაწერამდე მან არმია დატოვა. მერე იყო რუსეთთან ომი და 3 წლის შემდეგ, 2011 წელს, საქმე აღიძრა და თავდაცვის სამინისტრომ მისთვის ჯარიმად 38.000 ლარის დაკისრება მოითხოვა.

**— 3 წელი რატომ დასჭირდა საქმის აღძვრას?**

— კონტრაქტზე დავის აღძვრას სამწლიანი ვადა აქვს, მერე ხანდაზმულად ითვლება და მხარე ვერ იდავებს. როცა საჩივარი სასამართლოში შეიტანეს, სწორედ იმ დღეს გასდიოდა ვადა. მანამდე ეს რამაზი მშვიდად იყო, მისთვის არავის მოუკითხავს და ვერც წარმოედგინა ასეთი რამ. 3 წლის შემდეგ გაიგო, რომ სამოქალაქო წესით ედავებოდნენ. ჯარიდან დათხოვნის შემდეგ რამაზი სამუშაოდ თურქეთში წავიდა, რომ ოჯახი ერჩინა. ამიტომ მისმა დედამ მოგვმართა დახმარებისთვის.

**— ერთხელ დაგვიანება გახდა მისი ჯარიდან გათავისუფლების საფუძველი?**

— დიახ. სხვა არგუმენტი რომ ჰქონოდა თავდაცვის სამინისტროს იურისტს, სასამართლოზე აუცილებლად წარმოადგენდა. ხელშეკრულებაში დევს ასეთი პირობა, რომ დაგვიანების გამო შესაძლებელია პირი დაითხოვონ. ვფიქრობ, თავად ხელშეკრულებაა გადასახედი, ასეთ დროს პირი ხომ შეიძლება გააფრთხილო ან საყვედური გამოუცხადო? მართალია, სამხედროა და შეიძლება ამ 15 წუთში ბევრი რამ მოხდეს, მაგრამ, როცა ომი, საგანგებო მდგომარეობა არ არის, ხომ შეიძლება სხვა ზომას მიმართო? საგანგებო მდგომარეობა რომ ყოფილიყო, მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც შეიძლებოდა დამდგარიყო, მაგრამ ასეთი მდგომარეობა იმ დროს არ ყოფილა.

**— რამაზს ხელშეკრულებაზე ხელი არ ჰქონია მოწერილი. ეს როგორ მოხდა?**

— ეს შემთხვევით აღმოვაჩინე. საქმეში იდო ხელმოუწერელი ხელშეკრულება, შესაბამისად, ვაცხადებთ, რომ ის კონტრაქტის პირობებს არ იცნობდა. სამხედრომ უნდა იცოდეს თავისი მოვალეობები, მაგრამ ეს იურიდიულად არ დასტურდებოდა და ეს გახდა პროცესის მოგების საფუძველი.

**— რა არგუმენტები ჰქონდა თავდაცვის სამინისტროს?**

— ოზურგეთის სასამართლოში მოსამართლემ სთხოვა მათ წარმოედგინათ ხელშეკრულება, რომელზეც ორივე მხარეს ხელი მოწერილი ექნებოდა, მაგრამ ვერ წარმოადგინეს. თავდაცვის სამინისტრომ გადაწყვეტილება გაასაჩივრა და საჩივარში მიუთითა, მართალია, არ არსებობდა ხელშეკრულება, მაგრამ რამაზ იმერლიშვილი ხომ იყო სამხედრო პირი და თავისთავად ევალებოდა იმ პირობების დაცვა, რაც ხელშეკრულებით განსაზღვრულიაო.

როცა გაასაჩივრეს, სიმართლე გითხრათ, შემეშინდა, დოკუმენტი არ გაეყალბებინათ და სხვა პირის ხელმოწერილი ხელშეკრულება არ შემოეტყუებინათ, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს არ მოხდა.

ბუნებრივია, ეს უკვე დოკუმენტის გაყალბება იქნებოდა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი გახდებოდა, ამ რისკზე ალბათ, ვერ წავიდნენ. რომ სცოდნოდათ, ყოფილ სამხედროს ადვოკატი არ ჰყავდა, შესაძლოა, დოკუმენტი გაეყალბებინათ კიდეც.

მეორე ინსტანციაში მოსამართლე ითხოვდა, თავდაცვის სამინისტროს რამე წარმოედგინა ხელჩასაჭიდი, რათა მათი სასარგებლო გადაწყვეტილების მიღების საფუძველი ჰქონოდა, მაგრამ ეს ვერ შეძლეს.

მოსამართლემ უამრავი კითხვა დაუსვა სამინისტროს წარმომადგენლებს, უამრავი დოკუმენტი მოითხოვა, მაგრამ ამაოდ. დარწმუნებული ვარ, მოსამართლეს მცირეოდენი საფუძველიც რომ ჰქონოდა, სამინისტროს მოთხოვნას დააკმაყოფილებდა.

ეს მართლაც პირველი შემთხვევაა, როცა თავდაცვის სამინისტროს პროცესი ყოფილმა ჯარისკაცმა მოუგო. ამ სამართლიანი გადაწყვეტილებით ერთი სოციალურად დაუცველი ოჯახი გადავარჩინეთ. არადა, შესაძლებელი იყო დაეყადაღებინათ რამაზ იმერლიშვილის დედის სახლი. ახალი კანონით, აღმასრულებელს უფლება აქვს აუქციონზე გაიტანოს ის სახლი, სადაც პირი წლების განმავლობაში ცხოვრობს და შეუძლია იმ ქონებიდან მისი წილი გაყიდოს.

სამწუხაროდ, მოსამართლეები გადაწყვეტილების გამოტანის დროს არ ითვალისწინებენ, თუ როგორ უნდა გადაიხადოს ოჯახმა ამხელა თანხა.

**— რატომ ითხოვდნენ 38 ათას ლარს?**

— ეს 8-გვერდიანი, ძალიან გაუგებარი ხელშეკრულებაა. კონკრეტულად არ არის მითითებული, პირს რა დარღვევისთვის რა ჯარიმა ეკისრება. დაანგარიშებული ჰქონდათ მის მომზადებაში დახარჯული თანხები, ამას ემატებოდა პირგასამტეხლოს პროცენტები, — ყველაფერი შეკრიბეს და თქვეს, 38 ათასი ლარი გამოვიდაო.

გასაგებია, რომ სამხედროს წვრთნისთვის სახსრები დაიხარჯა, მაგრამ სულ 3 თვე იმსახურა და ამხელა თანხის გადახდის მოთხოვნა შეუსაბამოდ მიმაჩნია. დღემდე ვერ ჩავწვდი, როგორ ჰქონდათ გამოთვლილი ეს თანხები და მგონი, ამას ვერც მოსამართლე მიხვდა.

ამიერიდან, სანამ კონტრაქტს ხელს მოაწერენ, ჯობს კონსულტაცია გაიარონ მომავალმა სამხედროებმა. დეტალები რომ ეცოდინებათ, ალბათ, არც დაარღვევენ წესებს.

ვფიქრობ, სპეციალისტები უნდა დაინტერესდნენ კონტრაქტის დეტალებით და უნდა გაირკვეს, რამდენად ეთანხმება ის კანონს. ეს დეტალები რომ იცოდნენ, შეიძლება ბევრმა არც მოაწეროს ხელი კონტრაქტს.

თავდაცვის სამინისტროს იურისტები ვალდებული არიან აუხსნან კონტრაქტორებს, რას იწვევს თითოეული პუნქტის დარღვევა. 15-წუთიანმა დაგვიანებამ შეიძლება სამხედრო მოსამსახურის 50.000 ლარით დაჯარიმება გამოიწვიოს. სამწუხაროდ, მოქალაქეები კანონსაც ცუდად იცნობენ და ამის გამო ხშირად ზარალდებიან. ალბათ, წარმოუდგენელი იყო თავდაცვის სამინისტროსთვის, რომ არ იარსებებდა ხელმოწერილი დოკუმენტი, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ჩვენ გამოვიკვლიეთ და პროცესი მოვიგეთ. ჩვენი დავა ხელშეკრულების დეტალების გარკვევამდე არ მისულა, რადგან ხელმოწერილი ხელშეკრულება არ არსებობდა.

*თეა ხურცილავა*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ამერიკელები იარაღს მოგვყიდიან, მაგრამ რითი ვიყიდოთ?!

## კრემლმა იმდენჯერ იძახა, პენტაგონი ქართულ არმიას აიარაღებსო, რომ აშშ-ის სენატმა მართლაც მოიწონა ამერიკული შეიარაღების საქართველოსთვის მიწოდება

აშშ-ის სენატმა მხარი დაუჭირა ქვეყნის 2012 წლის სამხედრო ბიუჯეტს 662,5 მილიარდი დოლარის ოდენობით.

ეს მსოფლიოში ყველაზე დიდი სამხედრო ბიუჯეტია, მაგრამ ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, თუ რა წერია ამ ბიუჯეტის 1224-ე მუხლში, რომელიც საქართველოსთან თავდაცვის სფეროში თანამშრომლობას ეხება.

ამ მუხლში ლაპარაკია აშშ-სა და საქართველოს შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის ნორმალიზაციაზე, ასევე რაც უმნიშვნელოვანესია, საქართველოსთვის ამერიკული შეიარაღების მიყიდვასა და მის ექსპლუატაციაში დახმარებაზე.

ამერიკული იარაღის თემა მუდმივად აქტუალური იყო, ხოლო 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ მან დიდი პოლიტიკური დატვირთვაც შეიძინა.

აგვისტოს ომის დროს რუსეთი ყველანაირად ცდილობდა მსოფლიოსთვის ეჩვენებინა, რომ ქართულ არმიას სწორედ აშშ აიარაღებდა. ამისთვის დასჭირდა რუსეთის სამხედრო დაზვერვას სპეციალური ოპერაციის ჩატარება, რათა ფოთის პორტის სავაჭრო ტერმინალიდან გაეტაცებინა რამდენიმე ამერიკული „ჰამვი“ და იქ მყოფი ქართველი სამხედროების ჯგუფი. „ჰამვები“ მანამდე ვაზიანში გამართულ საერთაშორისო სამხედრო სწავლებაში მონაწილეობდნენ და ფოთის პორტიდან მათი უკან გატანა იყო დაგეგმილი, ანუ ისინი ქართულ არმიას არ ეკუთვნოდა. „ჰამვები“ დღესაც მოსკოვთანაა განთავსებული და აშშ ამაოდ ცდილობს მათ დაბრუნებას, რადგან რუსი სამხედროები ამ მანქანებს ნაალაფრად მიიჩნევენ.



თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ათას M4 ტიპის ავტომატურ კარაბინს, რომლებიც საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ აშშ-ში ერთ-ერთი კერძო ფირმისგან შეიძინა აგვისტოს ომამდე, სხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღი, რაკეტები ან ქვემეხები აშშ-ისგან ქართულ არმიას არ მიუღია.

ომის შემდგომ რუსეთის პოლიტიკური ზეწოლის გამო საქართველოსთან სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა თითქმის ყველა იმ ქვეყანამ შეწყვიტა, რომელთაგან უპრობლემოდ ვყიდულობდით საბრძოლო ტექნიკას. მათ შორის ერთ-ერთი ისრაელი იყო, რომლის

**ფოთიდან ამერიკული „ჰამვების“ მოტაცებით მოსკოვი იმის დამტკიცებას ცდილობდა, რომ ქართულ არმიას აშშ აიარაღებდა...**



ქართული არმიის ამერიკული M4-ები რუსი ოკუპანტების ნაალაფარში

მოწოდებული „პითონის" ტიპის საზენიტო რაკეტების ნარჩენები რუსებმა ცხინვალთან საბრძოლო მოქმედების ზონაში აღმოაჩინეს.

ისრაელსა და რუსეთს შორის ერთგვარი საიდუმლო გარიგება შედგა, — რუსეთი აღარ მიაწვდიდა საზენიტო-სარაკეტო C-300-ებს ირანს, ხოლო ისრაელი კი შეწყვეტდა საქართველოსთვის ასევე საზენიტო-სარაკეტო „სპაიდერების" მიყიდვას.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან კი რუსეთმა დიპლომატიური ზეწოლის პოლიტიკა აირჩია, რასაც დაემატა პრეზიდენტ მედვედევის ბრძანება ეკონომიკური სანქციების დაწესების შესახებ იმ ქვეყნებსა და კერძო ფირმებზე, ვინც საქართველოს შემტევი დანიშნულების შეიარაღებას მიჰყიდდა.

აშშ-ზე კრემლი ვერც დიპლომატიურ ზეწოლას მოახდენდა და ვერც აუკრძალავდა საქართველოსთან სამხედრო თანამშრომლობას, მაგრამ აქ უკვე დიდმა პოლიტიკამ ითამაშა როლი, — აშშ-ის სათავეში მოსულმა დემოკრატებმა პრეზიდენტ ობამას ხელმძღვანელობით დაიწყეს ე. წ. გადატვირთვის პროგრამა, რომელშიც არ ჯდებოდა საქართველოსთვის იარაღის მიყიდვა.

მართალია, აგვისტოს ომის შემდგომ აშშ-მა ქართულ არმიას 40 „ჰამვი" აჩუქა და ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორებიც მუშაობდნენ საქართველოში, მაგრამ ეს აიხსნებოდა ავღანეთში გასაგზავნი ქართული სამხედრო კონტინგენტის მომზადების აუცილებლობით.

ამერიკელმა სენატორებმა, მათ შორის — რესპუბლიკელებმა და ცნობილმა სენატორმა მაკ-კეინმა, არაერთხელ სცადეს გაეტანათ კანონი, რომელიც საქართველოსთან უფრო მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობას გულისხმობდა.

ამერიკელი სამხედრო სპეციალისტები ქართველი სამხედროებისგან იღებდნენ ინფორმაციას, თუ რა საფრთხე ემუქრებოდა საქართველოს და რა ტიპის შეიარაღება სჭირდებოდა ქართულ არმიას, მაგრამ ყველაფერი მაინც ლაპარაკად რჩებოდა.

სამაგიეროდ, რუსი პოლიტიკოსები თუ ექსპერტები ბრალად სდებდნენ საქართველოს, რომ მის გადაიარაღებას აშშ აგრძელებს და თითქოსდა ქართული არმია უფრო გაძლიერდა.

საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ მათი ცრუბრალდებები შეიძლება მართლაც გამართლდეს, მას შემდეგ, რაც კონგრესმა მოიწონა ამერიკული შეიარაღების საქართველოსთვის მიყიდვის პროცესის გამარტივება.

საქართველოზე არ მოქმედებს რაიმე სახის საერთაშორისო სანქცია (მაგალითად, გაეროს უშიშროების საბჭოსი), რომელიც ხელს შეუშლიდა ჩვენთვის იარაღის მოყიდვას. თეორიულად ქართულ არმიას შეუძლია შეისყიდოს ყველა კლასისა და ტიპის საბრძოლო ტექნიკა, გარდა 300 კმ-ზე შორი მოქმედების რადიუსის რაკეტები და მასობრივი განადგურების იარაღი.

ჩვენი სავარაუდო მოწინააღმდეგე და მისი მოქმედების ტაქტიკა, ფაქტობრივად, ცნობილია, — ეს არის რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები, რომლებიც საბრძოლო წარმატების მიღწევას საავიაციო და ჯავშანტექნიკის



საზენიტო „სტინგერი" თუ ტანკსაწინააღმდეგო „ჯაველინი" თავისი მაღალი ფასებით „იკბინებიან"

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასობრივი გამოყენებით ცდილობენ.

აქედან გამომდინარე, ქართული არმიის უკეთ შეიარაღებისთვის სწორედ საზენიტო და ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღებაა საჭირო.

თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს ზღვიდან მომავალი საფრთხეც, რომელიც ქართულ სანაპიროს ემუქრება და შესაბამისად, უპრიანი იქნებოდა ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო და საარტილერიო შეიარაღების განთავსებაც სანაპირო ზოლზე, რომელიც სავარაუდო მოწინააღმდეგეს საშუალებას არ მისცემს საზღვაო დესანტი გადმოსხას ფოთთან თუ ბათუმთან.

მაგრამ არის თუ არა პანაცეა თუნდაც ზემოხსენებული შეიარაღების ყიდვა?

მარტო იარაღის ყიდვა საქმეს არ უშველის. ჩვენ სპეციალურად არ დავაზუსტებთ, თუ რამდენი ტანკსაწინააღმდეგო „ფაგოტი" წაიღეს რუსებმა სენაკის სამხედრო ბაზიდან, მაგრამ ეს მართლაც დიდი ციფრია. მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოს ომის დროს ნამდვილად არ გვაკლდა ტანკსაწინააღმდეგო რაკეტები, ოფიციალურად მხოლოდ სამი აფეთქებული რუსული ტანკია ცნობილი.

ამით იმის თქმა გვინდა, რომ საზენიტო და ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღებას მარტო ყიდვა კი არა, პროფესიონალურად გამოყენებაც სჭირდება. გარდა შეიარაღების კონკრეტული სახეობების ყიდვისა, აუცილებელია მათი ტრენაჟორების შეძენაც, რათა მსროლელ-ოპერატორებმა ვირტუალურად ივარჯიშონ და კარგად დაეუფლონ ძვირად ღირებულ შეიარაღებას.

ახლა კი მივადექით ძირითად საკითხს: ამერიკული შეიარაღების შეძენა რომც მოვინდომოთ, საქართველოს მწირი ბიუჯეტი გასწვდება?

ამერიკული წარმოების შეიარაღება ძალიან ძვირია და მის შეძენას ბევრი ქვეყანა, მათ შორის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ზოგიერთი წევრიც ვერ ბედავს. მაგალითად, მსოფლიოში ერთ-ერთი ეფექტური ამერიკული მართვადი ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსი „ჯაველინი" 73 ათასი დოლარი ღირდა (1992 წლის ფასების მიხედვით) და ისიც მხოლოდ აშშ-ის არმიისთვის. მას შემდეგ დოლარმა ინფლაცია განიცადა, რასაც ემატება საექსპორტო ფასი და საქართველოსთვის ერთი „ჯაველინის" ღირებულებამ შეიძლება უკვე 85 ათას დოლარს (ან უფრო მეტს) მიაღწიოს.

უფრო ძვირია „სტინგერის" ტიპის გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები, რომ აღარაფერი ვთქვათ ამერიკულ ჯავშანტექნიკასა და თვითმფრინავებზე.

მასობრივად ამერიკული შეიარაღების ყიდვას (თუნდაც მარტო „ჯაველინებისა" და „სტინგერების" ) საქართველოს ბიუჯეტი ვერ აუვა, მაგრამ არსებობს ერთი გამოსავალი, — დღევანდელი საქართველოს დაცვა ჩვენი მომავლის მხრებზე გადავიტანოთ და საქართველომ ამერიკული შეიარაღების ყიდვა დაიწყოს გრძელვადიანი სესხით, რომელსაც თბილისს ისევ ვაშინგტონი გამოუყოფს.

**როდესაც შენს სამშობლოს მართლაც ემუქრება დიდი საფრთხე, ყველაფერზე ღირს წასვლა, მაგრამ შვილებისა და შვილიშვილების ზურგზე უზარმაზარი ვალის აკიდება, მაშინ როდესაც აგვისტოს ომში გამოჩენილი სიმხდალისა და არაპროფესიონალიზმისთვის არც ერთი სამხედრო და პოლიტიკური ფიგურა არ დასჯილა და მოწინააღმდეგეს ათეულ მილიონად ღირებული შეიარაღება გაატანეს, დიდ დაფიქრებას მოითხოვს. დაფიქრებას თუნდაც იმიტომ მოითხოვს, რომ ერთხელ ამის გამკეთებელს და დაუსჯელად დარჩენილს იმავეს გამეორებისა არ შეეშინდება.**

*ირაკლი ალადაშვილი*

P.S. ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც აშშ საბერძნეთისთვის 400 „აბრამსის" მოძველებული ვარიანტის ჩუქებას აპირებს, ხოლო ფილიპინები 12 დაკონსერვებული F-16-ის ჩუქებას სთხოვს ვაშინგტონს.

შეიძლება ჩუქება ყველაზე მისაღები იყოს საქართველო-აშშ-ის სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობაში, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნაჩუქარი შეიარაღების გადმოზიდვა ოკეანის გაღმიდან, მისი მწყობრში ჩაყენება და ექსპლუატაცია არანაკლებ ძვირი სიამოვნებაა.



სენაკის სამხედრო ბაზიდან რუსმა მედესანტეებმა ათასობით რაკეტა გაზიდეს...



ჩვენი დოსიე: ყოფილი „ვარიაგის“ სიგრძე 304,5 მ, ხოლო სიგანე 38 მ (ასაფრენ-დასაფრენი გემბანის — 75 მ-ი) იყო. ავიამზიდს ოთხი ორთქლტურბინიანი ძრავა აქვს, თითოეული 50 ათასი ცხ. ძ. სიმძლავრისა. მას მაქსიმალური 29 კვანძის (54 კმ/სთ) განვითარება შეუძლია და ავტონომიურ რეჟიმში 8 ათას საზღვაო მილზე დაცურავს. ეკიპაჟში 1980 მეზღვაური (მათ შორის — 520 ოფიცერი) იყო გათვალისწინებული. თუმცა, ჩინელებს შეიძლება სხვა საშტატო შემადგენლობა ჰყავდეთ.

თავდაპირველი პროექტის თანახმად, ავიამზიდზე აყენებდნენ ექვს ექვსლულიან 30 მმ-იან ავტომატურ ქვემეხს, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებსა და „გრანიტის“ ტიპის 12 ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტას (ჩინელებს „გრანიტი“ შეიარაღებაში არა აქვთ და სავარაუდოდ, „ში ლანი“ ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტების გარეშე იცურებს).

ავიამზიდის მთავარ შეიარაღებაში 26 ცალი Су-33 და МиГ-29K ტიპის გამანადგურებელი და 24 შვეულმფრენი (Ка-27, Ка-29, Ка-31) იყო გათვალისწინებული. საგემბანო-საავიაციო შემადგენლობის ჩინური ვარიანტი განსხვავებული იქნება, მაგრამ მთავარ როლს J-15 ტიპის კლონირებული გამანადგურებლები შეასრულებენ.

# შავიდან ყვითელ ზღვაში, ანუ პირველ ჩინურ ავიამზიდში ქართული წილიცაა

## ჩინეთმა დაიწყო თავისი პირველი ავიამზიდის გამოცდა, რომელიც 13 წლის წინ ყოფილი შავი ზღვის ფლოტიდან ჯართის ფასად შეიძინა და რომლის წილი საქართველოსაც ეკუთვნის

27901

ამერიკულმა სადაზვერვო თანამგზავრმა 8 დეკემბერს ყვითელ ზღვაში უზარმაზარი მცურავი საშუალება გადაიღო. ფოტოსურათის გაშიფვრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ზღვაში საცდელ გაცურვაზე იყო პირველი ჩინური ავიამზიდი „ში ლანი“.

ამ სტატიის ავტორი რამდენიმე წლის წინ ოფიციალური მიწვევით იმყოფებოდა ჩინეთის საპორტო ქალაქ დალიანში, რომლის ერთ-ერთ ვერფზეც მიმდინარეობდა „ში ლანის“ მშენებლობა.

„ში ლანი“ სხვა არაფერია, თუ არა ყოფილი საბჭოთა ავიამზიდი „ვარიაგი“, რომლის მშენებლობა შავ ზღვაში, ნიკოლაევის (უკრაინის) ქარხანაში ჯერ კიდევ 1985 წელს დაიწყო. სამ წელში მომავალი ავიამზიდი წყალში



„ვარიაგის“ ბუქსირება ბოსფორის სრუტის გავლით

ეროვნული ბიბლიოთეკა



კოსმოსიდან გადაღებული პირველი ჩინური ავიამზიდი



ჩინური საგემბანო J-15

ჩაუშვეს და მის გემბანზე მოწყობილობების დამონტაჟება დაიწყეს. საბჭოთა კავშირის დაშლის დროს „ვარიაგი“ 67%-იან ტექნიკურ მზადყოფნაში იყო.

1993 წელს შავი ზღვის ფლოტის გაყოფის თაობაზე რუსეთისა და უკრაინის მოლაპარაკების შემდგომ დაუმთავრებელი „ვარიაგი“ უკრაინას გადაეცა, რაც უსამართლო გადაწყვეტილება იყო, რადგან შავი ზღვის ფლოტის გაყოფაში საქართველოსაც უნდა მიეღო მონაწილეობა. საბჭოთა კავშირის მხოლოდ სამ რესპუბლიკას — რუსეთის ფედერაციას, უკრაინასა და საქართველოს ჰქონდათ გასასვლელი შავ ზღვაზე, მიუხედავად ამისა, შავი ზღვის ფლოტის გაყოფისას საქართველო არავის გახსენებია.

ასე იყო თუ ისე, დაუმთავრებელი „ვარიაგი“ უკრაინას დარჩა, რომელმაც 1998 წელს ჩინურ კომპანიას 60 ათასი ტონა წყალწყვის ავიამზიდი მხოლოდ 20 მლნ დოლარად, ფაქტობრივად, ჯართის ფასად მიჰყიდა.

შავი ზღვიდან ბუქსირებით „ვარიაგი“ ბოსფორის სრუტის გავლით 627 დღეში ყვითელ ზღვამდე მიაცურეს და ჩინური დალიანის ერთ-ერთ ვერფზე დააყენეს.

ჩინეთი ასაიდუმლოებდა „ვარიაგის“ ბედს და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ავრცელებდა ხმას, თითქოს დაუმთავრებელი ავიამზიდის ბორტზე გრანდიოზული მცურავი კაზინო და სასტუმრო უნდა მოეწყოთ.

ჩინელმა სპეციალისტებმა დეტალურად შეისწავლეს 304 მ სიგრძის დაუმთავრებელი ავიამზიდი და ნელნელა ის საჭირო დანადგარებითა და მოწყობილობებით აღჭურვეს.

ასევე, წმინდა „ჩინურად“ გადაწყვიტეს მომავალ ავიამზიდზე ბაზირებადი გამანადგურებელი თვითმფრინავის განთავსების საკითხი. ჩინეთი რუსეთისგან ისედაც ყიდულობდა Су-27 და Су-30 ტიპის საბრძოლო თვითმფრინავებს. უკრაინიდან კი ერთადერთი საგემბანო Су-27K (T10K-7) იყიდეს, რომელსაც კოპირება გაუკეთეს და ახალ თვითმფრინავ J-15-ად მონათლეს. Су-27K-ები რუსეთის ერთადერთ ავიამზიდ „ადმირალ კუზნეცოვზე“ (ყოფილი „თბილისი“) Су-33-ს სახელწოდებით ბაზირებენ. რუსეთმა უარი უთხრა ჩინეთს Су-33-ის მიყიდვაზე, ასევე მოსკოვი დღემდე არ ყიდის გემბანის აეროფინიშირებს (გემბანზე დამჯდარი თვითმფრინავის შემაჩერებელი მოწყობილობა).

პირველი ჩინური ავიამზიდის გამოჩენას არ გაუხარებია არა მარტო რუსეთი, არამედ აშშ-ც, რადგან ამ რეგიონში ამერიკული საავიამზიდო ჯგუფების ჰეგემონიას შეიძლება მალე წერტილი დაესვას, მით უმეტეს, რომ ჩინეთი უკვე აშენებს საკუთარი პროექტის ორ ავიამზიდს.

ყოფილ „ვარიაგის“, ამჟამინდელი „ში ლანის“ შეიარაღებაში მიღება უკვე მომავალ წელსაა დაგეგმილი. მის გამოყენებას ჩინეთი ძირითადად საგემბანო ავიაციის პილოტების მოსამზადებლად აპირებს, თუმცა, ავიამზიდი საბრძოლო ამოცანების შესასრულებლადაც იქნება მზად.

***ირაკლი ალადაშვილი***

„ლიგა“
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge




2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ BLACKSEAFOR-2011-ში პირველად მონაწილეობდა ქართული საპატრულო კატარღა „სოხუმი“

# დიდი საზღვაო „თამაშები“ შავ ზღვაში

2011 წელი შავ ზღვაში სამხედრო-საზღვაო სწავლებებითა და არაშავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო ხომალდების ვიზიტებით მდიდარი გამოდგა.

7-9 აპრილს სტამბოლში შავიზღვისპირა ექვსმა სახელმწიფომ (ბულგარეთი, თურქეთი, რუმინეთი, რუსეთი, საქართველო და უკრაინა) სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობის ჯგუფ BLACKSEAFOR-ის შექმნის მე-10 წლისთავი აღნიშნეს და მორიგ აქტივიზაციაში რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ პირველად ქართული საპატრულო კატარღა P24 „სოხუმი“ მონაწილეობდა. ქართული კატარღა სახომალდო ჯგუფის შემადგენლობაში მხოლოდ რუსეთის ეტაპამდე იმყოფებოდა.

6-18 ივნისს ოდესამ ამერიკა-უკრაინის ერთობლივ სამხედრო-საზღვაო სწავლება Sea Breeze 2011-ს უმასპინძლა და მასში NATO-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნებიც მონაწილეობდნენ.

აგვისტოს დამდეგს რუმინეთ-ამერიკის ერთობლივი საზღვაო სწავლება Summer Storm 2011 ჩატარდა, სადაც ამერიკის ფლოტს სადესანტო ხომალდი-დოკი LSD 41 Whidbey Island-ი წარმოადგენდა.

შავ ზღვაში სხვადასხვა მისიით დაცურავდნენ ამერიკული სარაკეტო კრეისერები: CG 68 Anzio, CG 61 Monterey და CG-58 Philippine Sea.

კრეისერები მეგობრული ვიზიტით ბათუმშიც ჩავიდნენ და ქართველ მეზღვაურებთან ერთად საწვრთნელი ვარჯიშებიც ჩაატარეს.

მოსკოვის გაღიზიანება კრეისერ „მონტერეის“ ვიზიტმა გამოიწვია. კრეისერი ევროპული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი ამერიკული სისტემის შემადგენელ ნაწილად განიხილება, ამიტომ რუსეთმა მისი ცურვა შავ ზღვაში საკუთარ უსაფრთხოების მუქარად აღიქვა.

ზედმეტი ყურადღებისა და პროტესტის გარეშე ჩაიარა შავ ზღვაში ფრანგული ფრეგატ F-796 Commandant Birot-ის, იტალიის სამხედრო-საზღვაო ძალების სასწავლო იალქნიანი ხომალდ Amerigo Vespucci-ს, მექსიკური სასწავლო იალქნიანი ხომალდ AARM Cuauhtemoc-ის, სირიის სამხედრო-საზღვაო აკადემიის სასწავლო Al-Assad-ისა და სხვა ხომალდების ვიზიტებმა.

ამ სამხედრო-საზღვაო აქტიურობის ფონზე უყურადღებოდ დარჩა რუსეთის ინიციატივით ნოვოროსიისკში 5-6 ივლისს შავიზღვისპირა ხუთი ქვეყნის სასაზღვრო ძალების მონაწილეობით ჩატარებული პირველი სწავლება „ჩერნომორსკი იასტრებ 2011“.

სწავლებაში მონაწილეობდნენ: ბულგარეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის კატარღა 525 Obzor-ი, თურქეთის სანაპირო დაცვის კატარღა SG-67-ი, რუმინეთის სასაზღვრო პოლიციის ხომალდი MAI 1105 Stefan Cel Mare და უკრაინის სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის აზოვი-შავი ზღვის რეგიონული სამმართველოს კატარღა BG 32 Donbas-ი.

რუსეთი სწავლებებში სანაპირო დაცვის, საგანგებო სიტუაციების სამინისტროსა და ფედერალური საბაჟო სამსახურის 12 მცურავი საშუალებით, 2 შვეულმფრენითა და 1 თვითმფრინავით იყო წარმოდგენილი.




პროექტი 12150 „მანგუსტის“ კატარღებს მრავალმხრივი დანიშნულება აქვს და მას სანაპირო დაცვასთან ერთად ფედერალური საბაჟო სამსახური და საგანგებო სიტუაციების სამინისტროები იყენებენ.

კატარღებს 2000 წლიდან აგებს ქალაქ რიბინსკის გემთსაშენი ფირმა „ვიმპელი“.

შავ ზღვაში კატარღები ირიცხება ნოვოროსიისკისა (ПСКА-602, 605, 606 და 607) და ოჩამჩირის დივიზიონებში, შავი ზღვის ფლოტში („ალექსანდრე ილინი“);

კატარღების ტექნიკური მონაცემები:

წყალწყვა — 27,2 ტ, სიგრძე — 19,5 მ, სიჩქარე — 52 კვანძი, ავტონომიურობა — 2 დღე, სვლის მარაგი 36 კვანძით 410 მილია, ეკიპაჟი — 6 კაცი;

შეიარაღება — 14,5 მმ-იანი ტყვიამფრქვევი МТПУ;

პეტერბურგში გემთსაშენი ფირმა „ალმაზი“ 2003 წლიდან სერიულად უშვებს 12200-ე პროექტ „სობოლის“ სასაზღვრო-სადარაჯო კატარღებს. მთელი სერია 30 კატარღაზეა გათვლილი და 2011 წლის მდგომარეობით 14 მათგანი (საქარხნო ნომრები 200-213) დასრულებულია. 2 კატარღა თურქმენეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტს გადაეცა, ხოლო დანარჩენები რუსეთის სანაპირო დაცვის სხვადასხვა სამმართველოს.

ორ „სობოლს“ ვლადივოსტოკში „ვოსტოჩნაია ვერფიც“ აშენებს.

შავ ზღვაში კატარღები ირიცხება სოჭის სპეციალურ საზღვაო დივიზიონში (ПКАСС-985 და ПКАСС-985)ნ ნოვოროსიისკისა (ПСКА-300 და კიდევ ერთი კატარღა) და ოჩამჩირის სასაზღვრო-სადარაჯო დივიზიონებში;

კატარღების ტექნიკური მონაცემები:

წყალწყვა — 57,5 ტ, სიგრძე — 28 მ, სიჩქარე — 48 კვანძი, ავტონომიურობა — 3 დღე, სვლის მარაგი 40 კვანძით 500 მილია, ეკიპაჟი — 6 კაცი;

შეიარაღება — 14,5 მმ-იანი ტყვიამფრქვევი МТПУ, 30 მმ-იანი ყუმბარსატყორცნი, 2-3 ხელის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი Игла-1;




N501 „რუბინი“ (პროექტი 22460 „ოხოტნიკი“) მიეკუთვნება თანამედროვე სადარაჯო ხომალდების — კორვეტების (სამხედრო-საზღვაო კლასიფიკაციით) კლასს და მისი დანიშნულებაა ბრძოლა წყალქვეშა ნავებთან, წყალზედა და საჰაერო სამიზნეებთან, პატრულირება, გემების ქარავნის გაცილება-თანხლება, საზღვაო ეკონომიკური ზონის დაცვა.

ხომალდებს პეტერბურგში გემთსაშენი ფირმა „ალმაზი“ აშენებს და, სავარაუდოდ, სერია 25-30 ხომალდზეა გათვლილი.

„რუბინის“ მშენებლობა 2007 წელს დაიწყო და ფედერალური უშიშროების სამსახურის სასაზღვრო უწყების სანაპირო დაცვის დეპარტამენტის შავი-აზოვის ზღვების სასაზღვრო სამმართველო 2010 წლის მაისში შეემატა. სადაცაა დასრულდება N502 „ბრილიანტი“, რომელიც სავარაუდოდ 2012 წლიდან ასევე შავ ზღვაში იმსახურებს.

მშენებლობის სტადიაშია N503 „ჟემჩუგი“.

ხომალდების ტექნიკური მონაცემები:

წყალწყვა — 630 ტ, სიგრძე — 62,5 მ, სიჩქარე — 30 კვანძი, ავტონომიურობა — 60 დღე, ეკიპაჟი — 24 კაცი;

შეიარაღება — 1X30 მმ-იანი ავტომატი АК-630, ორი 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი Корд-ი, შესაძლებელია ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსის Х-35 Уран-ის დაყენება, შეუძლია შვეულმფრენის Ка-226-ის ან უპილოტო საფრენი აპარატის მიღება.





ამერიკული სარაკეტო კრეისერის „მონტერეის“ ცურვამ შავ ზღვაში ჩვენი ჩრდილოეთელი მეზობელი აღაშფოთა

დამუშავდა საზღვაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სტანდარტულ სიტუაციებზე (არალეგალური მიგრაცია და კონტრაბანდის აღკვეთა, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი გემისთვის დახმარების გაწევა და სხვ.) ოპერატიული რეაგირების ერთობლივი ღონისძიებები.

ეს სწავლება და აგრეთვე სხვა ღონისძიებები, რომელთაც რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის სასაზღვრო უწყება შავ ზღვაში 2009 წლიდან რეგულარულად ატარებს, ქვეყნის საზღვაო საზღვრების დაცვასა და ინტერესების გაძლიერებას ემსახურება. ეს ტენდენცია განსაკუთრებით 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და კარზე მომდგარი 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშების გამო უფრო გამოიკვეთა.

ფედერალური უშიშროების სამსახურის სასაზღვრო სამსახურის უფროსის, არმიის გენერალ ვლადიმირ პრონიჩევის თქმით, შავი ზღვა უწყებისთვის პრიორიტეტულია, ამიტომაც იგზავნება იქ ახალი პროექტებით აგებული კატარღები და ხომალდები.

მაშინ, როცა შავი ზღვის ფლოტისთვის განკუთვნილი ახალი წყალზედა და წყალქვეშა ხომალდები ჯერ მხოლოდ მშენებლობის სტადიაშია ან იგეგმება, ამ დროს სასაზღვრო სამსახურის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის შავი-აზოვის ზღვების სასაზღვრო სამმართველო ყოველწლიურად ახალ-ახალ კატარღებსა და ხომალდებს რეგულარულად იღებს.

სამმართველოს 2009 წელს შეემატა — 3 „სობოლისა“ (პროექტი 12200) და 3 „მანგუსტის“ (პროექტი 12150) ტიპის კატარღა; 2010 წელს — სადარაჯო ხომალდი „რუბინი“ (პროექტი 22460), ორ-ორი „სობოლისა“ და „მანგუსტის“ ტიპის კატარღა; 2011 წელს — სადარაჯო ხომალდი „კრასნოდარეცი“ (პროექტი 10410) და ერთი „სობოლის“ ტიპის კატარღა.

ეს მცურავი საშუალებები უახლესი საინფორმაციო, ტექნიკური, სანავიგაციო და შეიარაღების სისტემებითაა აღჭურვილი. აქვთ გაზრდილი სიჩქარე და მცირერიცხოვანი ეკიპაჟები ემსახურებიან.

მესაზღვრეთა შეკვეთით 2011 წლის 26 ოქტომბერს სადარაჯო ხომალდ „რუბინის“ ბორტიდან ნოვოროსიისკის მახლობლად გამოიცადა ავსტრიული კომპანია Schiebel-ის უპილოტო საშვეულმფრენო კომპლექსი Camcopter S-100.

აპარატის დახმარებით შესრულდა პატარა ზომის წყალზედა ჩქაროსნული სამიზნის (მანევრირებდა 24 კვანძი სიჩქარით) პოვნა, თანხლება და ამოცნობა.

დადასტურდა აპარატის მახასიათებლები და გამოცდა დადებითად შეფასდა. ავსტრიული ლიცენზიით აპარატებს რუსეთში კომპანია „ჰორიზონტი“ ამზადებს.

რუსული აგრესიის შემდეგ ოკუპირებულ აფხაზეთის პორტ ოჩამჩირეში, სადაც საბჭოთა პერიოდში საზღვაო მესაზღვრეთა მე-6 ბრიგადის შტაბი იყო განთავსებული, რუსებმა საზღვაო-სასაზღვრო დივიზიონის ფორმირება წელს დაასრულეს. მისი ფორმირება 2009 წლის ბოლოს დაიწყო. სავარაუდო შტატით დივიზიონი ოთხი „სობოლისა“ (ПСКА-301, 302, 304, 305) და ამდენივე „მანგუსტის“ (ПСКА-608, 609, 611, 614) საპატრულო კატარღას ითვლის. გამორიცხული არ არის მისი საკატარღო შემადგენლობის ზრდა. სავარაუდოდ, ოჩამჩირეში საშტაბო დანიშნულების დიდი წყალწყვის სადარაჯო-სასაზღვრო ხომალდიც შევა.

რუსული საპატრულო კატარღები ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიის მიმდებარე წყლებს აკონტროლებენ, ხელს უწყობენ აფხაზეთის პორტებში საქართველოს კანონის დარღვევით უცხო ქვეყნების სავაჭრო გემების მიმოსვლას და ზოგჯერ საქართველოს ადმინისტრაციული საზღვრების ახლოსაც ჩნდებიან.

**რუსების მიზეზით აფხაზეთის პორტებში შესულ-გამოსული სავაჭრო გემების დაკავება აღარ ხერხდება, მაგრამ საქართველოს სანაპირო დაცვის ზღვაზე დაკვირვების თანამედროვე ელექტრონული სისტემები საზღვაო აკვატორიის დიდი დიაპაზონის გაკონტროლების საშუალებას იძლევა.** ცნობილია ყველა სავაჭრო გემი, რომელიც საქართველოს კანონის დარღვევით ოკუპირებული აფხაზეთის პორტებში დაცურავს და ადრე თუ გვიან, ყველას დააკავებენ.

***თემურ ჩაჩანიძე***

ეროვნული ბიბლიოთეკა




# რუსეთ-საქართველო: ჯაშუშომანიის მორიგი წრე იწყება?

2011 წლის 13 დეკემბერს რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა ნიკოლაი პატრუშევმა საყურადღებო განცხადება გააკეთა, — ჩვენს ქვეყანაზე მორიგი ბრალდება გაისმა.

ზურაბ ალხანაშვილი რუსეთის მოქალაქეა. ეფ-ეს-ბეს ინფორმაციით, საქართველოს დაზვერვის კურატორებს ის საქართველოსა და აზერბაიჯანში ხვდებოდა. აგროვებდა ცნობებს ჩეჩნეთისა და ინგუშეთის რესპუბლიკებში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაზე. გასამრჯელოდ საერთო ჯამში 2 ათასი დოლარი მიიღო.

ამ განცხადებას ფაქტობრივი დასაბუთება არ მოჰყოლია, რაც იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ მოსალოდნელია პროვოკაციები.

„არსენალის" მკითხველს შევახსენებთ, რომ უკანასკნელი წლებია, სწორედ ასე ხდება: ჯერ რუსეთის ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელი აკეთებს საქართველოს საწინააღმდეგო განცხადებას, შემდეგ კი რუსეთის კონტრდაზვერვის სამსახური (ეფ-ეს-ბე) „აღმოაჩენს ჯაშუშებსა და ტერორისტებს", რომლებიც რუსეთში თურმე საქართველოდან შევიდნენ.

2005 წლის ბოლოს მაშინდელმა რუსეთის საგარეო დაზვერვის შეფმა სერგეი ლებედევმა საინტერესო განცხადება გააკეთა. მისი თქმით, **დსთ-ის ზოგიერთი ქვეყნის (იგულისხმებოდა უკრაინა, საქართველო და მოლდავეთი) NATO-სკენ სწრაფვა რუსეთს ამ ქვეყნების წინააღმდეგ „მუშაობის" დაწყებას აიძულებს.**

მართლაც, 2006 წლიდან ჩრდილოელმა მეზობელმა გააქტიურა ოპერატიულ-აგენტურული მოქმედება. განსაკუთრებით თბილისში, ასევე ცხინვალისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში.

## ახალი ჯაშუშის დაკავება თუ მორიგი პიარაქცია?

21 ნოემბერს ქალაქ როსტოვში რუსეთის ფედერაციის ჩრდილო კავკასიის საოლქო-სამხედრო სასამართლოში რუსეთის არმიის გადამდგარი მაიორ კლენკოვის სასამართლო პროცესი დაიწყო. მას ბრალი საქართველოს სასარგებლოდ ჯაშუშობაში ედებოდა.

რუსული საინფორმაციო საშუალებების ინფორმაციით, კლენკოვი ქართულ სპეცსამსახურებს საიდუმლო ინფორმაციას აწვდიდა, რის სანაცვლოდაც გასამრჯელოს იღებდა. ის სახელმწიფოს ღალატის ბრალდებით გაასამართლეს. სასამართლო სხდომები დახურული იყო და სამი მსაჯულისგან შემდგარი კოლეგია წარმართავდა. წაყენებული ბრალდების თანახმად, კლენკოვს 12-20 წლით თავისუფლების აღკვეთა ელოდა.

სასამართლოს გადაწყვეტილება 7 დეკემბერს გამოცხადდა, მაგრამ, სანამ კლენკოვისთვის გამოტანილი განაჩენის შესახებ მოგითხრობთ, გვსურს რუსეთ-საქართველოს სპეცსამსახურებს შორის მიმდინარე რეალური თუ პიარომების მოკლე ისტორია შევახსენოთ.

**პირველი დარტყმა: გრუ-ს აგენტების გაძევება გასულ წლებში რუსეთის სპეცსამსახურების ყველაზე დიდი მარცხი იყო.**

საქართველოში მოქმედი გრუ-ს მზვერავებისა და აგენტურის ნაწილის გამოვლენა და 2006 წლის 27 სექტემბერს მათი დაკავება მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სპეცსამსახურის დიდი მარცხი და მისი პრესტიჟის შერყევა იყო. სწორედ ეს არის ის რეალური მიზეზი, რამაც რუსეთში ისტერიკა გამოიწვია. **კა-გე-ბეს მარცხს მიჩვეულებმა, „დაუმარცხებელი" და „შეუდარებელი" სამხედრო დაზვერვის — გრუ-ს წაბორძიკება (თანაც საქართველოში, სადაც ყოველთვის თავისუფლად მოქმედებდნენ) ძალზე მტკივნეულად აღიქვეს.**

ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოში რუსეთის სამხედრო დაზვერვის ოთხი ოფიცრისა და რამდენიმე ადგილობრივი აგენტის დაკავებამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ძალზე დაძაბა.



რუსეთის არმიის პოდპოლკოვნიკები ხვიჩა იმერლიშვილი და მარლენ ბოგდანოვი (ბალაშვილი) ზურაბ ოტიაშვილთან (რომელსაც რუსული ეფ-ეს-ბე ქართული დაზვერვის კურატორად თვლის) ერთად ჯვრის მონასტერთან

სუვერენულ ქვეყანას აქვს უფლება დაიცვას ეროვნული ინტერესები და უსაფრთხოება. რუსეთის ხელისუფლება კი რატომღაც თვლის, რომ სპეცსამსახურებმა და აგენტურამ აქტიურად, ძალზე აგრესიულად და რაც ყველაზე გასაკვირია, დაუსჯელად უნდა იმოქმედონ საქართველოში.

მეორე საკითხია, რომ რუსეთის სამხედრო დაზვერვის ოფიცრების დაკავების, მტკიცებულებების ამოღებისა და საზოგადოების ინფორმირების პროცესი და პროცედურები მაშინ ნამდვილად არადამაჯერებელი იყო.

საქართველოს სპეცსამსახურების ხელმძღვანელების მტკიცებით, გრუ-ს სპეცრაზმების ხელი ურევია 2005 წლის თებერვალში გორში მომხდარ ტერაქტში, როცა სამი კაცი დაიღუპა.

რუსეთში ჯაშუშობის „სამზარეულოში“ ჩახედულთათვის კარგადაა ცნობილი, რომ სპეცსამსახურები რეალური ფაქტების შესანიღბავად, როგორც წესი, ოფიციალურად ერთს აცხადებენ, მეორეს ფიქრობენ და მესამეს აკეთებენ.

ამიტომაც დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ რუსეთის სპეცსამსახურების „ოფიციალურ“ ინფორმაციას (უფრო ზუსტად, დეზინფორმაციას) და თუნდაც იმავე „ქართველ მზვერავთა“ დაკავების საქმეზე ატეხილ აჟიოტაჟს.

რუსეთის ეფ-ეს-ბეს დირექტორის ალექსანდრ ბორტნიკოვის ბოლოდროინდელი მოხსენებებიდან ირკვევა, რომ გასულ ორ წელს რუსეთის კონტრდაზვერვის მთავარი წარმატება ქართველი აგენტების გამოვლენა ყოფილა.

თურმე „საქართველოს აგენტები“ რუსეთის დაქცევას აპირებდნენ და ბორტნიკოვის სამსახურმა ქვეყანა იხსნა. ეფ-ეს-ბეს ხელმძღვანელი ამტკიცებს, რომ საქართველოს საგარეო დაზვერვის სამსახურის თანამშრომლებისა და აგენტების მიზანი რუსეთის სამხრეთ ფედერალურ ოლქში სამხედრო-პოლიტიკური ინფორმაციის შეგროვება და ტერაქტების მოწყობა ყოფილა.

მას მხარი აუბეს რუსეთის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმაც.

„10 ჩავარდნა დიდი დარტყმა იყო საქართველოს დაზვერვისთვის“, – განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში რუსეთის სათათბიროს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, ეფ-ეს-ბეს ყოფილმა პოლკოვნიკმა გენადი გუდკოვმა.

ეფ-ეს-ბე ამტკიცებდა, რომ ხაჩიროვის ავტომობილის სალონში ვიდეოკამერა იყო დამონტაჟებული




## ზოგიერთი დეტალი „საქართველოს აგენტების“ დაკავების შესახებ

ეს სამწლიანი დრამა 2008 წლის ზაფხულში დაიწყო. „საქართველოს აგენტების შემოსევისა“ და „ყოჩაღი“ რუსი ჩეკისტების ვაჟკაცობის ამსახველი თეატრალიზებული დადგმის პირველი ნაწილი 2008 წლის 11 აგვისტოს შედგა, როცა ეფ-ეს-ბეს ახალდანიშნული დირექტორი ალექსანდრ ბორტნიკოვი შეშფოთებული სახითა და საქაღალდით ხელში რუსეთის ფორმალურ პრეზიდენტ მედვედევს ეახლა.

იქვე „შემთხვევით“ რუსეთის „თავისუფალი“ მასმედიის წარმომადგენლებიც აღმოჩნდნენ და „უდიდესი სენსაციის“ მოლოდინში მოუსვენრად ცმუკავდნენ.

რუსეთის „პირველი ჩეკისტის“ მოხსენება „წითელ“ და „თეთრ“ ფერებში იყო გადაწყვეტილი. ბუნებრივია, ისტორიულად ყოველთვის „წითლები“



ეფ-ეს-ბეს მტკიცებით ალექსანდრე ხაჩიროვი თბილისსა და ვლადიკავკაზს შორის როკის გავლით ვიდეოკამერიანი მანქანით „ტაქსაობდა“

იმარჯვებენ და საზიზღარ და მოუხერხებელ „თეთრებს“ (ქართველებს, გერმანელებს, პოლონელებს, ამერიკელებს, ბალტიისპირელებს და ა.შ. – ეს სია რუსეთის ამჟამინდელი ხელისუფლების დამსახურებით სულ უფრო იზრდება და იზრდება) იოლად ამარცხებენ.

2008 წლის 11 აგვისტოს რუსეთის ეფ-ეს-ბეს უკვე „დაკომპლექტებული“ ჰყავდა საქართველოს აგენტების ცხრაკაციანი ჯგუფი, ხოლო 20 აგვისტოს გაავრცელეს ინფორმაცია მიხეილ ხაჩიძის დაკავებაზე, რომელიც მათი სათვალავით მეათე აგენტი აღმოჩნდა.

ძერჟინსკის „მემკვიდრეთა“ მტკიცებით, ესენი იყვნენ რუსეთის მოქალაქეები: თურქოშვილი, ალხანაშვილი, ბოგდანოვი, იმერლიშვილი, კუშაშვილი, ხაჩიძე, ხაჩიროვი და საქართველოს მოქალაქე ზაზა ხერკელაძე.

ოსი ეროვნების ალექსანდრე ხაჩიროვი რუსეთის მოქალაქეა. დაიბადა ახალგორში. დააკავეს 2008 წლის ივნისში. მისივე „აღიარებით“ საქართველოს დაზვერვისთვის მუშაობა 2004 წლიდან დაიწყო. „დაავერბოვკეს“ საქართველოში ყოფნის დროს. „ტაქსაობდა“ თბილისი-ვლადიკავკაზის მარშრუტზე. მისი „აღიარებით“ ინვალიდისნიშნიანი ავტომობილი ცისფერი „ოკა“ (რუსეთის კონტრდაზვერვა სხვა ინფორმაციაში „ვაზ 2105“-ს ასახელებს) ფარული გადამღები ვიდეოაპარატურით აღჭურვეს. ეფ-ეს-ბეს მტკიცებით, აპარატურა ჩამონტაჟებული იყო სამ ადგილას – რადიატორში, სალონში მდებარე უკანა ხედვის სარკეში და მარცხენა კარში. ხაჩიროვი ავტომობილის სალონში დამონტაჟებული ღილაკით მართავდა ვიდეოაპარატურას. კასეტის დასრულების შემდეგ ის გორში მიდიოდა, სადაც საქართველოს დაზვერვის თანამშრომელი ახალ კასეტას გადასცემდა. ხაჩიროვის ერთი რეისი 100 დოლარად იყო შეფასებული. ის მოძრაობდა როკის გვირაბის გავლით და ავტომატურად იღებდა გვირაბის დაცვას, ვენტილაციას, განათების სისტემას, ასევე 58-ე არმიის სამხედრო ობიექტებს.

ეფ-ეს-ბეს ინფორმაციით, ხაჩიროვმა დაკავებისთანავე აღიარა, რომ საქართველოს დაზვერვისთვის მუშაობდა და მათი დავალებით მიჰქონდა ნაღმი ვლადიკავკაზში. ხაჩიროვის დაკავებისა და აღიარებითი ჩვენების მიცემის ე.წ. „ოპერატიული გადაღების ვიდეოფირი“ (რომელიც ხუთ წუთამდე გრძელდება) იმდენად ტრაგიკომიკურია, იმდენი შეცდომაა დაშვებული, რომ ღირს მასზე დაწვრილებით შევჩერდეთ.

თავიდანვე ჩანს, რომ ეს ეფ-ეს-ბეს დადგმული სპექტაკლია. დავიწყოთ ხაჩიროვის დაკავებით: ქუჩის მარჯვენა განაპირა მხარეს გაჩერებულია „08“ მოდელის კრემისფერი „„ჟიგული“, სახელმწიფო ნომრებით B617HA15, რომლის წინ ჩაყენებულია თეთრი „ნივა“.

„ჟიგულის“ (რომლითაც ვითომ ხაჩიროვი დადიოდა) ეფ-ეს-ბეს თეთრი მიკროავტობუსი მიადგება თუ არა, ოთხი-ხუთი კაცი „08“-ს ეცემა და ხაჩიროვის გადმოთრევას ცდილობს.

**ფირში კარგად ჩანს, რომ საცოდავ ხაჩიროვს ხელები უკვე შეკრული აქვს და ისე ზის ავტომობილში.**

მისი დაკავება, ხელზე ბორკილების დადება და ა.შ. უნიჭოდ დადგმული სპექტაკლია. ეფ-ეს-ბეს მტკიცებით,



დაკავებისას ავტომობილის საბარგულში იპოვეს საბრძოლო ნაღმი და ამფეთქებლები, მათ შორის, დისტანციური.

ეს უკვე აშკარა ბლეფია. ეფ-ეს-ბეს ამის მოგონება იმიტომ დასჭირდა, რომ ხაჩიროვი-თურქოშვილის კავშირის ვერსია გაემყარებინა, რომ საქართველოში დაგეგმილი ტერაქტები ჩრდილოეთ კავკასიაში ხორციელდება.

საინტერესოა, ამხელა გზაზე რატომ უნდა წაეღო ასაფეთქებელი მოწყობილობა ხაჩიროვს, ჩრდილოეთ კავკასიაში ან თუნდაც ვლადიკავკაზში? როცა იქვე, ჩრდილო კავკასიაში ეს პრობლემა ბევრად ადვილი მოსაგვარებელია.

უფრო კურიოზულია ის ფირი, სადაც ცისფერ „ოკაში" ეძებენ ფარულ გადამღებ ვიდეოაპარატურას. ყურადღება მიაქციეთ: ხაჩიროვი დააკავეს კრემისფერი „08"-ით და ამ დროს სხვა ავტომობილში ეძებენ აპარატურას.

უფრო მეტიც, ამ მანქანაში ვიდეოაპარატურის კვალიც კი არ არის. ასე რომ, ხაჩიროვის საწინააღმდეგო მტკიცებულება მხოლოდ მისი „აღიარებითი ჩვენება" და აშკარად ეფ-ეს-ბეს ჩადებული ამფეთქებლებია.

ზურაბ ალხანაშვილი რუსეთის მოქალაქეა. ეფ-ეს-ბეს ინფორმაციით, საქართველოს დაზვერვის კურატორებს ის საქართველოსა და აზერბაიჯანში ხვდებოდა. აგროვებდა ცნობებს ჩეჩნეთისა და ინგუშეთის რესპუბლიკებში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაზე. გასამრჯელოდ საერთო ჯამში 2 ათასი დოლარი მიიღო.

დაკავების შემდეგ ალხანაშვილმა განაცხადა, რომ მისი ინფორმაცია არ შეიცავდა სახელმწიფო საიდუმლოებას, ის გაზეთებიდან იღებდა მასალას სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის შესახებ. ხშირად კი ბაზარში და ბირჟაზე გაგონილ ჭორებსაც ვასაღებდიო, – წაიტრაბახა ზურაბმა. ასე იყო თუ ისე, მას მონდომება დაუფასეს.

ინტერნეტში დადებული მისი 35-წამიანი „აღიარებითი ჩვენების" მოსმენის შემდეგ ეჭვი გიჩნდება, რომ ალხანაშვილმა რუსული არც იცის და მეტყველების ხარვეზიც აქვს. მაშ, როგორ აგროვებდა „საიდუმლო" ინფორმაციას? ეს, ალბათ, მხოლოდ ეფ-ეს-ბეში იციან. მათი განცხადებით, ალხანაშვილი „ხარისხიანად თანამშრომლობდა" გამოძიებასთან, ყველაფერი აღიარა, რაც კი იცოდაო და ამის გამო ეჭვმიტანილის სტატუსი მოწმის სტატუსით შეუცვალეს.

მარლენ ბოგდანოვი (ბალაშვილი) რუსეთის მოქალაქე და 58-ე არმიის სამხედრო მზვერავი იყო. მის საქმეში საკმაოდ ბევრი ბუნდოვანი მომენტია. ეფ-ეს-ბეს ინფორმაციით, მისი გადაბირება ხვიჩა იმერლიშვილის საშუალებით 2007 წლის ზაფხულში, საქართველოში, შავი ზღვის ერთ-ერთ კურორტზე მოხერხდა. მის ანაზღაურებად 6 ათასი დოლარი სახელდება. არც მისი ფოტო ან ვიდეოფირი ეფ-ეს-ბეს არ გაუვრცელებია.

პოდპოლკოვნიკი ხვიჩა იმერლიშვილი რუსეთის მოქალაქე და ვლადიკავკაზის №236 სამხედრო ჰოსპიტლის უფროსის მოადგილე იყო. დააკავეს 2008 წლის ივლისის დასაწყისში.

ეფ-ეს-ბემ იმერლიშვილის „აღიარებითი ჩვენების" დასადასტურებლად ინტერნეტში ერთწუთიანი ვიდეოფირი გაავრცელა, სადაც კარგად ჩანს მასზე მოხდენილი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედების კვალი.

**იმერლიშვილის „აღიარებით", ის 2006 წლის იანვარში გადაიბირეს საქართველოს სპეცსამსახურებმა. გადასცემდა ინფორმაციას 58-ე არმიის შესახებ, არჩევდა გადასაბირებელი ოფიცრებისა და ჯარისკაცების კანდიდატურებს.**

ანაზღაურებად ყოველ ინფორმაციაზე 500 დოლარს იღებდა. მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

ეფ-ეს-ბეს ინფორმაციით, საქართველოს დაზვერვამ მას ახალი ჯიპი „ტოიოტა-პრადო" გადასცა საჩუქრად. მისი ოპერატიული ფსევდონიმი „ქირურგი" იყო, — ასე ამტკიცებს რუსეთის კონტრდაზვერვა.

მიხეილ ხაჩიძე რუსეთის მოქალაქეა. 2008 წლის 20 აგვისტოს ეფ-ეს-ბემ გაავრცელა ოფიციალური ინფორმაცია სტავროპოლის მხარის ერთ-ერთ ქალაქში რუსეთის არმიის უფროსი ოფიცრის, მიხეილ ხაჩიძის დაკავების შესახებ. სხვა მონაცემებით, ის სადესანტო პოლკის ავტოპარკის პრაპორშჩიკი იყო. ეფ-ეს-ბეში ამტკიცებენ, რომ ხაჩიძე 2007 წლის ბოლოს, საქართველოში ყოფნის დროს გადაიბირეს. ხაჩიძე აგროვებდა ინფორმაციას რუსეთის არმიის საბრძოლო ნაწილების სამხედრო მზადყოფნაზე, ეცნობოდა თანამშრომელთა პირად მონაცემებს და არჩევდა გადაბირებისთვის კანდიდატებს.

საქართველოს დაზვერვის აგენტად (ზოგან – თანამშრომლად) დასახელებულია ვლადიკავკაზის №19 სკოლის პედაგოგი, რუსეთის მოქალაქე ხათუნა კუშაშვილიც. მის შესახებ სხვა ინფორმაცია ეფ-ეს-ბეს არ გაუვრცელებია. რუსეთის ზემოთ ჩამოთვლილ მოქალაქეებზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 275-ე მუხლის (სახელმწიფო ღალატი) მიხედვით. ბრალდება – ჯაშუშობა საქართველოს სასარგებლოდ. მათ ემუქრებოდა 12-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 500 ათასი რუბლის ოდენობით.

**ერთხელ კიდევ გავიმეორებთ, რომ ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია რუსეთის სპეცსამსახურების გავრცელებულია და მას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.**

**ბესიკ ალადაშვილი**
*ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი*

(დასასრული შემდეგ ნომერში)



ქართველი ჯაშუშების საქმეები რუსი სამხედროების მონაწილეობით დახურულ სასამართლო პროცესებზე განიხილება

# კავკასიური მოვლენების მიმოხილვა



„როსვერტოლში“ აზერბაიჯანისთვის დამზადებული Ми-35М ტიპის შვეულმფრენები

## აზერბაიჯანი

● 14 დეკემბერს თავდაცვის მინისტრმა გენერალ-პოლკოვნიკმა საფარ აბიევმა რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანატოლი ანტონოვი მიიღო. საუბარი გაბალის რადიოლოკაციურ სადგურთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხო. ასევე ცნობილი ხდება, რომ მოსკოვი აპირებს გაბალაში 2019 წლისთვის მომდევნო თაობის მეტრული დიაპაზონის ახალი რადიოლოკაციური სადგურის Воронеж ВП-ს გაშვებას, რომელმაც ამჟამად იქ მოქმედი მოძველებული Дарьяль-ი უნდა შეცვალოს. ეს უკანასკნელი კი, სავარაუდოდ, აზერბაიჯანს დარჩება.

● 14 დეკემბერს ბაქოში ნაქირავებ ბინაში მცხოვრები აზერბაიჯანის არმიის 3 ლეიტენანტი მხუთავი აირით მოიწამლა. ერთ-ერთი დაიღუპა, ხოლო ორის გადარჩენა მოხერხდა.

● უახლოეს მომავალში სააქციო საზოგადოება „როსვერტოლი“ დაიწყებს აზერბაიჯანისთვის Ми-35М ტიპის შვეულმფრენების მიწოდებას. ხელშეკრულება 24 შვეულმფრენზე 2010 წლის სექტემბერში დაიდო. პირველი ორი შვეულმფრენი „როსვერტოლის“ დონის როსტოვის აეროდრომიდან უკვე ბაქოში გადაიტანეს.

● დაგეგმილია საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის მახლობელი ტერიტორიების ნაღმებისგან გასუფთავება. ამის შესახებ განცხადება აზერბაიჯანის განაღმვის ეროვნული სააგენტო ANAMA-ს წარმომადგენელმა გააკეთა. პროექტის ღირებულება 9 მლნ ევროა და სამუშაო 48 თვეზეა გათვლილი.

● უნგრეთთან შესაბამისი შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, მოსალოდნელია აზერბაიჯანელი ოფიცრის, რამილ საფაროვის სამშობლოში ექსტრადირება. საფაროვი 2004 წელს უნგრეთში NATO-ს პროგრამით მომზადებას გადიოდა და მძინარე სომეხი ოფიცერი გურგენ მარგარიანი ნაჯახით დაჩეხა. ამის მიზეზი კი აზერბაიჯანის დროშის შეურაცხყოფა გახდა. ბუდაპეშტის სასამართლომ აზერბაიჯანელ ოფიცერს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა 30 წლით შეწყალებაზე უარის თქმით.

## სომხეთი

● სომხეთის უშიშროების საბჭომ დაამტკიცა 2012-13 წლებისთვის NATO-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამა (IPAP). გეგმა 152 მიმართულების სხვადასხვა ღონისძიებას მოიცავს. მათ შორისაა კონსულტაციები რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზე, უსაფრთხოების სტრატეგიის შექმნა, სამხედრო დოქტრინის მომზადება, თავდაცვის ბიუჯეტის დაგეგმვის გაუმჯობესება და სხვ.

● თავდაცვის მინისტრის ბრძანებით 9 დეკემბერს გვიან ღამით თანამდებობა დატოვა სამხედრო პოლიციის უფროსმა, პოლკოვნიკმა არამ ტერსააკიანმა, რომელმაც ეს პოსტი 2010 წლის დეკემბერში დაიკავა.

● 6 დეკემბერს თავდაცვის მინისტრმა სეირან ოგანიანმა 50 მოქალაქე მიიღო. მათ შორის იყვნენ არასაბრძოლო მიზეზით დაღუპული სამხედროების მშობლები, ბრძოლებში დაღუპული სამხედროების ახლობლები, სამხედრო ინვალიდები, თადარიგის ოფიცრები და სამხედრო სამსახურში მყოფთა მშობლები. მინისტრმა განმარტებები გააკეთა დაღუპულ სამხედროებთან დაკავშირებით და უპასუხა შეკითხვებს, რომლებიც სოციალურ, სამედიცინო და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას შეეხებოდა. შეკითხვათა უმრავლესობაზე მოქალაქეებმა მინისტრისგან დადებითი პასუხები მიიღეს.



სომხეთმა ყარაბაღში სწავლებებზე პირველად გამოიყენა უპილოტო Krunk-25-ი







ჩრ. კავკასიაში იარაღისა და საბრძოლო მასალის ნებაყოფლობით ჩაბარებაზე ფულადი ანაზღაურება გაიცემა

● დეკემბრის პირველ ნახევარში ყარაბაღში სწავლების დროს სომხეთის არმიამ სადაზვერვო ინფორმაციის შესაგროვებლად პირველად გამოიყენა Krunk-25 ტიპის უპილოტო საფრენი აპარატები.

● სომხეთში რუსული სამხედრო პოლიგონების ალაგიოზისა და კამპუტის სასწავლო-საწვრთნელი კომპლექსების 30% განახლებულია. მეცადინეობისთვის მზად არის ტანკოდრომი, ავტოდრომი, სატანკო დირექტრისა და საჯარისო სასროლეთი. შეკეთებულია საკონტროლო-გამშვები, მართვისა და საბრძოლო მასალების გამცემი პუნქტები.

● 5 დეკემბერს ერევანში დაიწყო სომხეთის მოქალაქეების სასამართლო პროცესი, რომლებიც სახელმწიფო ღალატში — აზერბაიჯანის სასარგებლოდ ჯაშუშობაში არიან მხილებული. გამოძიების მონაცემებით, კარენ მეპრაბიანი 2011 წლის დამდეგს თურქეთში ყოფნისას აზერბაიჯანის სპეცსამსახურმა გადაიბირა და თვითაღიარებული ყარაბაღის არმიაზე ინფორმაციის მოპოვება დაავალა. ჯაშუშური ინფორმაციის თურქეთში გადაგზავნის დროს ის სომხეთის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს. ამ საქმიანობაში მეპრაბიანს ეხმარებოდა აშოტ ჩტრიკიანი, ხოლო ჯგუფის მესამე წევრი — რომიკ მათევოსიანს თურქეთში ჩასულ სომხებში აზერბაიჯანის სასარგებლოდ მუშაობის მოსურნე პირების გადაბირება ჰქონდა დავალებული. ბრალდება კიდევ სამ მოქალაქეს აქვს წაყენებული. მათ იცოდნენ მეპრაბიანის ჯგუფის ჯაშუშური საქმიანობის შესახებ და დანაშაული დამალეს.

## ჩრდილო კავკასია

● ჩეჩნური სოფელ ბორზოის მცხოვრებმა პოლიციას ინფორმაცია მიაწოდა საიდუმლო სამალავზე, სადაც 395 კგ ფეთქებადი ნივთიერება — ტროტილი და ჰექსოგენი აღმოჩნდა. ამ პირის განცხადებით, ეს ნივთიერებები 3 საავიაციო ბომბიდან დამოუკიდებლად ამოიღო. მოგვიანებითი აღიარებისთვის მან პოლიციისგან ფულადი ჯილდოც მიიღო. 2011 წლის ნოემბერში კიდევ ერთი მსგავსი შემთხვევა იყო, — ერთ-ერთი ქალის მიერ მითითებულ ადგილზე 300 კგ ტროტილი აღმოჩნდა.

● ჩეჩნეთში სოფელ კალინოვსკოეში დისლოცირებულმა სამხედრო შენაერთმა სამხრეთის სამხედრო ოლქში პირველმა მიიღო ტაქტიკური რგოლის საჰაერო თავდაცვის მართვის ერთიანი სისტემის კომპლექსი Барнаул-Т, რომელიც საჰაერო თავდაცვის მართვის პუნქტებისთვის არის განკუთვნილი.

## კონფლიქტური რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

● მოძრაობა „აფხაზეთის დედები მშვიდობისა და სოციალური სამართლიანობისთვის“ და საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტი განაგრძობენ ერთობლივ მუშაობას პროგრამაზე „უკვალოდ დაკარგულნი“. 1992-93 წლების აფხაზეთის ომის დროს აფხაზთა მხრიდან უკვალოდ დაკარგულად 200 კაცი ითვლება.

### ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

● საოკუპაციო ჯარების მე-4 სამხედრო ბაზაზე დაიწყო 58-ე არმიის კინოლოგთა საინსტრუქტორო-მეთოდური შეკრება. ორთვიანი კურსის დასრულების შემდეგ სამხედრო კინოლოგები იმსახურებენ საინჟინრო დაზვერვის ჯგუფებში, რომელთა დანიშნულებაა ჯარების მოძრაობის მარშრუტებზე ფეთქებადსაშიში საგნების პოვნა-გაუვნებლება.

● ძარწემის პოლიგონზე ზამთრის პირობების გათვალისწინებით დაიწყო საოკუპაციო ჯარების მე-4 სამხედრო ბაზის ახალწვეული ჯარისკაცების სნაიპერის, ყუმბარსატყორცნ РПГ-7-ის მსროლელისა და ავტომატური ყუმბარსატყორცნ АГС-17-ის გათვლების მომზადება.



მე-4 სამხედრო ბაზის პირადი შემადგენლობა მორიგ წვრთნებს ატარებს

### თვითაღიარებული ყარაბაღი

● თვითაღიარებული რესპუბლიკის თავდაცვის უწყების ინფორმაციით, ნოემბერში აზერბაიჯანმა ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი ყარაბაღში სხვადასხვა იარაღით 950-ჯერ დაარღვია, აქედან 300-ზე მეტჯერ აზერბაიჯანელებმა სნაიპერული შაშხანები გამოიყენეს.

*თეიმურ ჩაჩანიძე*

## იანვარი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| სამ. | | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| ოთხ. | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ხუთ. | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| პარ. | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| შაბ. | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| კვ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |

## თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| სამ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ოთხ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ხუთ. | 2 | 9 | 16 | 23 | |
| პარ. | 3 | 10 | 17 | 24 | |
| შაბ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| კვ. | 5 | 12 | 19 | 26 | |

## მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| სამ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ოთხ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ხუთ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| პარ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| შაბ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| კვ. | 4 | 11 | 18 | 25 | |

## აპრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| სამ. | | 3 | 10 | 17 | 24 | |
| ოთხ. | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ხუთ. | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| პარ. | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| შაბ. | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| კვ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |

## მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| სამ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ოთხ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ხუთ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| პარ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| შაბ. | 5 | 12 | 19 | 26 | |
| კვ. | 6 | 13 | 20 | 27 | |

## ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 4 | 11 | 18 | 25 |
| სამ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| ოთხ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ხუთ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| პარ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| შაბ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| კვ. | 3 | 10 | 17 | 24 | |



# 2012

# არსენალი

## ივლისი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| სამ. | | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| ოთხ. | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ხუთ. | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| პარ. | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| შაბ. | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| კვ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |

## აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| სამ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ოთხ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ხუთ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| პარ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| შაბ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| კვ. | 5 | 12 | 19 | 26 | |

## სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 3 | 10 | 17 | 24 |
| სამ. | | 4 | 11 | 18 | 25 |
| ოთხ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| ხუთ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| პარ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| შაბ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| კვ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |

## ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| სამ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ოთხ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| ხუთ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| პარ. | 5 | 12 | 19 | 26 | |
| შაბ. | 6 | 13 | 20 | 27 | |
| კვ. | 7 | 14 | 21 | 28 | |

## ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| სამ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ოთხ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ხუთ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| პარ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| შაბ. | 3 | 10 | 17 | 24 | |
| კვ. | 4 | 11 | 18 | 25 | |

## დეკემბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| სამ. | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ოთხ. | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| ხუთ. | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| პარ. | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| შაბ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |
| კვ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ამერიკული ჯავშანტექნიკა

## სატანკო ექსპერიმენტების პერიოდი

1920 წლის 2 ივნისს აშშ-მა ეროვნული თავდაცვის აქტი მიიღო. ამ დოკუმენტის თანახმად, სატანკო კორპუსი გაუქმდა, ხოლო სატანკო ქვედანაყოფები ქვეითი ნაწილების დაქვემდებარეაში გადავიდნენ.

სახმელეთო ჯარების მაშინდელი სარდალი, გენერალი ჩარლზ ფარნსუორტი, შეტევაზე გადასული ქვეითების უწყვეტი მოძრაობის უზრუნველსაყოფად ტანკებისგან მაქსიმალურ მხარდაჭერას მოითხოვდა. ტანკების ქვეითებთან ერთგვარად „მიბმა“ კი ტექნიკის ეფექტურად გამოყენებისა და ტანკისტთა ინიციატივის შეზღუდვას ნიშნავდა.

საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოც მსუბუქი და საშუალო ტანკების გაუმჯობესება-პროექტირებაზე იყო კონცენტრირებული. განისაზღვრა მომავალი მსუბუქი ტანკების დასაშვები წონა — 5 ტონა, რათა სატვირთო ავტომობილებს ტანკების ფრონტის ხაზზე მიტანის საშუალება ჰქონოდათ. ხიდების ტვირთამწეობის გათვალისწინებით კი საშუალო ტანკების წონა 15 ტონით შეიზღუდა.

თუმცა საცდელ ტანკებზე წონითი პარამეტრების შენარჩუნება ყოველთვის არ ხერხდებოდა.

უკვე მოძველებული მსუბუქი ტანკების — Six-tonner tank M1917-სა და Ford M1918-ის შესაცვლელად მომზადდა ქვეითების მხარდამჭერი მსუბუქი ტანკის ტექნიკური დავალება.

სამუშაოში მუხლუხა ტრაქტორების მწარმოებელი კომპანია Cunningham-ი ჩაერთო და 1927 წელს საგამოცდოდ ტანკი T1 წარადგინა.

პროექტირებისას კომპანიის ინჟინრებმა ტანკმშენებლობაში ბრიტანელთა გამოცდილება საფუძვლიანად შეისწავლეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ტრადიციული კონსტრუქცია განახლებას საჭიროებდა.

მოქლონებითა და ელექტროშედუღებით დამზადებული T1-ის კორპუსის წინა ნაწილი ძრავა-ტრანსმისიამ დაიკავა, ხოლო საბრძოლო ნაწილმა მართვის ორგანოებით კიჩოსკენ დაიწია.

სავალ ნაწილად „კანინგემის“ ტრაქტორის შასი გამოიყენეს, რის გამოც ტანკს ჭურვებითა და ნაღმების აფეთქებებით გადათხრილი ბრძოლის ველის დაძლევა უჭირდა.

გამოცდებზე T1 ძლივს ახერხებდა ორმეტრიან ორმოებზე გადავლას და სატრაქტორო ხისტი დაკიდების მიზეზით მოძრაობისას სროლაც არ შეეძლო.

„კანინგემმა“ გამოსაცდელად ტანკის კიდევ რამდენიმე ვერსია მოამზადა: T1E1 (შეიცვალა კორპუსის ფორმა), T1E2 (ჰქონდა ძლიერი ძრავა, შეცვლილი კოშკურა და გაძლიერებული შუბლის ჯავშანდაცვა) და T1E3 (გაუმჯობესდა დაკიდების სისტემა და გრძელლულიანი ქვემეხით იყო აღჭურვილი), მაგრამ სერიამდე არც ერთს არ მიუღწევია.

1931 წელს კომპანია სამხედროთა დაინტერესებას კიდევ ერთი ახალი პროექტით შეეცადა.

ქვეითთა მხარდამჭერი T1E4-ისა და ბრიტანული 6-ტონიანი Vickers E-ს სავალი ნაწილი ერთნაირი იყო, — თითოეული მხარე წყვილ-წყვილი გორგოლაჭიანი ოთხ-ოთხი საყრდენი ურიკისგან შედგებოდა და დრეკადი ელემენტებად ნახევრად ელიფსური რესორები ჰქონდა.

მოქლონებით შეკრული კორპუსის შუბლის მხარეს მცირე დახრა ჰქონდა მიცემული და მასზე ცილინდრული ფორმის კოშკურაში იყო დაყენებული. შეიარაღება — 37 მმ-იანი ქვემეხისა და შეწყვილებული 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევისგან შედგებოდა.

საპოლიგონო გამოცდაზე T1E4-ს საკმაოდ ბევრი სუსტი ადგილი აღმოაჩნდა და უარყოფითი შეფასება დაიმსახურა. იგივე გაიზიარა ტანკის T1E6-მა ვერსიამაც.

1931 წელს სახმელეთო ჯარების სარდლის პოსტი გენერალმა დუგლას მაკარტურმა დაიკავა და არმიაში მექანიზაციის ფართოდ გამოყენება სცადა, მათ შორის — კავალერისტთა ტანკებით აღჭურვა.

**T1E1: მასა — 8,8 ტ, ეკიპაჟი — 2 კაცი, ჯავშანი — 6,4-9,53 მმ, კარბურატორიანი ძრავა — 132-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 29 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 120 კმ, შეიარაღება — 37 მმ-იანი ქვემეხი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი**



მაგრამ 1920 წლის თავდაცვის აქტი ამის საშუალებას არ იძლეოდა და გამოსავალი მარტივად მოიძებნა, — კავალერისტებისთვის შესაქმნელ ტანკს „საბრძოლო მანქანა“ დაერქვა.

1933 წლის გაზაფხულზე შეიარაღების დეპარტამენტის გამოცემული დირექტივით მსუბუქი ტანკის მასამ 7,5 ტონამდე მოიმატა. მომზადდა შესაბამისი მოთხოვნები შეიარაღებაზე, დაჯავშნასა და საექსპლუატაციო მახასიათებლებზე.

ამ მოთხოვნათა გათვალისწინებით Rock Island Arsenal-მა ქვეითებისთვის მსუბუქი ტანკი T-2 და კავალერისტებისთვის საბრძოლო მანქანა T-5 მოამზადეს.

ორივე ტანკზე ერთნაირი ძრავები დააყენეს, ხოლო მოქლონებით შეკრული მარტივი ფორმის კორპუსის კიჩოში ძრავა, წინა ნაწილში კი გვერდითი გადაცემები მოთავსდა. განსხვავება სავალი ნაწილის დაკიდების სისტემებსა და შეიარაღების განლაგების სქემაში იყო.

T-2-ის დაკიდების სისტემა ბრიტანული „ვიკერსიდან“ გადმოიღეს, მაგრამ გამოცდაზე ნახევრად ელიფსურმა რესორებმა არ გაამართლა, ამიტომ ტანკი არსენალს უკან დაუბრუნდა.

მოდერნიზებული T2E1-ის შასიზე ვერტიკალური სპირალური ზამბარები გამოიყენეს და სვლაც უფრო მდორე გახდა. ბრძოლის ველზე დაკვირვების გასაუმჯობესებლად საბრძოლო ჯიხურს (კოშკურას) ზემოდან სამეთაურო პატარა კოშკურა დაამატეს.

ცვლილებებმა ტანკის მასა გაზარდა, მაგრამ გამოცდაზე კარგი საიმედოობა და სათანადო მახასიათებლები გამოავლინა. უკეთ შეძლო დაბრკოლებათა დაძლევა და არმიის შეიარაღებაში M2A1 აღნიშვნით შევიდა.

მსუბუქი ტანკები ქვეითთა მხარდასაჭერად იქმნებოდა და ამ ამოცანის შესასრულებლად მაშინ ტყვიამფრქვევები საკმარისად მიაჩნდათ, მაგრამ ტანკში გამოყენებული შეიარაღების სქემა (ორი ტყვიამფრქვევი კოშკურასა და ერთი კორპუსში) არარაციონალური იყო.

9 ტანკის აწყობის შემდეგ წარმოება M2A2-ის გამოშვებაზე გადავიდა. ტყვიამფრქვევები ორ კოშკურაზე გადანაწილდა და ეკიპაჟს წრიულად სროლის საშუალება მიეცა.

ამ ტანკებზე გამოიცადა დიზელის ძრავა, დაკიდების ახალი სისტემა, ელექტროტრანსმისია და სხვ. ზოგიერთი ტექნიკური სიახლე კი შემდგომ M2A3-ზე დანერგეს.




**M2A2: მასა — 8,5 ტ, ეკიპაჟი — 4 კაცი, ჯავშანი — 6-16 მმ, კარბურატორიანი ძრავა — 250-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 46-55 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 240 კმ, შეიარაღება — 12,7 მმ-იანი და ორი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი**

1940 წლისთვის ტანკის სამივე მოდიფიკაცია მოძველდა. ტანკის საუკეთესო მოდიფიკაციად M2A4 ითვლება. მასზე კორპუსისა და კოშკურის შუბლის დაჯავშნა 25 მმ-მდე გაიზარდა, ხოლო კოშკურაზე საზენიტო ტყვიამფრქვევი დაემატა.

მეორე მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე ამერიკის არმიამ მცირე რაოდენობით M2A4-ები წყნარი ოკეანის კამპანიებში გამოიყენა.

1934-35 წლებში Rock Island Arsenal-მა კავალერისტებისთვის აწყობილი „საბრძოლო მანქანები“ (T-5, T5E1 და T5E2) წარმოადგინა და შედარებით უკეთესი მახასიათებლები T5E2-ს აღმოაჩნდა.

1934 წლის 14-17 ნოემბერს ტანკმა როკ-აილენდიდან ვაშინგტონამდე გარბენი შეასრულა და საშუალო 48 კმ/სთ-ში სიჩქარე აჩვენა, რაც ურიგო მაჩვენებელი არ იყო.

დაიწყო საკავალერიო Combat Car M1-is (მოგვიანებით Light Tank M1 ეწოდა) სერიული წარმოება და როკ-აილენდის არსენალმა 90 ცალი ააწყო.

ცნობილია ტანკის კიდევ ორი მოდიფიკაცია: Combat Car M2 (მოგვიანებით M1A2) — დიზელის ძრავით იყო აღჭურვილი, ხოლო Combat Car M2-ს (მოგვიანებით M1A1) ისევ ბენზინის ძრავა დაუბრუნდა და ტრანსმისია შეეცვალა.

1935-40 წლებში არმიამ ყველა მო-

**M1: მასა — 8,8 ტ, ეკიპაჟი — 4 კაცი, ჯავშანი — 4-15,8 მმ, კარბურატორიანი ძრავა — 250-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 72 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 209 კმ, შეიარაღება — 12,7 მმ-იანი და სამი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



T1: მასა — 1,36 ტ, ეკიპაჟი — 1 კაცი, ჯავშანი — 3,17 მმ, კარბურატორიანი ძრავა — 42-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 32 კმ/სთ-ში, შეიარაღება — 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

დიფიკაციის 148 საკავალერიო ტანკი მიიღო, მაგრამ მეორე მსოფლიო ომში არ გამოუყენებია. ომის წლებში ტანკების ერთი ნაწილი სასწავლო დანიშნულებას ასრულებდა, ხოლო მეორეზე კი ახალი პროექტების მსუბუქი ტანკების არაერთი აგრეგატი გამოიცადა.

1940 წლის ივლისიდან აშშ-ში ჯავშანსატანკო ნაწილების ჩამოყალიბება დაიწყო. შესაბამისად ქვეითი და საკავალერიო სატანკო ქვედანაყოფებს შორის არსებული განსხვავებებიც წაიშალა.

ტანკეტების შექმნაში ევროპულმა მიღწევებმა ინტერესი ამერიკაშიც გამოიწვია და კომპანია Cunningham-მა 1928 წელს მაქსიმალურად პატარა მზვერავი, ერთადგილიანი ტანკეტი T-1 ააგო.

ტანკეტის სავალი ნაწილი ოთხი დიდი დიამეტრის საყრდენი გორგოლაჭისგან შედგებოდა და გამოცდაზე ურიგო სიჩქარე არ აჩვენა, მაგრამ დაცულობითა და სავალი თვისებებით მსუბუქ ტანკებს ჩამოუვარდებოდა და სერიულადაც ამიტომ არ გამოუშვეს.

„კანინგემმა" 1929 წელს საცდელად T-2 დააპროექტა. მართალია, T-2 მსუბუქი ტანკი იყო, მაგრამ მახასიათებლებით ტანკეტებს განეკუთვნებოდა და ბრიტანულ „ვიკერსის" Patrol Tank-ს ჰგავდა, თუმცა 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევით აღჭურვილი მბრუნავი კოშკურა ჰქონდა და ორადგილიანი იყო. ეს ტანკეტიც არ გასცდენია საგამოცდო ციკლს.

პირველ მსოფლიო ომში ტანკის არაერთი კონსტრუქცია გამოიცადა და სატანკო ქვედანაყოფთა გამოყენების რამდენიმე კონცეფცია მოისინჯა.

ომის ბოლოს ბრიტანეთის არმიის სატანკო კორპუსის შტაბის უფროსმა, გენერალმა ჯონ ფულერმა, საშუალო ტანკის გამოყენების საინტერესო თეორია ჩამოაყალიბა, რომლის მიხედვითაც ფრონტის ხაზზე გარღვევის ადგილებში შეტევებს სწრაფი და გაზრდილი სვლის მარაგის მქონე ტანკები განავითარებდნენ. ტანკები გაარღვევდნენ თავდაცვის მეორე და მომდევნო ზღუდეებს, გაანადგურებდნენ არტილერიას, არ დაუშვებდნენ მოპირდაპირე მხრიდან რეზერვების გაშლასა და ორგანიზებული ბრძოლით მოწინააღმდეგის ბლოკირებასაც კი შეძლებდნენ.

კონცეფციის შესაბამისად, ბრიტანეთში საშუალო ტანკის — MkD-ს პროექტი მომზადდა, მაგრამ ომის დასრულებასთან ერთად მუშაობაც შეჩერდა.

ფულერის იდეებს მხარდამჭერები ამერიკის არმიაშიც გამოუჩნდა და 1919 წლის ივნისში შეიარაღების დეპარტამენტმა ბრიტანული ტანკის ანალოგზე ტექნიკური დავალება მოამზადა.

M1921: მასა — 14 ტ, ეკიპაჟი — 4 კაცი, ჯავშანი — 6,3-19 მმ, კარბურატორიანი ძრავა — 120-ცხ.ძალიანი, სიჩქარე მუხლუხოებით/ბორბლებით — 11/22,5 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი მუხლუხოებით/ბორბლებით — 97/161 კმ, შეიარაღება — 57 მმ-იანი ქვემეხი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი





M1928: მასა — 7,8 ტ, ეკიპაჟი — 3 კაცი, დაჯავშნა — შუბლი 12,7 მმ, კარბურატორიანი ძრავა — 338-ცხ.ძალიანი, სიჩქარე მუხლუხებით/ბორბლებით — 68/112 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი მუხლუხებით/ბორბლებით — 120/185 კმ, შეიარაღება — ორი მმ-იანი ქვემეხი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

1921 წელს ამერიკის მთავრობის შეკვეთით პირველი საშუალო ტანკი — M1921 აიწყო. ამ ტანკზე რომბისებური სქემის მუხლუხები ჩვეულებრივმა შეცვალა და კლასიკური კომპონირება შენარჩუნდა.

ტანკი სერიულად არ უწარმოებიათ, ომი დამთავრდა და სამხედრო ტექნიკაზე მოთხოვნაც შემცირდა.

M1921-ის აგრეგატების გაუმჯობესების გზით 1927 წელს თითქმის ახალი მოდელის ტანკი T1 გამოიცადა, მაგრამ სერიამდე არც მან მიაღწია.

იმ პერიოდის ტანკმშენებლობის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ტანკების სუსტი სავალი ნაწილი იყო, რომლის გამოც ბევრი ტანკი მწყობრიდან მარშისას გამოდიოდა და დანიშნულების რაიონამდე ვერ აღწევდა.

მაგალითად, მუხლუხების რესურსი 50-100 კმ-ს არ აღემატებოდა, ხოლო მაქსიმალური სიჩქარე იშვიათად, რომ 10 კმ/სთ-ზე მეტი ყოფილიყო.

1921 ამერიკის არმიის გენერალური შტაბის უფროსის პოსტი გენერალმა ჯონ პერშინგმა დაიკავა და მან წამოაყენა არმიის ბორბლებიან-მუხლუხა ტანკებით აღჭურვის წინადადება, ანუ ტანკი გზებზე ბორბლებით და უგზოობის პირობებში მუხლუხებით იმოძრავებდა.

ეს იდეა პირველად ავსტრია-უნგრეთის არმიის ოფიცერ გიუნტერ ბურშტინს 1911 წელს დაებადა. მართალია, მაშინ მისი ხორცშესხმა არ მოხერხდა, მაგრამ არც დავიწყებას მიეცა.

ამერიკაში ბორბლებიან-მუხლუხა ამძრავზე გამომგონებელი ჯონ ქრისტი მუშაობდა და ასეთი სახის შასი საცდელად თვითმავალ საარტილერიო დანადგარებში გამოიყენა, ამიტომაც შეიარაღების დეპარტამენტმა პროექტზე ჯონ ქრისტის კომპანია მოიწვია.

დეპარტამენტისა და სატანკო კორპუსის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე მომავალი ტანკის ტექნიკური მოთხოვნები დაზუსტდა და 1919 წლის ნოემბერში ქრისტის The Front Drive Company მუშაობას შეუდგა. მალე საარტილერიო დანადგარებზე აპრობირებულ შასიზე აწყობილი პირველი საცდელი ნიმუში (M1919) მომზადდა.

შასი წინა მიმმართველი და უკანა წამყვანი თვლებისა და საყრდენ-დამჭერი გორგოლაჭებიანი ურიკისგან შედგებოდა. ბორბლებით სვლისას დაშლილი მუხლუხები ტანკის სპეციალურ თაროებზე ინახებოდა და წინა თვლებს მართვადის დანიშნულება ჰქონდა.

ბრძოლაში მუხლუხების მოხსნა-დაყენების ასეთი ოპერაცია არასასურველი და თან სახიფათოც იყო.

ტანკის ერთადერთი დრეკადი ელემენტი წინა და უკანა ოთხ ბორბალზე შემოხვეული რეზინის ბანდაჟები იყო, რომელიც სვლის საკმარის სიმდოვრეს არ უზრუნველყოფდა და სწრაფი ტანკის კონცეფციისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

გამოცდის დროს გამოთქმულ შენიშვნათა გათვალისწინებით ქრისტიმ ტანკის მომდევნო მოდელი — M1921 ააწყო.

მართალია, ტექნიკურ სიახლეთა წყალობით სიჩქარემ მოიმატა, მაგრამ ტანკის მექანიკური ნაწილი ისევ არასაიმედო დარჩა, სუსტი იყო ტრანსმისია და მოხვევის მექანიზმიც მწყობრიდან ხშირად გამოდიოდა.

გამომგონებელმა საყვედური ტანკზე კოშკურის უქონლობის გამოც დაიმსახურა. წარუმატებელი შედეგის




M1931: მასა — 10,5 ტ, ეკიპაჟი — 3 კაცი, ჯავშანი — 13-16 მმ, კარბურატორიანი ძრავა — 338-ცხ.ძალიანი, სიჩქარე მუხლუხებით/ბორბლებით – 44/75 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი მუხლუხებით/ბორბლებით — 240/240 კმ, შეიარაღება — 37 მმ-იანი ქვემეხი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქრისტის საკონსტრუქტორო მუშაობის ზენიტი იყო ბორბლებიან-მუხლუხა მსუბუქი ტანკი T7, რომელიც 12,7 მმ-იანი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევებით იყო აღჭურვილი

მიუხედავად, ჯიუტმა ქრისტიმ მუშაობა გააგრძელა და ტანკის მომდევნო მოდელი — M1928 წარმოადგინა.

ამჯერად შასი ოთხი წყვილი რეზინისბანდაჟიანი ტყუპი საყრდენი გორგოლაჭისგან შედგებოდა და თითოეული ძლიერი ვერტიკალური ზამბარით იყო აღჭურვილი. კორპუსის ფორმაც უფრო დაიხვეწა და შუბლმა სოლისმაგვარი მოყვანილობა მიიღო.

პოლიგონზე ტანკმა ბორბლებით საკმაოდ მაღალი — 120 კმ/სთ-ში სიჩქარე უჩვენა, მაგრამ სამხედროებმა სუსტი შეიარაღების, თხელი ჯავშნისა და კოშკურის უქონლობის გამო დაიწუნეს.

რამდენიმეწლიანი დაძაბული მუშაობის შემდეგ ქრისტიმ კიდევ ერთი საცდელი მოდელი — M1931 შექმნა, სადაც შასიზე გორგოლაჭები მოქანავე ბერკეტებითა და გრძელი სპეციალური ზამბარებით აღჭურვა. ამის ხარჯზე ვერტიკალურ სიბრტყეში გორგოლაჭების დიდ სვლას (40,65 სმ) მიაღწია და ტანკის გამავლობაც გაუმჯობესდა.

ტანკს ერთადგილიანი და 37 მმ-იანი ქვემეხით აღჭურვილი ცილინდრული კოშკურაც დაემატა.

M1931-ის სერიულ წარმოებას წინ თითქოს არაფერი ეღობებოდა, მაგრამ გამომგონებელმა ტანკისთვის დიდი თანხა მოითხოვა.

1932 წელს შეთანხმების მიღწევა მოხერხდა და შეკვეთა 7 ტანკზე გაფორმდა, საიდანაც 3 ქვეითთა 67-ე ბატალიონს გადაეცა და აღნიშვნა Medium Tank T3, ხოლო კავალერისტებისთვის აწყობილ 4 ტანკს კი — Combat Car T1 მიენიჭა.

ქრისტის მიღწევებმა სამშობლოში მხარდაჭერა ვერ პოვა, მაგრამ დიდი ინტერესი საბჭოთა კავშირში გამოიწვია, სადაც M1931 მოდელის საფუძველზე ხარკოვის ორთქლმავალმშენებელ ქარხანაში ტანკების მსხვილსერიული წარმოება დაიწყო.

ქრისტის საბჭოთა კავშირში საცხოვრებლად გადასვლასაც სთავაზობდნენ, მაგრამ ის თავისი ქვეყნის ერთგული დარჩა.

**თემურ ჩაჩანიძე**






# „შავი ყუთის“ საიდუმლო

2006 წლის 3 მაისს ავიაკომპანია Armavia-ს სამგზავრო თვითმფრინავი A320 ერევნიდან სოჭში მიფრინავდა. რეისი დასასრულს უახლოვდებოდა და ლაინერს დაჯდომამდე ათ წუთზე ნაკლები რჩებოდა. სოჭის აეროპორტში მგზავრების შესახვედრად შეკრებილნი იყვნენ მათი ახლობლები და ნათესავები. მაგრამ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ შეხვედრა, რომელსაც ისინი ასე ელოდებოდნენ, არ შედგებოდა.

იმ საბედისწერო საღამოს სოჭში ავდარი იყო, ზღვიდან ძლიერი ქარი ქროდა და A320 ბორტზე მყოფი 105 მგზავრითა და 8-კაციანი ეკიპაჟით დასაშვებად ემზადებოდა, მაგრამ დისპეტჩერმა ეკიპაჟის მეთაურს დაშვების შეწყვეტა და სათადარიგო აეროდრომზე გაფრენა უბრძანა, სოჭის აეროპორტის ზონაში ამინდი დასაშვებ მინიმუმზე ცუდი იყო.

ეკიპაჟი განკარგულების შესრულებას შეუდგა და უეცრად ბორტთან კავშირი გაწყდა.

თვითმფრინავის გაუჩინარების სავარაუდო ადგილას დაუყოვნებლივ გაგზავნეს სამაშველო ჯგუფები. ნახევარი საათის შემდეგ მაშველებმა შავ ზღვაში, ნაპირიდან 6 კმ-ში, ლაინერის მიმოფანტულ ფრაგმენტებს მიაგნეს.

A320-ის ბორტზე მყოფი 113 ადამიანიდან არავინ გადარჩა და მაშინვე გაჩნდა კითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემა მხოლოდ „შავ ყუთებს“ შეეძლო.


2002 წელს „შავი ყუთის“ გამოგონებისთვის დევიდ უორენი, უმაღლესი ჯილდოთი — ავსტრალიის ორდენით დააჯილდოვეს

ავიაციის გარიჟრაჟზე ჰაერში ასვლას მხოლოდ თავზე ხელაღებულნი ბედავდნენ. მაშინ კატასტროფები იშვიათობა არ იყო, მაგრამ ენთუზიასტები ჰაერში საფრენად საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად მზად იყვნენ.

ეს დამოკიდებულება სამგზავრო თვითმფრინავების გამოჩენასთან ერთად შეიცვალა. ამიერიდან უკვე არა მხოლოდ პილოტი, არამედ ბორტზე მყოფი მგზავრებიც რისკავდნენ.

გასული საუკუნის 50-იან წლებში რეაქტიული ლაინერების ხანა დადგა. რეაქტიულმა ავიაციამ არნახული სიჩქარეები და ამავე დროს ახალი საფრთხეები მოიტანა.

1953 წლის მაისში ინდურ ქალაქ კალკუტიდან 50 კმ-ში კატასტროფა განიცადა ბრიტანულმა რეაქტიულმა ლაინერმა „კომეტამ“. მის ბორტზე მყოფი 43 კაცისგან არავინ გადარჩენილა. ცოტა ხანში ხმელთაშუა ზღვაში კიდევ ერთი „კომეტა“ ჩავარდა. სწორედ მაშინ გახდა აშკარა, რომ თვითმფრინავს სჭირდება სპეციალური მოწყობილობა, რომელიც სპეციალისტებს კატასტროფის მიზეზების გაშიფვრაში დაეხმარებოდა.

ოფიციალურად ამგვარი მოწყობილობის იდეა, რომელსაც შემდგომ „შავი ყუთი“ შეარქვეს, ავსტრალიელ დევიდ უორენს ეკუთვნის. პირველი მოწყობილობა 1956 წელს გაკეთდა.

სამოქალაქო ლაინერებზე მის დანერგვას რამდენიმე წელი დასჭირდა. თავისი გამოგონების წყალობით უორენი მსოფლიო საავიაციო წრეებში ერთ-ერთი ცნობილი პირი გახდა. 2002 წელს ის სამოქალაქო მიღწევებისთვის უმაღლესი ჯილდოთი — ავსტრალიის

ეროვნული ბიბლიოთეკა






**ხშირად კატასტროფების შემდეგ, შავი ყუთები სერიოზულად ზიანდებიან (მარჯვენა ფოტო), მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ინფორმაციის მოხსნა მაინც შესაძლებელია**

ორდენით დააჯილდოეს. ერთი ადამიანის გამოგონებამ მსოფლიო ავიაცია რადიკალურად შეცვალა.

პროფესიულ ენაზე „შავ ყუთებს" საფრენოსნო მონაცემთა რეგისტრატორს ან საბორტო თვითჩამწერს უწოდებენ. ტერმინი „შავი ყუთი" მას ჟურნალისტებმა შეარქვეს. სინამდვილეში ის არც შავია და არც ყუთის ფორმა აქვს. ამგვარ მოწყობილობებს ნარინჯისფრად ან წითლად ღებავენ, რომ საავიაციო შემთხვევის ადგილას მისი პოვნა გაიოლდეს. საბჭოურ „შავ ყუთებს" უმეტესწილად სფეროსებრი, დასავლურებს კი ცილინდრის ან პარალელეპიპედის ფორმა აქვს.

თავად საბორტო თვითჩამწერები ორ ჯგუფად იყოფა — პარამეტრულ და ხმის ჩამწერებად. ეს უკანასკნელი ეკიპაჟის კაბინაში დამონტაჟებული ერთგვარი მაგნიტოფონია. ის არა მხოლოდ ეკიპაჟის საუბარს, არამედ ყველა ხმას, მათ შორის ტუმბლერების დაწკაპუნებასაც კი აფიქსირებს. კატასტროფების გამოძიების დროს ექსპერტებისთვის ყველა და მათ შორის უმნიშვნელო ხმებსაც მნიშვნელობა აქვს.

პირველი თაობის „შავი ყუთები" სწორედ ხმოვანი ჩამწერებია. მათში ინფორმაციას ბაბინებზე დახვეულ ჩვეულებრივ მაგნიტურ ფირზე იწერდნენ. იმ პერიოდისთვის ეს უდიდესი წინსვლა იყო, მაგრამ კატასტროფებისას ფირი ადვილად ზიანდებოდა, ხოლო ხანძრის დროს, დიდ ტემპერატურაზე, დნებოდა და მისი აღდგენა შეუძლებელი იყო.

მაგალითად, Ту-154-ის პარამეტრულ „შავ ყუთში" (МСРП-12-96) ინფორმაცია 6,25 მმ-ის სიგანის მაგნიტურ ფირზე იწერება და 30 სთ-იან უწყვეტ მუშაობაზეა გათვლილი. ინფორმაციის ჩაწერა უკვე დარეგისტრირებული სიგნალების უწყვეტი წაშლის პარალელურად ისე ხდება, რომ ბოლო 75 წთ-ის ფრენის მონაცემები ფირზე მუდამ რჩება.

ალტერნატიულ გამოსავლად სპეციალისტებმა მავთული აირჩიეს. საბჭოთა „შავი ყუთების" შემთხვევაში, 3 კმ სიგრძის მავთული 9 სთ-იანი ფრენისთვის საკმარისია, რაც მოსკოვიდან ვლადივოსტოკში ფრენის ტოლფასია. ყველა ხმა, რომელიც ეკიპაჟის კაბინაში გაჟღერდება, მავთულზე ჩაიწერება, რომლის სისქეც სულ რაღაც 50 მიკრონია. ამ სიდიდის უკეთ წარმოდგენისთვის ვიტყვით, რომ ადამიანის თმის ღერის სისქე 40-დან 110 მიკრონამდე მერყეობს.

ფირთან შედარებით, ტიტანის მავთული ინფორმაციის შენახვის გაცილებით საიმედო საშუალებაა, მაგრამ მასაც აქვს ნაკლი — დინამიკური დარტყმებისას მავთული იხლართება.

რაც შეეხება პარამეტრულ თვითჩამწერებს, ისინი თვითმფრინავებში ყველაზე უსაფრთხო ადგილას — კუდში არიან დაყენებული და ხმოვანი ჩამწერებისგან განსხვავებით, თვითმფრინავის სისტემების პარამეტრებს არეგისტრირებენ.

პარამეტრული „შავი ყუთები" თვითმფრინავის აფრენიდან მის დაშვებამდე შეუჩერებლად მუშაობენ და არეგისტრირებენ საავიაციო ტექნიკის მდგომარეობას (საწვავის წნევა ძრავში შესვლისას, წნევა ჰიდროსისტემებში, ძრავების ბრუნთა რიცხვი, მათი ტემპერატურა და სხვ), ნავიგაციურ მონაცემებსა (ფრენის სიმაღლე, სიჩქარე, კურსი, დაგვერდების, სრიალისა და ტანგაჟის კუთხეები) და ეკიპაჟის ქმედებებს (მართვის ორგანოების გადახრა, შასის ან მექანიზაციის გამოშვება-შეკეცვა).

მაგალითად, მოიერიშე Су-25-ზე გამოყენებული პარამეტრული „შავი ყუთი" Тестер-У3 წამში 256 პარამეტრს არეგისტრირებს და ეს თვითმფრინავზე, რომელიც სამოქალაქო ლაინერებთან შედარებით გაცილებით პატარაა.

30-40 წლის წინ პარამეტრული „შავი ყუთებიც" ინფორმაციას მავთულზე წერდნენ, მაგრამ თანამედროვე ლაინერებზე უკვე ელექტრონული ჩი-




ასე გამოიყურება თანამედროვე „შავი ყუთი". მარჯვენა მხარეს მას რადიოშუქურა უყენია, რომლითაც მას წყალში ჩავარდნის შემთხვევაში ეძებენ




დიდი ხნის განმავლობაში ინფორმაციის ჩაწერა, ადამიანის თმაზე უფრო წვრილ მავთულზე ხდებოდა

პები გამოიყენება. მაღალ ტემპერატურასა და დიდ დინამიკურ დატვირთვას ისინი კარგად უძლებენ და ინფორმაციის მოხსნაც გაცილებით მარტივია.

სამოქალაქო ლაინერების „შავი ყუთებიდან" ინფორმაციას ყოველი ფრენის შემდეგ იღებენ, ხოლო სახმელეთო პერსონალი მას გაშიფრავს და გააანალიზებს. მიღებული ინფორმაციით არკვევენ, ფრენისას ეკიპაჟმა უსაფრთხოების ნორმები ხომ არ დაარღვია ან თვითმფრინავის საექსპლუატაციო ფარგლებს ხომ არ გასცდა.

„შავი ყუთებისთვის" წაყენებული უპირველესი მოთხოვნა გამძლეობაა. ინფორმაციის შემნახველი საშუალება მაგრდება ფოლადის კარკასზე, რომელიც სპეციალური ქაფით იფარება და ყველაფერი ეს დაახლოებით 10 მმ სისქის დაჯავშნულ კორპუსში იდება. დინამიკური დარტყმების გარდა, „შავმა ყუთმა" დიდ ტემპერატურასაც უნდა გაუძლოს. თანამედროვე ნიმუშები 1500-1600 გრადუსზეა გათვლილი.

ძლიერი დაცვის მიუხედავად, ზოგჯერ „შავი ყუთები" იმდენად ზიანდება, რომ მაგნიტური ფირი 5-6 სმ-იან ნაწილებად იგლიჯება. ასეთ შემთხვევებში ექსპერტებს მისი აღდგენა ნაწილ-ნაწილ უწევთ, — ასობით ნაწილს მოხეული კიდეებით ერთმანეთს არგებენ და მაგნიტური ფენის საპირისპირო მხრიდან სკოჩით აწებებენ.

სომხური „აირბასის" ჩამოვარდნის ადგილას შავი ზღვის სიღრმე ნახევარ კილომეტრზე მეტია. ეს კი „შავი ყუთების" პოვნის ალბათობას მინიმუმამდე ამცირებდა, მაგრამ ამ მოწყობილობების შემქმნელებს ყველა შემთხვევა გათვლილი აქვთ.

დასავლურ საბორტო თვითჩამწერებზე დაყენებულია სპეციალური რადიოშუქურები, რომლებიც მუშაობას წყალში მოხვედრისთანავე იწყებენ. ეს კი ზღვაში ჩავარდნილი „შავი ყუთის" ძებნას ბევრად ამარტივებს, მაგრამ რადიოშუქურებს 30-დღიანი რესურსი აქვთ.

„შავ ყუთებს" მხოლოდ 20 მაისს მიაგნეს და ხმელეთზე წყალქვეშა რობოტების დახმარებით ამოიტანეს. რამდენიმე კვირის შემდეგ ექსპერტებმა მომხდარის სურათი აღადგინეს.

დასაჯდომ კონფიგურაციაში მყოფ A320-ს ავტოპილოტი მართავდა. დისპეტჩერის მითითების მიღების შემდეგ, მოხვევის შესრულებისას, ეკიპაჟს მოეჩვენა, რომ ავტოპილოტს თვითმფრინავი მეტისმეტად დიდი დაგვერდების კუთხეზე გაჰყავდა. პილოტებმა ის გათიშეს და მართვა საკუთარ თავზე აიღეს.

სხვა ლაინერებისგან განსხვავებით, A320-ზე შტურვალების ნაცვლად ჯოისტიკები გამოიყენება. მარცხენა პილოტს ის მარცხენა მხარეს, მარჯვენას კი მარჯვნივ აქვს.

მათი ერთდროული გამოყენება კატეგორიულად იკრძალება, ამიტომაც ავტოპილოტის გათიშვის შემდეგ ერთ-ერთმა პილოტმა სპეციალური ღილაკით მართვისგან მეორე პილოტი უნდა გათიშოს და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგეს მართვას.

მაგრამ სომხური ლაინერის პილოტებმა ერთმანეთს ვერ გაუგეს. საკუთარი აზრის სისწორეში დარწმუნებულებმა, ორივემ ჯოისტიკის მოძრაობა დაიწყო. შემდეგ კი ყველაზე საშინელი რამ მოხდა, – ეკიპაჟმა სივრცეში ორიენტაცია დაკარგა. ლაინერი დიდი სიჩქარით მიფრინავდა და როცა ეკიპაჟმა წყალი დაინახა, უკვე გვიან იყო.

ნებისმიერი ავიაკატასტროფის მიზეზის დადგენა აუცილებელია. რა მოუვიდა ლაინერს? — პასუხს ამ კითხვაზე მოუთმენლად ელოდებიან კონსტრუქტორები, მფრინავები, თვითმფრინავის ექსპლუატანტი სხვა ავიაკომპანიები, დაღუპულთა ნათესავები.

ამიტომაც არის, რომ თვითმფრინავის ჩამოვარდნის შემდეგ სპეციალისტები და მაშველები უპირველესად „შავ ყუთებს" ეძებენ. ავიაციის ისტორიაში ათობით შემთხვევაა, როცა „შავი ყუთებიდან" მიღებული მონაცემებით თვითმფრინავების კონსტრუქციაში უამრავი ცვლილება შევიდა, შეიცვალა საფრენოსნო ექსპლუატაციის მოთხოვნები და მფრინავებმა ახალი ინსტრუქციები მიიღეს.

სანამ თვითმფრინავები იფრენენ, მანამდე კატასტროფები მის განუყოფელ ნაწილად დარჩება, მაგრამ ათასობით სპეციალისტი მუშაობს, რომ ფრენა უსაფრთხო გახდეს.

სანამ უარს იტყოდეთ თვითმფრინავით ფრენაზე, გაითვალისწინეთ, რომ სტატისტიკის მიხედვით 1 საავიაციო კატასტროფაზე 9000-მდე ავტოსაგზაო შემთხვევა მოდის.

**ალექსანდრე აფაქიძე**



სანამ ფრენაზე უარს იტყოდეთ გაითვალისწინეთ, რომ 1 საავიაციო კატასტროფაზე, 9000-მდე ავტოსაგზაო შემთხვევა მოდის

ეროვნული ბიბლიოთეკა



## სამხრეთაფრიკული სპეცრაზმი:

# წარმატებული ოპერაციის მძიმე საზღაური

(დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N25, 2011)

დღემ მოლოდინში გაიარა და მოსაღამოვდა თუ არა, სპეცრაზმელები დაზვერვაზე ზურგჩანთების გარეშე გავიდნენ — ასე უფრო მსუბუქად სიარულს შეძლებდნენ.

მალე პირველ სათვალთვალო პუნქტს მიადგნენ და იქიდან კი ავტოპარკის ღობის შემოვლით შუაღამისას ქარხანას მიუახლოვდნენ. სემი დარაჯად დადგა და გარემოს ყურადღებით ათვალიერებდა, ხოლო გრიფი ფოტოგადაღებებს შეუდგა.

ორივე დარწმუნდა, რომ ბრწყინვალედ ჩატარებული წინა ოპერაციისგან განსხვავებით ახლა მათ ბევრად მეტი სიძნელე ელოდათ.

მორჩა თუ არა გადაღებები, სემი — მარჯვნივ, ხოლო ფურიე კი მარცხნივ წავიდა, რათა მედესანტეებისთვის მიზნამდე მისაღწევი იოლი გზა მოეძებნათ.

ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ტერიტორიაზე შესაღწევად კი ღობეზე გადაძრომა იყო საჭირო, რომელსაც სამი სადარაჯო კოშკურა აკონტროლებდა და პროჟექტორების შუქი ანათებდა.

გარე ღობესა და შიდა მესერს შორის (სადაც სადარაჯო კოშკურები იდგა) დაახლოებით 100 მ სიგრძის ძველი საფეხბურთო მოედანი იყო.

მზვერავები უკან, „ბუნაგისკენ“ გაბრუნდნენ და როგორც ხშირად ხდება ხოლმე, უკან დასაბრუნებელი გზა გაცილებით სწრაფად გაიარეს.

გათენებამდე რამდენიმე საათი რჩებოდა. მოპოვებული ინფორმაცია იმედიანი ჩანდა, წინასწარი შეფასებით ჯგუფი დესანტირებას, მიზანთან მიახლოებასა და დავალების შესრულებას შეძლებდა.

შემდეგ გრიფი და ფურიე ისევ გორაკზე დაბრუნდნენ, სადაც ზურგჩანთები დატოვეს და შეეცადნენ სამიზნეზე მისაღწევად იმ ტემპით ევლოთ, რომლითაც მძიმედ აღჭურვილი სადივერსიო ჯგუფის წევრები დადიოდნენ.

გორაკიდან მშვენივრად მოჩანდა ყურეში შესასვლელი ყელი, ხოლო შენობის მახლობლად ანტენების მსგავსი რაღაცები იყო განლაგებული. სავარაუდოდ, ეს რადიოგადამჭრელი ან რადიოსალოკაციო სადგური იყო.

ამის შემდეგ გრიფმა კარიერზე გამავალი ბილიკის კიდევ ერთხელ გამოკვლევა გადაწყვიტა, რათა კარგად შეესწავლა ესა თუ ის საეჭვო ჩრდილი, სად იყო ორმო, სად ტალახი, სად ქვა-ღორღი და ა.შ.

ძველ ადგილზე მიბრუნებულმა მზვერავებმა გემთან რადიოკავშირის მორიგი სეანსი დაამყარეს, საიდანაც მაშინვე უპასუხეს და რამდენიმე ხნის მერე ზღვის წყვდიადიდან მოტორიანი ნავის ხმა გამოიკვეთა.

„პროთეაზე“ დაბრუნებულმა გრიფმა ოპერაციის ხელმძღვანელს, პოლკოვნიკ ბესტბირს, მოპოვებული სადაზვერვო მონაცემები გააცნო. ფოტომასალა საუკეთესო ხარისხის გამოდგა — მათზე ასახული იყო ყველა ის წვრილმანი, რომლის დანახვაც შეუიარაღებელი თვალით შეუძლებელი იყო.

გრიფმა რეკომენდაცია გაუწია ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ეზოში მიტოვებული საფეხბურთო მოედნის გავლით შეღწევის ვარიანტს.

მოედანზე წამოზრდილი ერთ მეტრამდე სიმაღლის ბუჩქები პროჟექტორების შუქზე გრძელ ჩრდილებს ქმნიდნენ და სადივერსიო ჯგუფისთვის ერთგვარი თავშესაფარიც კი იყო.

ფურიე და გრიფი თითოეულ ფოტოს კომენტარს უკეთებდნენ და რაც მეტს ლაპარაკობდნენ, მით უფრო ყურადღებით უსმენდნენ დივერსანტები.

ცოტაოდენი ხნის შემდეგ ანდრე ბესტბირმა ოპერაციის დაწყების გადაწყვეტილება მიიღო.

ერთ-ერთ მოიერიშე ჯგუფს (მასში შევიდნენ: სემ ფურიე, ჯეიკ რიხტერი

და ჯონი პაში) სათავეში ჯეკ გრიფი ჩაუდგა.

მეორე სამკაციან ჯგუფს კაპიტანი აბრაჰამ იაკობუს პეტრუს დე კოკი (კოკი), ხოლო მესამეს კი სემის მოგვარე, ლეიტენანტი ფრანსუა ეჟენ იაკობ ფურიე მეთაურობდა.

დივერსანტები გემიდან ორ კატარღაზე გადასხდნენ და გეზი ლუანდისაკენ აიღეს. ნავსადგურთან „ვიკინგებმა“ სიჩქარე მინიმუმამდე შეამცირეს და ბოლოს გაჩერდნენ კიდეც.

ორმა აკვალანგისტმა ნაპირის დასაზვერად გაცურა, ხოლო ჯგუფების მეთაურები ნაპირს ღამის ხედვის აპარატურით ათვალიერებდნენ. ნაპირზე კაცის ჭაჭანება არ იყო. ახალი მთვარე იდგა და მოულოდნელი გამონათება ნაკლებმოსალოდნელი იყო. ნაპირიდან მიღებული სიგნალი იტყობინებოდა, რომ ყველაფერი წესრიგში იყო.

დესანტირებამ წყნარად და მოწინააღმდეგისათვის შეუმჩნევლად ჩაიარა. მყვინთავებმა ნავები მოაბრუნეს, ოკეანის სიღრმისკენ გაცურეს და მოშორებით გაჩერდნენ, რათა მარცხის შემთხვევაში მებრძოლები სახიფათო ზონიდან სწრაფად გაეყვანათ.

ჯგუფს მიზნისკენ გრიფი მიუძღოდა. კარიერიდან საკმაოდ სწრაფად ამოვიდნენ, გრიფმა ავტოპარკის მახლობლად მეთაურებს ვითარება აუხსნა.

ოპერაციის ხელმძღვანელი ანდრე ბესტბირი და სერჟანტი იოჰან ბეუტი კარიერის ბოლოს მიგდებული ძველი ბულდოზერისაკენ გაემართნენ, სადაც რადიოსადგურის გაშლა იყო დაგეგმილი. დანარჩენებმა გვერდი აუარეს ავტოპარკს და მიზნისკენ წავიდნენ. ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში გაზის ჩირაღდანი გიგანტური სანთელივით ენთო და ორიენტირის როლს ასრულებდა.

მალე ქარხნის მავთულხლართის ღობეც გამოჩნდა. დივერსანტები დარწმუნდნენ, რომ არავინ უთვალთვალებდათ (ყარაულს ეძინა, ან პოსტზე საერთოდ არ იდგა) და ორმა მათგანმა მავთულხლართებში გასასვლელი გაჭრა. ჯგუფი ოთხით გაძვრა და საფეხბურთო მოედანზე აღმოჩნდა.

ქარხნის შიდა ღობემდე ცოტაღა რჩებოდა, როცა მოულოდნელად ერთ-ერთი პროჟექტორი ჩაქრა. სპეცრაზმელებმა იფიქრეს, რომ შეამჩნიეს და მოწინააღმდეგის ცეცხლის მოლოდინში მაშინვე მიწას გაეკრნენ, მაგრამ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. არადა, არ იცოდნენ, რომ პროჟექტორები გადახურებისას ავტომატურად ითიშებოდა.

ქარხნის ეზოს შიდა ღობე იმდენად მორყეულიყო, რომ წამებში გადავიდნენ და ჯგუფები კონკრეტულ სამიზნეებზე გადანაწილდნენ.

გრიფი სამი მებრძოლით სარექტიფიკაციო სვეტებისაკენ გაიქცა. სვეტები ერთმანეთისგან კონსტრუქციით განსხვავდებოდა. არც ლიუკი მოჩანდა სადმე და არც ბეტონის საფუძველი.

სვეტის მახლობლად მართვისა და კონტროლის პოსტი იყო, სადაც ექვსკაციანი ცვლა მუშაობდა.

გრიფმა ორი მსხვილი მილის დანაღმვის ბრძანება გასცა. მას იმედი ჰქონდა, რომ საწვავი ერთი-ერთზე მაინც იქნებოდა. ფურიემ და რიხტერმა ბრძანება თვალის დახამხამებაში შეასრულეს.

დივერსანტები ანგოლელთა „ცხვირწინ“ მოქმედებდნენ და ეჩვენებოდათ, რომ მოწინააღმდეგე მათ უყურებდა და აკვირდებოდა.

ჯგუფმა მაშინვე პროფილაქტიკაზე მყოფ მეორე სვეტს მიაშურა. ირგვლივ ბნელოდა და საკონტროლო პუნქტიც ცარიელი ჩანდა.

ჯგუფმა კიბე აიარა და მოულოდნელად აღმოაჩინა სხვა ლიუკი, რომელიც ფოლადის ხუფით იყო დახურული და გასაღებით ჩაკეტილი. მებრძოლები გასაღების დასამტვრევად მოემზადნენ, როცა ძლიერი აფეთქების ხმა გაისმა. რომელიღაც ჯგუფმა ნაღმი დროზე ადრე ააფეთქა.

ოპერაცია ჩაშლის პირას იყო. გრიფმა ნაღმების პირდაპირ სვეტებზე მიმაგრების ბრძანება გასცა. ბრძანება სწრაფად შესრულდა და 40 კგ ასაფეთქებელი მასალა სვეტის დასანგრევად სრულიად საკმარისი უნდა ყოფილიყო.

მოგვიანებით გაირკვა, რომ აფეთქე-



სპეცრაზმელები გემზე მოქმედების ელემენტებს ამუშავებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა



**სამხრეთაფრიკელი სამხედროების აღჭურვილობაში დიდი ადგილი უკავია კომპაქტურ შეიარაღებას და მათ შორისაა მცირეკალიბრიანი ნაღმსატყორცნები**

ბა დე კოკის ჯგუფთან იყო დაკავშირებული და ქარხნის იმ ნაწილში, სადაც ეს მოხდა, ჯოჯოხეთი დატრიალდა. კიოდნენ სირენები, ისმოდა ყვირილი, ჯარისკაცები გარბი-გამორბოდნენ და ცეცხლის ჩაქრობას ცდილობდნენ.

კიდევ რამდენიმე ძლიერი აფეთქების ხმა გაისმა და ცეცხლის ენები ცას მისწვდა.

თავშეყრის ადგილზე ყველა დაბრუნდა, კოკის ჯგუფის წევრების გარდა. წინასწარი გეგმით დაკარგულებისა და ჩამორჩენილების ძებნაზე პასუხს აგებდა ფრანს ფურიე. იგი თავისი ჯგუფით პირველი აფეთქების ადგილისაკენ გაემართა და გზის მოჭრისას პატრულს გადააწყდა და უკან დაბრუნდა. ამ დროს გაისმა მესამე აფეთქების ხმა. ფურიემ კიდევ ერთხელ სცადა კოკის ჯგუფის მოძებნა, მაგრამ საძებრად წასულებს ამჯერად ძლიერმა ხანძარმა გადაუღობა გზა.

მოულოდნელად ქარხნის მხრიდან ლასლასით მომავალი ადამიანი გამოჩნდა, ეტყობოდა, აფეთქებისგან იყო დაყრუებული.

დივერსანტებმა შორიდანვე ამოიცნეს კოკის ჯგუფის წევრი იაკობუს შალკვიკ კლოპერსი და დაუძახეს. კლოპერსი შემობრუნდა და შეკრების ადგილისკენ ბანცალით წამოვიდა. აშკარად ჩანდა, რომ მისი მდგომარეობა მთლად კარგი არ იყო.

სპეცრაზმელებმა მასთან მიირბინეს და ხელი შეაშველეს. კაპრალი საშინლად გამოიყურებოდა: თმა შეტრუსული ჰქონდა და ტანსაცმლის მაგივრად ტანზე ნაფლეთები ეკიდა. როცა სხეულზე შეეხნენ, სიმწრისგან იღრიალა. ოდნავ გონს მოვიდა თუ არა, თქვა, რომ აფეთქება მოულოდნელად მოხდა და კაპიტანი დე კოკი დაიღუპა. რაც შეეხება კაპრალ პიტ ფან საილს, მძიმედ დაჭრილი და გონდაკარგული აფეთქების ადგილიდან ოდნავ მოშორებით დარჩა.

კლოპერსმა უკან გაბრუნება და თუ ცოცხლებს ვერ მიუსწრებდნენ, დაღუპულთა გვამების გამოტანა მოითხოვა. ამ სახიფათო გზას შემთხვევის ადგილისკენ კლოპერსთან ერთად ფრანსი, სემი და ორივე ფურიე დაადგნენ. მათ მოძებნეს ის ადგილი, სადაც კლოპერსმა უკანასკნელად ნახა კოკი. ამ დროისთვის კლოპერსს შოკმა თითქმის გაუარა და დამწვრობის გამო მტანჯველი ტკივილი დაეწყო.

მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი ხანძარი იქაურობას კარგად ანათებდა, ფაიკის მოძებნა ვერ მოხერხდა. ქარხნის ეზოში ანგოლელი ჯარისკაცები მიმორბოდნენ და ჯგუფი ნებისმიერ დროს შეიძლებოდა პატრულს გადაჰყროდა, მაგრამ ძებნა მაინც გაგრძელდა.

ხმაურსა და ქაოსში ფრანსმა ვიღაცის მავედრებელი სიტყვები გაარჩია, „ნუ დამტოვებთ! წამიყვანეთ, ნუ დამტოვებთ!“ — ეს იყო ფაიკი ფან საილი. აფეთქებამ ის დააბრმავა და ახლა ხმაურის მიმართულებით მიფოფხავდა. როცა სემი და ფრანსი მას მხარში ამოუდგნენ, ფაიკი საილმა ტკივილისგან იყვირა — მას სხეული დამწვარი ჰქონდა.

ჯგუფი კიდევ ერთხელ შეეცადა დე კოკის პოვნას, ბოლოს, ფრანსი შემთხვევით წააწყდა დაკარგული ჯგუფის უფროსის ტანსაცმლისა და სხეულის ნაფლეთებს, ცხადი გახდა, რომ კოკი აფეთქებამ გაანადგურა.

შემდეგ ოთხივენი დათქმულ ადგილზე დაბრუნდნენ და დრო რომ არ დაეკარგათ, უკან, სანაპიროსკენ საფეხბურთო მოედნის გავლით გაემართნენ.

ამ დროს კი ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ეზოში ფეიერვერკი დაიწყო: ყოველ წუთს ისმოდა გამაყრუებელი აფეთქების ხმა, ცეცხლის ენები კი ცას სწვდებოდა.

ბოუსტმა და ბესტბირმა „პროთეაზე“ მომხდარის შესახებ ინფორმაცია გადასცეს და გემიდან სპეცრაზმელთა გამოსაყვანად მოტორიანი ნავები გაიგზავნა.

ნავები ადგილს მოსწყდნენ და გემისაკენ დიდი სიჩქარით გაცურეს. დასახული ამოცანა შესრულდა, მაგრამ ყველა დათრგუნვილი იყო — სამხრეთ აფრიკის სადაზვერვო-სადივერსიო პოლკის ისტორიაში დაღუპული თანამებრძოლის ცხედარი პირველად დარჩა მოწინააღმდეგეს.

ლუანდიდან მოსული ცნობით, დივერსანტებმა შეძლეს ქარხნისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება და წარმოება რამდენიმე კვირით შეჩერდა. მისი მუშაობის სრული აწყობა მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ გახდა შესაძლებელი.



# ბომბები ბუნკერების გასანადგურებლად

სამხედრო საქმეში ჯარების მართვას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და ამიტომ არის, რომ საკომანდო პუნქტები განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებს. არტილერიისა და ავიაციის საბრძოლო საშუალებათა სიძლიერის ზრდასთან ერთად მართვის საკომანდო პუნქტები, საწვავისა თუ ტყვია-წამლის საწყობები მიწის ქვეშ სულ უფრო ღრმად თავსდება, შესაბამისად, მათი აღმოჩენისა და განადგურების ალბათობა მცირდება.

მეტი სიმტკიცისთვის მიწისქვეშა ბუნკერებს რკინაბეტონით ამაგრებდნენ და ჩვეულებრივი ფუგასული ბომბები მათ წინააღმდეგ უკვე უძლურია.

მსგავსი ობიექტების განადგურების სურვილმა სამხედროებს ახალი კლასის ბომბების შექმნისკენ უბიძგა, რომლებიც სპეციალურად დიდ სიღრმეზე არსებული ობიექტების გასანადგურებლად იქნებოდა განკუთვნილი.

გავიდა დრო და მიწისქვეშა წერტილოვან სამიზნეებთან საბრძოლველად სპეციალისტებმა ბომბები მართვის სისტემებით აღჭურვეს. ამიერიდან მათ დამიზნებას ლაზერის სხივი ან GPS-სისტემა უზრუნველყოფდა.

საავიაციო იარაღის მთავარი მახასიათებელია მის სრულ წონასთან ასაფეთქებელი ნივთიერების მასის თანაფარდობა. მაგალითად, საავიაციო რაკეტებისთვის ეს მაჩვენებელი 0.2-დან 0.5-მდე მერყეობს (დაბალი მაჩვენებელი რაკეტებზე ძრავით, საწვავითა და დამიზნების სისტემით არის განპირობებული), ჩვეულებრივი ბომბებისთვის ეს მახასიათებელი ერთს უახლოვდება, ხოლო მართვადი ბომბებისთვის კი 0.7-0.9-ს შეადგენს.

**ჩვენი დოსიე:**

**ბუნკერსაწინააღმდეგო მართვადი ბომბი — GBU-28**
**წონა — 2268 კგ**
**საბრძოლო ნაწილის მასა — 2003 კგ**
**სიგრძე — 3.88 მ**
**დიამეტრი — 0.36 მ**
**დამიზნების სისტემა — ლაზერული მოქმედების მანძილი — 9-10 კმ**
**ფასი — 145.600 აშშ დოლარი**
**მატარებელი საშუალება — B-2A, F-15E, F-111**

პრაქტიკულად მსგავსი მასისა და გამოყენების დისტანციისას (რაკეტასთან შედარებით) კორექტირებადი ავიაბომბი გაცილებით ეფექტურია.

ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაციით, ისრაელმა აშშ-ისგან ბუნკერსაწინააღმდეგო სიღრმული ბომბების ყიდვა განაახლა. უკანასკნელ პერიოდში ურთიერთობა იერუსალიმსა და თეირანს შორის დაიძაბა და, სავარაუდოდ, სწორედ ამან განაპირობა ამ კლასის შეიარაღების ყიდვა. **გამორიცხული არ არის, ისრაელმა ეს ბომბები თეირანის მიწისქვეშა ბირთვული ობიექტებისა და ბოლო დროს მშენებარე ბალისტიკური რაკეტების შახტების გასანადგურებლად გამოიყენოს.**

იმ ბომბებს შორის, რომლებსაც ვაშინგტონი ისრაელს მიჰყიდის, GBU-28 და GBU-39 ფიგურირებს.

GBU-28 Bunker Buster-ის შექმნა სამხედროების მოთხოვნით ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხლის" დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ დაიწყო. ერაყის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი ბაღდადში, მიწისქვეშა ბუნკერი მრავლად იყო, ამერიკელებს კი მათი გასანადგურებელი საშუალებები არ ჰქონდათ.




ქუვეითში, „ალი ელ სალემის" ავიაბაზაზე ბუნკერსაწინააღმდეგო ბომბით განადგურებული კაპონირი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაქსიმალური ზიანის მისაყენებლად, ამ კლასის ბომბები მხოლოდ წინააღმდეგობის გარღვევის შემდეგ ფეთქდებიან. ფოტოზე GBU-39 კაპონირში მდგარ თვითმფრინავს ანადგურებს

**ჩვენი დოსიე:**

ბუნკერსაწინააღმდეგო მართვადი ბომბი — GBU-39
წონა — 129 კგ
ასაფეთქებელი ნივთიერების მასა — 23 კგ
სიგრძე — 1.8 მ
დიამეტრი — 190 მმ
დამიზნების სისტემა — თანამგზავრული
მოქმედების მანძილი — 110 კმ
ფასი — 70.000 აშშ დოლარი
მატარებელი საშუალება — B-52H, B-1B, B-2A, F-15E, F/A-22, A-10





ოფიციალურად GBU-28-ზე მუშაობა 1991 წლის 1-ელ თებერვალს დაიწყო და უკვე 16-ში დამკვეთს ორი საცდელი ნიმუში გადაეცა. სხვათა შორის, ამ ბომბების კორპუსების დამზადებისას, ჩამოწერილი ჰაუბიცების გადადნობილი ლულები გამოიყენეს. ბომბი მართვადია — სამიზნეზე ის ლაზერის სხივით გადის და მისი გამოყენება მაქსიმალურ 9 კმ-ზე შეიძლება.

გამოცდის შედეგით სამხედროები კმაყოფილნი დარჩნენ — ბომბმა 30 მ სიღრმის გრუნტისა და 6 მ სისქის რკინაბეტონი გაარღვია.

მისი საბრძოლო დებიუტი 1991 წლის 27-28 თებერვლის ღამეს შედგა, როცა ორმა F-111-მა ბაღდადის შემოგარენში სამიზნეები ორი ბომბით გაანადგურეს.

ამერიკელებმა GBU-28-ები 2003 წელს დაწყებულ ერაყის კამპანიაშიც მრავლად გამოიყენეს.

ისრაელმა პირველი 100 ასეთი ბომბი აშშ-ისგან 2005 წელს შეიძინა.

რაც შეეხება GBU-39-ს, ის მაღალი სიზუსტის იარაღის სფეროში აშშ-ის ერთ-ერთი ბოლო ქმნილებაა. სამიზნის მაღალი სიზუსტით განადგურებასთან ერთად, მისი დიდი პლუსი კომპაქტურობაა — ბომბი მხოლოდ 129 კგ-ს იწონის. აშშ-ის არმიამ ის შეიარაღებაში 2006 წელს მიიღო.

ბომბი SDB-ის (Small Diameter Bomb) კლასის შეიარაღებას განეკუთვნება და სპეციალურად „რაპტორისთვის“ შეიქმნა. F/A-22-ს 8 ასეთი ბომბის ტარება შეუძლია. ის მაღალი სიზუსტით გამოირჩევა და სამიზნიდან სავარაუდო გადახრა 5-8 მ-ს არ აღემატება. დისტანციის გათვალისწინებით ეს პრაქტიკულად ზუსტი მოხვედრის ტოლფასია. GBU-39-ის დამიზნება თანამგზავრული სისტემების გამოყენებით ხდება.

ბომბი პლანირებადი სქემით არის შექმნილი. თვითმფრინავიდან ჩამოგდების შემდეგ კორპუსის გასწვრივ დაკეცილი ფრთები ეშლება და სამიზნეს 110 კმ დისტანციაზე ანადგურებს. შედარებისთვის: უმეტეს შემთხვევაში ტაქტიკური რაკეტები ამ მანძილის ნახევარსაც ვერ ფარავენ.

ოთხი ბომბი „რაპტორის“ უნივერსალურ საკიდარზე იკიდება. შეიარაღების შიდა ნაკვეთურში GBU-39-ს განთავსება სწორედ ასეთი სახით ხდება.

ამერიკელებმა რეალურ საბრძოლო პირობებში ბომბი ერაყსა და ავღანეთში უკვე გამოიყენეს. სხვათა შორის, მისი გამოყენება ყოველგვარი გადაკეთების გარეშე ისრაელისა და იაპონური F-15-ებიდანაც შეიძლება.

მსგავსი კლასის ბომბები რუსებსაც აქვთ. გასული საუკუნის 70-იან წლებში მართვად ბომბებზე მუშაობა რუსებმაც დაიწყეს და КАБ-1500-ის ტიპის მართვადი ბომბების რამდენიმე მოდიფიკაცია შექმნეს. 1500 კგ-იანი ბომბის და-

**ჩვენი დოსიე:**

GBU-24E/B-ს აქვს სპეციალური საბრძოლო ქობინი, რომელსაც რკინაბეტონის კონსტრუქციის გარღვევა შეუძლია. ის მართვადი საავიაციო ბომბების — Paveway III-ის ოჯახს მიეკუთვნება. მისი დამიზნება ლაზერული და ინფრაწითელი სისტემების გამოყენებით ხდება. 907 კგ-იანმა ბომბმა (მოქმედების მანძილი 18.4 კმ) განვითარების რამდენიმე გზა გაიარა. მისი წინამორბედი BLU-109 იყო. მას გამაგრებული ობიექტებისა და საფორტიფიკაციო ნაგებობების გასანადგურებლადაც იყენებდნენ, თუმცა, მისი დამიზნება GPS სისტემით ხდება.

80-იანი წლების ბოლოს აშშ-ში პროგრამა JDAM (Joint Direct Attack Munition) ამოქმედდა და თანამედროვე ელექტრონიკისა თუ თანამგზავრული ნავიგაციის სისტემების გამოყენებით უბრალო ბომბების მართვადად გადაკეთება დაიწყეს.

კომპლექტ JDAM-ში ფრთები (ბომბის შუა ნაწილზე მაგრდება) და ფრთასხმულობიანი კუდის ბლოკი შედის. ბლოკში თანამგზავრული ნავიგაციის სისტემის კომპიუტერია განთავსებული.

ლაზერული ან ინფრაწითელი დამიზნების ბომბებისგან განსხვავებით, GPS-ის სისტემით ბომბის გამოყენების ეფექტურობაზე ატმოსფერული პირობები არ მოქმედებს.

სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში გადაკეთდა უბრალო Mk.84-ის ტიპის ბომბები ჯერ BLU-109-ებად (JDAM-ის კომპლექტით), ხოლო შემდგომ — GBU-24E/B-დ (Paveway III-ის კომპლექტით).





GBU-24E/B
სამიზნეს ანადგურებს



რუსული ბუნკერსაწინააღმდეგო
ბომბი КАБ-1500Л-Пр

მიზნება ნახევრად აქტიური ლაზერული სისტემით ხდება.

ბომბის მოდიფიკაცია, რომელიც მიწისქვეშა ობიექტებზე ზემოქმედებისთვის არის განკუთვნილი, КАБ-1500Л-Пр-ია. მას ქვეკალიბრული ფუგასურ-შეღწევადი საბრძოლო ქობინი აქვს და გრუნტში 20 მ სიღრმეზე ჩასვლა ან 3 მ სისქის რკინაბეტონის განგრევა შეუძლია.

მისი გამოყენება 1-დან 15 კმ სიმაღლის დიაპაზონში შეიძლება, მაგრამ მატარებელი თვითმფრინავის ფრენის სიჩქარე 1700 კმ/სთ-ს არ უნდა აღემატებოდეს.

**ალექსანდრე აფაქიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თუ ნადირობა არ იცი, სანადიროდ არ უნდა წახვიდე



სოსო ბალიაშვილისგან ინტერვიუს აღება მას შემდეგ გადავწყვიტე, რაც მისი მონაყოლი საოცარი ამბები შევიტყვე ტყისა და ტყის ბინადრების შესახებ. სწორედ ეს არის ერთ-ერთი დასტური იმისა, რომ ნამდვილი მონადირე ტყისა და ტყის ბინადართა უპირველესი დამცველი და გულშემატკივარი უნდა იყოს.

— სანადიროდ ვიყავით. იმ ტერიტორიაზე მაღალი ბალახი იყო, უცებ რაღაც წამოხტა, მაგრამ ვერ მივხვდით, რა იყო. თურმე შველი და მისი ნუკრი იყვნენ. მოგეხსენებათ, შველზე ნადირობა აკრძალულია და მასზე ნადირობას არ ვაპირებდით. შველმა ძაღლის გატყუება სცადა, მისი ნუკრი რომ არ შეეჭამა, პატარა სულ ერთი კვირის მოგებული იყო. ძაღლები შველს გაეკიდნენ, ლეკვები კი ჩვენ მოგვდევდნენ. ნუკრი წამოხტა, ძაღლმა მასზე გაიწია, ჩემი მეგობარი შველს გადაეფარა, რომ ძაღლს მისთვის არ ეკბინა. ნუკრი ძალიან პატარა იყო და მიტოვებაც შეგვეცოდა, ჩავსვით ტომარაში და სახლში წამოვიყვანეთ. 1 დღე ჩვენს მეგობარს ჰყავდა, ძროხის რძეს ვასმევდით, მაგრამ მისმა ორგანიზმმა არ მიიღო, ვერ შეითვისა. ნუკრი ძალიან სუსტად იყო, ამიტომ გადავწყვიტეთ, უკან დაგვებრუნებინა. ჩავსვით კვლავ ტომარაში და ზუსტად იმავე ადგილას დავსვით, სადაც ვიპოვეთ. საოცარი სანახაობის მომსწრე გავხდით, – შეიძლება გული უგრძნობდა, დედამისი შორიახლოს იდგა, ისე, რომ ვერ შეგვემჩნია, შორიდან ძნელად თუ მოჰკრავდი თვალს. 200 მეტრიდან დაიბღავლა, პატარა ნუკრმაც თავისებურად უპასუხა და შველი მოვიდა ნუკრთან. ასეთი საოცარი სცენა არასოდეს მინახავს.

**— რაიმე ტრადიცია თუ გაქვთ სანადიროდ წასვლის წინ?**

— სანადიროდ გამთენიისას ან ღამით გავდივართ, წინასწარ ნადირობის ქალღმერთ დალის ვახსენებთ და მის სადღეგრძელოს დავლევთ. არის მეორე ღვთაება – ნადირთა მწყემსი ოჩოპინტრე, რომელსაც ასევე შევთხოვთ დახმარებას და შეწევნას.

**— ძირითადად, რაზე ნადირობ ხოლმე?**

— ნადირზე ნადირობას ვარჩევ. ღორი, კურდღელი ბლომადაა ჩვენს ტყეებში. ბევრ ნადირზე ნადირობა აკრძალულია და იძულებული ვართ, ვინადიროთ იმაზე, რაც ნებადართულია. ბოლოს და ბოლოს, ნადირობა უპირველეს ყოვლისა, გართობა და დასვენებაა. ნაკლებად მიყვარს ფრინველებზე ნადირობა, მწყერზე იშვიათად თუ წავსულვარ. ნადირი გაცილებით საინტერესო მოსანადირებელია. ტყეების გაჩეხა ცუდ გავლენას ახდენას არა მარტო გარემოზე, არამედ ნადირზეც. ავიღოთ თუნდაც გარეული ღორი, რომელიც მოხეტიალე ცხოველია, ერთ ადგილას არ ცხოვრობს. მას ძირითადად მუხის ტყეებში წააწყდები, სადაც რკოთი იკვებება. რაც ნაკლებია მუხის ტყეები, მით ნაკლები საკვები აქვს მას, შესაბამისად, რაოდენობაც მცირდება.

**— ამ ბოლო დროს ძალიან აქტუალური გახდა მგლების პრობლემა. თითქოს ძალიან მომრავლდა და სოფელს აწუხებს. ზოგი ამტკიცებს, რომ ეს მგლები კი არა, სახლიდან გაგდებული, გაველურებული ძაღლებია. ხომ არ გინადირიათ მგლებზე?**

— მგლებზე არავინ ნადირობს, საამისოდ არავის სცალია. ჯერ ერთი, ნამდვილი მონადირეები ცოტანი არიან, ნადირის მოპოვება-მონადირებაზე მეტად თავის კუჭზე ზრუნავენ; მეორე, — იშვიათი შემთხვევების გარდა, როცა მგელი იტაცებს საქონელს, ადამიანისა მასაც ეშინია და გაურბის. გარდა ამისა, მგლებზე ნადირობას ერთი სირთულე აქვს – ძაღლები არ დასდევენ მგლებს და ნადირი ადვილად გაურბის მდევარს, ყოველ შემთხვევაში, ასეთი შემთხვევები ძალიან იშვიათია. მგელი ტყის სანიტრად ითვლება, ამიტომ მგლებზე ნადირობა ცოტა სადავო თემაა.

**— ხაფანგებს თუ იყენებთ?**

— ხაფანგების გამოყენება ცოტა რთული საქმეა. მაგალითად, ყანას უმეტესად მაჩვი და მელია აფუჭებს. ყანაში, თუ ის შემოღობილია, გარღვეულ ადგილას იგება ხაფანგი. მაჩვი ძალიან გემრიელია, ძირითადად, იხარშება.

**— ახალბედა მონადირეებს რა რჩევა-დარიგებას მისცემდით?**

— ნადირობა ისეთი რამ არის, თუ არ იცი, ძნელია რამე მოინადირო. რა თქმა უნდა, ყველაფერი რთულად გეჩვენება, რაც არ იცი. თუ ნადირობა არ იცი, არ უნდა წახვიდე, დროს უქმად დაკარგავ. ნადირი ძალიან ეშმაკია და მისი ყოველი ნაბიჯი შესწავლილი უნდა გქონდეს. უნდა იცოდე, როგორ გზებზე დადის, როგორ მოუჭრა გზა. მარეკები რომ გამორეკავენ, მათაც ზუსტად უნდა იცოდნენ, რა გზით გამორეკონ და მონადირემაც, რომელიც ჩასაფრებულია. ერთხელ მეგობრებმა ღორზე სანადიროდ წამიყვანეს. ღორზე ნადირობა ჰქვია, თორემ შეიძლება უცებ სხვა ნადირი გამოჩნდეს და იმაზე ინადირო. დილით რომ ავედით,

როგორც გამოუცდელი, ყველაზე ცუდ ნომერში დამაყენეს. ისეთი ადგილი იყო, შანსი არ იყო, ნადირი გამოსულიყო. განა ვერა ვხვდებოდი, მაგრამ როგორც ახალბედას, არ მენდნენ. ერთი კიდევ ჩემზე უარესი იყო, ჩემზე უარესად იცოდა ნადირობა. მთხოვეს, შენ მიაქციე ყურადღებაო. 4 საათი ვიდექი ნომერში. ძაღლების ყეფაც კი ვერ გავიგე. დავიღალე, შემცივდა... მოვიდა შუადღე და გავიგონე ძაღლების ხმა. ღორები გამოერეკათ ძაღლებს და ეგრევე ჩემკენ წამოვიდნენ. ტყეში ძაღლის ხმა რომ გაისმება, არემარე ზანზარებს და ტყე ბანს აძლევს. ხმამ ზემოთ აიარა და მივხვდი, ნადირიც ზემოთ წავიდა. ზემოთ იდგა ხალხი და სროლის ხმაც გაისმა. გავარდა ორი ტყვია, მერე კიდევ ორი მიყოლებით და მოკვდა ნადირი, ძაღლების ხმაც გაჩერდა.

**— ძაღლი ხომ არ მომკვდარა?**

— არა, ეს იმას ნიშნავს, ძაღლი რომ ნადირს მისდევს და ვიღაც თოფს გაისვრის, ნადირი კვდება, ძაღლმა ეს იცის და ჩუმდება. ძაღლების ხმა რომ მიჩუმდა, მეგონა, ნადირი მოკალით-მეთქი, მაგრამ ვცდებოდი. ძაღლი სხვადასხვა ნადირს სხვადასხვა ხმაზე უყეფს, სხვანაირად უყეფს შველს, ღორს, კურდღელს და ა.შ.

**— ძაღლი ასე სპეციალურად არის გაწვრთნილი?**

— არა, ეს ძაღლს გამომუშავებული აქვს. დავუშვათ, ნადირი გაჩერებულია, ბუნაგშია, იქ უსაფრთხოდ გრძნობს თავს. ბუნაგში მწოლ ნადირთან ძაღლი უფრო ფრთხილია, შედარებით ბოხ ხმაზე ყეფს და ბოლოში წაიყმუვლებს ხოლმე. სხვადასხვა დისტანციაზე სხვადასხვანაირ ხმას გამოსცემს. მოკლედ, გულში ვფიქრობდი, ნანადირევი ხელთა მაქვს და ოჯახში აღარ დამცინებენ-მეთქი. უცებ ხმა ისევ გაისმა ძაღლებისა. ხმა ჩემკენ წამოვიდა. გავიფიქრე, იქნებ ბედმა გამიღიმოს-მეთქი. ტყეში ნაძვნარია. სამანქანო გზა ტრაქტორით იყო გაჭრილი და წინ ჩასახტომი იყო გაკეთებული. მე შეფარებული ადგილი შევარჩიე, ნადირს რომ არ შევემჩნიე (ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანია შეფარული იყო, ნადირი ძალიან ფრთხილი და დაკვირვებულია, შეიძლება შეგამჩნიოს. მცირე ფაჩუნსაც კი გრძნობს). წაღებული მქონდა ბიძაჩემის ძველი თოფი, რომელშიც ტყვიები ლაყლაყებს. უკვე ლაწალუწი მესმის ტყეში, ნადირი მიახლოვდება. მაშინვე გადავტენე თოფი. კანი მებურძგლებოდა უკვე, ნადირის მოახლოებას რომ ვგრძნობდი. რომ დავინახე, სიმართლე გითხრა, ვერ ვიცანი, დათვი იყო თუ ღორი. ასე, ერთი 10 მეტრში დავინახე. ნადირს დაახლოებით 30 მეტრში ძაღლი მოსდევდა. ბუჩქებში ვიყავი და ველოდებოდი, ახლოს მოსულიყო. 30-40 მეტრში შემეძლო მესროლა, მაგრამ თავი შევიკავე. ახლოს რომ მოვიდა, დავინახე, პირიდან დუჟი გადმოსდიოდა, ჯაგარი კი ყალყზე დასდგომოდა. 15 მეტრში მოვიდა, იქვე, ჩამოსახტომზე ჩამოხტა და წამიერად შეყოვნდა, ამით ვისარგებლე და ვესროლე. ტყვია უკანა მხარეს მოხვდა, მაგრამ მაინც გაიქცა. ჩემ შემდეგ მეორე ბიჭი იდგა. მე მივრბივარ, რომ ნადირს გზა მოვუჭრა და დავხვდე. მას კი გამოცდილება არ ეყო, მე ვეგონე ნადირი, გადმოიღო თოფი და კინაღამ მომარტყა. წასვლას უკვე აღარ ჰქონდა აზრი. შეიძლება ნადირი სადმე ბუჩქებში ჩასაფრებულიყო. ნადირის კვალს ვდიეთ, კვალმა წყალთან მიგვიყვანა. ძაღლები ავუშვით, რომ დაჭრილი ნადირი ეპოვათ, მაგრამ მათაც ვერ მიაგნეს. მთელ ტყეში ვერსად ვიპოვეთ. მეორე დღეს ჩვენი სოფლიდან ბიჭები შუშის ჩამოსატანად წავიდნენ. ერთი ირწმუნებდა, ღორი მოვკალიო. რომ ჩავეძიეთ, ვნახე, რომ ღორს იმ ადგილას ჰქონდა მორტყმული, სადაც მე ვესროლე. ბოლოს აღმოჩნდა, რომ დაჭრილ ღორს წყალში გაუტოპავს, შემდეგ 20 მეტრი გაუვლია და მომკვდარა. ჩვენ ვერ მივაგენით, იმიტომ, რომ კვალი ვეღარ ვიპოვეთ. როგორც ჩანს, ღორი ნაპირიდან ნაპირზე გადახტა, კვალი რომ აერია და ჩვენც შევცდით. საერთოდ, ნადირი ძალიან ჭკვიანია, ეს ადრეც ვთქვი. კურდღელი ძალიან მშიშარაა და ეტყობა, ამიტომ აქვს სიფრთხილე და ეშმაკობა განვითარებული. გაიქცევა, ისევ პირველ ადგილს დაუბრუნდება, ამ დროს ძაღლს სუნი ერევა და კურდღელიც გარბის.

**— იქვე, ტყეში, რაიმე განსაკუთრებულ კერძს ხომ არ ამზადებთ ნანადირევისგან?**

— არანაირი კერძები, ძირითადად, მწვადს ვწვავთ და ისიც ნახევრად შემწვარია. როცა გშია, აღარ აცლი შეწვას. რამდენჯერ სისხლიანი მწვადი მიჭამია, მაგრამ დამიჯერეთ, ამ დროს ყველაფერი გემრიელია.

**ქეთი ადეიშვილი**



მონადირის მარჯვენა ხელი ყოველთვის მისი ოთხფეხა მეგობარია



# ალფრედ დიდი

## 849-899

**უესექსის მეფე ალფრედ დიდმა ინგლისზე დანიელთა თავდასხმები შეაჩერა. ინგლისის მეფეებსა და დედოფლებს შორის ის იმით არის გამორჩეული, რომ „დიდი" ეწოდება, ალბათ, ეს ნაწილობრივ უიმედო ბრძოლებში მისი გამარჯვებებითაც აიხსნება.**

### ქრონოლოგია

* 849 დაიბადა ბერქშირში.
* 871 ავიდა მერსიისა და უესექსის ტახტზე.
* 872 დანიელებმა მერსიაზე იერიში მიიტანეს.
* 875 დანიელებმა უესექსს შეუტიეს.
* 877 დანიელებმა მერსიის კოლონიზაცია დაიწყეს.
* 878 ედინგტონის ბრძოლაში დანიელები დაამარცხა.
* 880 დანიელები ინგლისის დასავლეთში დასახლდნენ.
* 886 დაიმორჩილა ლონდონი.
* 896 დანიამ შეწყვიტა დამპყრობლური ომები.

### მეცნიერი მეფე

ვანატინგში (თანამედ. უონტეიჯი), ბერქშირში, 849 წელს დასავლეთ საქსონთა მეფე ეთელვულფის ოჯახში მეხუთე ვაჟი დაიბადა. გამეფების შემდგომ მას არცთუ დიდი პერსპექტივა ელოდა წინ. მეცნიერი ალფრედი 853-855 წლებში რომს სტუმრობდა.

ალფრედის უფროსი ძმები მეფის ტახტისთვის უფრო შესაფერისი იყვნენ. 790 წლიდან ვიკინგები ინგლისის სანაპირო და შიდა მიწებს აოხრებდნენ. თანდათან დანიური დასახლებებიც გაჩნდა, ვიკინგებმა კი 867 წელს იორკი დაიპყრეს, სამხრეთ ნორთუმბრიაში სამეფო დააარსეს და აღმოსავლეთ ინგლისსა და მერსიაში ანგლოსაქსონური სამეფოები ააოხრეს. 870 წელს რედინგისკენ მიმავალმა დანიურმა არმიამ უესექსის დაპყრობა დაიწყო. ალფრედი თავისი ძმის, მეფე ეთელრედის მეთაურობით საქსონთა გაერთიანებული ძალებით ბერქშირის ველებზე დანიელებს შეერკინა და დაამარცხა კიდეც. თუმცა, 871 წელს დანიელებმა საქსონთა ლაშქარს ბეზინგსტოკში სძლიეს და იმავე წელს ახალი ჯარიც გადასხეს ინგლისში. უესექსი, ერთადერთი დამოუკიდებელი ინგლისური სამეფო, დაცემის პირას იყო. ამ ურთულეს ვითარებაში მეფე ეთელრედი გარდაიცვალა და სამეფო ძმას — ალფრედს დაუტოვა. საქსონთა არმიაც მისი მისახედი შეიქნა. რაკი სამეფო ქაოსში იყო, ალფრედი იძულებული შეიქნა, დანიელი დამპყრობლების მოსყიდვა დაეწყო. ამით ხუთი წლით შეინარჩუნა სიმშვიდე.

ალფრედის სახელი მანამ იცოცხლებს, სანამ კაცობრიობა წარსულს დააფასებს.

876 წლიდან დანიელებმა ისევ დაიწყეს შეჭრა ინგლისში. 878 წლის მოულოდნელი შემოსევისას მათ ჩიპენჰემი დაიმორჩილეს უილთშირში. დასავლეთის საქსონები დანებდნენ, ზოგიერთმა გაქცევით უშველა თავს. ალფრედი სომერსეთის ჭაობებისკენ წავიდა, ეთელნიში დაბანაკდა და რაზმის შეგროვება დაიწყო. მეფემ დანიელებს პარტიზანული ბრძოლა გაუმართა, 878 წელს კი ედინგტონის გადამწყვეტ ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვა.

ალფრედმა იცოდა, რომ დანიელებს მთელი ინგლისიდან ვერ განდევნიდა, ამიტომ უედმორის ზავით მშვიდობა ჩამოაგდო. მეფე გუთრუმი ალფრედმა ქრისტიანულად მონათლა, დანიელებმა კი აღმოსავლეთ ინგლისში დაიწყეს ჩასახლება. ინგლისი იმხანად გაყოფილი იყო ძველი რომაული, ე. წ. ვეტლინგების გზით, რომლის აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ მიწებს დანიელები აკონტროლებდნენ. ამ ადგილს დანელაგი ეწოდება. ამ გაყოფით ისარგებლა ალფრედმა და მერსიაზე კონტროლი დაამყარა, 885 წელს კი კენტი შემოიერთა. ალფრედმა თავისი ერთ-ერთი ქალიშვილი, ეთელფლედი, მერსიის გრაფს მიათხოვა. თვითონ კი მერსიელი თავადის ქალი ელსვიტა შეირთო ცოლად. მეორე ქალიშვილი, ელთრიდი, ფლანდრიის გრაფს მისცა ცოლად.

როდესაც ვიკინგებმა აღმოსავლეთ



IX საუკუნის ინგლისელ მოლაშქრეთა ვარჯიში



871 წელს ანგლო-საქსები დანიელებთან ბრძოლაში დამარცხდნენ

ინგლისში მოიკიდეს ფეხი, ფლანდრია ძლიერი სამხედრო-საზღვაო ძალა იყო. 886 წელს ალფრედმა ლონდონი აიღო. ალფრედს დანიელთაგან თავისუფალ ინგლისში ყველგან მეფედ მიიჩნევდნენ. 892 წელს ალფრედმა კონტინენტიდან კიდევ ერთ ძლიერ შეტევას გაუძლო, მაგრამ 896 წლისთვის დანიელებმა შეწყვიტეს კუნძულზე თავდასხმა. ალფრედი 899 წლის 25, 26 ან 28 ოქტომბერს მიიცვალა და ნიუმინსტერის სააბატოში მიუჩინეს სამუდამო განსასვენებელი.

## ალფრედის მემკვიდრეობა

● როდესაც სომერსეტის ჭაობიანისკენ მიდიოდა, ალფრედმა გლეხის ქალის ქოხთან ინება შეჩერება. ქალმა სთხოვა, კვერებს ვაცხობ და მიმიხედეო. მეფე ფიქრმა წაიღო, თავისი გაქცევა მეტად ადარდებდა, ამიტომ ცეცხლზე დაწყობილი კვერები სულ დაეწვა. დაბრუნებულმა ქალმა ამის გამო გაკიცხა, მაგრამ აზრად არ მოსვლია, რომ მეფეს საყვედურობდა.

● 893 წელს ეპისკოპოსმა ასერმა ალფრედის ბიოგრაფია დაწერა. ედინგტონის ბრძოლის აღწერისას ის ამბობს: „ალფრედმა წარმართთა მთელი ჯარი მოიგერია მრისხანე ბრძოლით, უფლის ნებით კი საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც. დიდი დანაკარგი მიაყენა მტერს და [ჩიპენჰემის] ტყეებამდე სდია... თოთხმეტი დღე ციცაბო ბილიკებზე, შიმშილისგან სასოწარკვეთილ წარმართებს, სიცივესა და შიშში მყოფთ, ზავის ჩამოგდებამ მოუწიათ". ეს გამარჯვება საკვანძო მომენტი იყო უესექსის გადარჩენისათვის ბრძოლაში.

● ლონდონის ფლობამ მისი ვაჟის, ედუარდ უფროსის მეფობის ხანაში შესაძლებელი გახადა დანიელთა კონტროლირებადი ტერიტორიების დაბრუნება. ალბათ, ალფრედიც ემზადებოდა ამისთვის, მაგრამ კონტინენტიდან განუწყვეტელმა შემოსევებმა ხელი შეუშალა მიზნის მიღწევაში. სამაგიეროდ, თავდაცვით ღონისძიებებზე გაამახვილა ყურადღება. ძველი ფორტები გაამაგრა, ახლები ააშენა და ჯარი ჩააყენა. მან ჯარის რეორგანიზება მოახდინა და ფლოტი შექმნა, რათა ზღვიდან შემოჭრილებისთვის გაეწია წინააღმდეგობა. ალფრედს კარგი ურთიერთობა ჰქონდა მერსიასა და უელსთან. მისი არმია 893 წელს ჯარისკაცებით სწორედ ამ რეგიონებიდან მარაგდებოდა.

*მოამზადა*
**ლევან ინასარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა




# როგორ გადასხა მოსკოვმა საჰაერო დესანტი ირანში შეცდომით...

**30 წლის წინ საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის კინაღამ ომი დაიწყო მას შემდეგ, რაც 100-მდე საბჭოთა შვეულმფრენმა და ასეულობით მედესანტემ ავღანური ყიშლაყის ნაცვლად შეცდომით ირანული ასფალტის ქარხანა გადაწვა**



1982 წელს, როდესაც საბჭოთა არმია ავღანეთში მოჯაჰედებს გააფთრებით ებრძოდა, საბჭოთა კავშირი ავღანეთის გარდა კიდევ ერთ ომში შეიძლებოდა ჩარეულიყო.

ერთმა პატარა შეცდომამ ერთმანეთთან ომის დაწყების წინაშე დააყენა მაშინდელი საბჭოთა კავშირი და ირანი, რომელსაც თავის მხრივ სისხლისმღვრელი ომი ჰქონდა გაჩაღებული მეზობელ ერაყთან.

შეიძლება სწორედ ერაყთან ომის გამო წაუყრუა ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ იმას, რასაც, ალბათ, არც ერთი ქვეყანა არ მოითმენდა, — საკუთარი დასახლებული

**ავღანელმა ინფორმატორმა საბჭოთა სამხედრო დაზვერვას ГРУ-ს აცნობა, რომ ავღანეთ-ირანის საზღვართან მოჯაჰედების ბაზაში ოცამდე „სტრელა" და 10 ტონა ნარკოტიკი ინახებოდა...**

პუნქტის გადაწვასა და განადგურებას სხვა ქვეყნის საჰაერო დესანტის მიერ.

როგორც ჩანს, ოფიციალურ ირანს არ სურდა იმ მომენტში საბრძოლო მოქმედებების გაჩაღება ბირთვულიარაღიან მეზობელთან — საბჭოთა კავშირთან, რადგან მეორე მეზობლის, ერაყის ტანკები თეირანისკენ მიიწევდნენ.

ასეა თუ ისე, 1982 წლის გაზაფხულზე მსოფლიო ნამდვილად გადაურჩა ახალ ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებს, რომლის გაჩაღება ერთი საბჭოთა პოლკოვნიკის შეცდომამ და მისმა ჯიუტობამ გამოიწვია.

მართალია, რუსი პოლკოვნიკი ავღანეთში საბჭოთა მე-40 არმიის სარდლის მოადგილე იყო, მაგრამ არცთუ ისე დიდი ჩინისა გახლდათ, რომ სხვა სუვერენული ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრის ბრძანების უფლება ჰქონოდა. მიუხედავად ამისა, თავისი სიჯიუტითა და, ალბათ, უცოდინარობითაც 100-ზე მეტი თვითმფრინავი და შვეულმფრენი, ასევე რამდენიმე ასეული მედესანტე საერთაშორისო დონის ძალზე საზიფათო ავანტიურაში ჩაითრია, რომელიც წესით ომით უნდა დამთავრებულიყო.

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

1982 წლის გაზაფხულზე ავღანეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ქ. შინდადში მოქმედმა საბჭოთა ГРУ-ს სადაზვერვო ცენტრმა მიიღო კონფიდენციალური ინფორმაცია, რომ „სასაზღვრო სამკუთხედში" — მოჯაჰედების ბაზა რაბატ-ჯალიში მოქმედებდა საერთაშორისო ნარკობიზნესის მსხვილი ცენტრი. მოჯაჰედები ნარკოტიკების მსხვილ პარტიას (10 ტონამდე) საზღვარგარეთ გასაყიდად ამზადებდნენ, ხოლო მიღებული მოგებით სხვადასხვა შეიარაღების ყიდვას აპირებდნენ, რასაც ავღანეთში შეჭრილ საბჭოთა არმიასთან საბრძოლველად გამოიყენებდნენ.



ფართომასშტაბიანი ოპერაციის ჩატარებისთვის შვეულმფრენებიდან ერთი საპარაშუტო-სადესანტო ბატალიონის, ორი სადესანტო-მოიერიშე, ერთი მოტომსროლელი ასეულისა და ГРУ-ს სპეცდანიშნულების რაზმის დესანტირება უნდა განხორციელებულიყო

ГРУ-ს დაინტერესება ინფორმატორის ერთმა ფრაზამ გამოიწვია, — მოჯაჰედების ბაზაში ინახებოდა ოცამდე მოგრძო ყუთი, რომლებსაც მკაცრად იცავდნენ. ინფორმატორი ამტკიცებდა, რომ ყუთებში მოგრძო მილებს მოჰკრა თვალი. ГРУ-ს ანალიტიკოსებს მანამდეც ჰქონდათ ეჭვი, რომ ეგვიპტემ ავღანელ მოჯაჰედებს საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები „სტრელები" მიაწოდა, იმ ყუთებშიც, სავარაუდოდ, სწორედ ისინი ინახებოდა.

იმ დროს ავღანეთის ცაში გაბატონებული საბჭოთა ავიაციის „მოსათოკად" მოჯაჰედები გამალებით ეძებდნენ საზენიტო იარაღს და თვითდამიზნებადი „სტრელები" (რომელთა ათვისება ნაკლებად განათლებულ რიგით მოჯაჰედსაც კი შეეძლო) პირდაპირ მისწრება იყო მათთვის.

ინფორმატორის ინფორმაცია იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მაშინვე მოსკოვში, გენშტაბში გაიგზავნა, სადაც სასწრაფოდ დაგეგმეს ფართომასშტაბიანი აერომობილური ოპერაცია რაბათი-ჯალის ბაზის გასანადგურებლად.

„სასაზღვრო სამკუთხედი" სადაც ეს ბაზა იყო, სამი სახელმწიფოს — ავღანეთის, ირანისა და პაკისტანის შესაყარზე მდებარეობდა. ინფორმატორის ჩვენებით, ბაზას 60-მდე შეიარაღებული



საიდუმლო აერომობილური ოპერაციის დაწყებისას ჰაერში ერთდროულად 79 შვეულმფრენი და 38 თვითმფრინავი აიწია...

ეროვნული ბიბლიოთეკა



შვეულმფრენებიდან გადასხმულმა მედესანტეებმა მოჯაჰედების ავღანურ ბაზას შეუტიეს

მოჯაჰედი იცავდა, პერიოდულად ჩადიოდნენ მოჯაჰედთა სხვა მსხვილი რაზმებიც.

მოსკოვში გადაწყვიტეს, რომ მოჯაჰედების ბაზა გაენადგურებინათ, ხოლო „სტრელები“ ხელში ჩაეგდოთ. ინფორმაციას რომ არ გაეჟონა, საბჭოთა გენერლებმა უარი თქვეს არა მარტო ავღანელთა სამხედრო დახმარებაზე, არამედ არაფერი შეატყობინეს ავღანურ უშიშროების სამსახურებსაც კი.

გეგმის მიხედვით, 1982 წლის 5 აპრილს, გამთენიისას, მოჯაჰედების ბაზას მოულოდნელ საჰაერო დარტყმას მიაყენებდა 12 გამანადგურებელ-ბომბდამშენი Су-17, რის შემდეგ შვეულმფრენებიდან გადასხმული მედესანტეები ადგილზე ჩაატარებდნენ წმენდას.

ოპერაციისთვის შეირჩა ერთი საპარაშუტო-სადესანტო ბატალიონი, ორი სადესანტო-მოიერიშე და ერთი მოტომსროლელი ასეული, აგრეთვე, ГРУ-ს სპეცდანიშნულების რაზმი.

მებრძოლების გადასაყვანად გამოყოფილ იქნა 61 ცალი Ми-8 ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენი (მათგან ორი Ми-9 მოდიფიკაციის სახით საჰაერო-სამეთაურო პუნქტის მოვალეობას ასრულებდა). თუმცა, ამ რაოდენობის შვეულმფრენებიც არ იყო საკმარისი. შინდადის სამხედრო-საჰაერო ბაზიდან რაბათი-ჯალიმდე 412 კმ-მდე იყო, ამ მანძილის დაფარვა კი (წინა და უკანა მიმართულებით) Ми-8 ტიპის შვეულმფრენებს არ შეეძლოთ. აუცილებელი იყო მათი საწვავის მარაგის შევსება.

ამისათვის დამატებით გამოიყო 18 მძიმე სატრანსპორტო შვეულმფრენი Ми-6. მათგან 12-ში საწვავის ცისტერნები იყო დამონტაჟებული და ისინი მფრინავი ტანკერების როლს ასრულებდნენ. სამ Ми-6-ს კავშირგაბმულობისა და სარემონტო საშუალებები გადაჰქონდა, ორ „მფრინავ ძროხაში“ (ასე ეძახდნენ Ми-6-ს სიდიდის გამო) მედესანტეთა მძიმე შეიარაღება და საბრძოლო საჭურველი ეწყო, ერთი კი საველე ჰოსპიტლით იყო დატვირთული.

რაბათ-ჯალიმდე 47 კმ-ში მოეწყო საიდუმლო საცავი, სადაც მანამდე Ми-6-ებმა საწვავის მარაგი ჩაიტანეს რეზინის აუზებით.

სწორედ საწვავის უკმარისობა გახდა იმის მიზეზი, რომ ასეთი მასშტაბის აერომობილურ ოპერაციაში არ მონაწილეობდნენ Ми-24 ტიპის დამრტყმელი შვეულმფრენები. ოპერაციის დამგეგმავებმა მფრინავ „კროკოდილებზე“ უარი თქვეს, რადგან მათი მოქმედების რადიუსი შედარებით მცირე იყო და მხოლოდ მათთვის კიდევ ერთი საწვავით გასაწყობი პუნქტის მოწყობა პრობლემას წარმოადგენდა.

საწვავის ხარჯის შემცირების მიზეზით სატრანსპორტო Ми-8-ებიდან ტყვიამფრქვევებიც კი დახსნეს. ყველა შემთხვევისთვის შვეულმფრენების ფიუზელაჟებზე წითელი ვარსკვლავები და საბორტე ნომრები მწვანედ გადაღებეს.

პირველად ავღანეთის ომის ისტორიაში საშვეულმფრენო დესანტის საჰაერო მხარდაჭერისთვის МиГ-23 ტიპის 8 ავიაგამანადგურებელი გამოყვეს, იმის გათვალისწინებით, რომ ოპერაცია



საბჭოთა მედესანტეებმა ირანული ასფალტის ქარხანას ცეცხლი ყველა იარაღიდან გაუხსნეს



ირანულმა „ფანტომებმა“ მათი ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრილ საბჭოთა შვეულმფრენებსა და მედესანტეებს რაკეტები ესროლეს

პაკისტანისა და ირანის საზღვრის ახლოს ტარდებოდა.

ოპერაციაში მონაწილეობისთვის სულ 79 შვეულმფრენი და 38 თვითმფრინავი გამოიყო. ოპერაციის უშუალო მეთაურობა კი დაევალა საბჭოთა მე-40 არმიის სარდლის მოადგილეს, პოლკოვნიკ აპრელკინს, რომელმაც, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, საბედისწერო როლი ითამაშა.

ოპერაციის წინადღეს, 4 აპრილს უზარმაზარი საჰაერო არმადა თავდასხმის ობიექტიდან 47 კმ-ში დროებით გაკეთებულ შვეულდრომზე გადაფრინდა. მთელი ღამე ქაჩავდნენ ხელით საწვავს შვეულმფრენების ავზებში და ოპერაციისთვის ამზადებდნენ.

5 აპრილს, დილაუთენია, გამანადგურებელ-ბომბდამშენების Су-17М3-ების პირველმა წყვილმა მიზნის მოსანიშნად მანათობელი ბომბები ჩამოყარეს, რის შემდეგაც რამდენიმე წუთის განმავლობაში დანარჩენმა თვითმფრინავებმა დაბომბეს სამიზნე.

ამასობაში დესანტირების ადგილს ასამდე შვეულმფრენი უახლოვდებოდა და ორიენტაციისთვის თვითმფრინავების მიერ ჩამოყრილ მანათობელ ბომბებს იყენებდა.

მეწინავე შვეულმფრენში მჯდომმა ოპერაციის უშუალო მეთაურმა პოლკოვნიკმა აპრელკინმა არ იცოდა, რომ თვითმფრინავებმა მანათობელი ბომბები თავდასხმის ობიექტიდან რამდენიმე ასეულ მეტრში შეცდომით ჩამოყარეს. ამას დაემატა ქარი, რომელმაც პარაშუტებიანი ბომბები მოსაზღვრე ირანის საჰაერო სივრცისკენ წაიღო.

პოლკოვნიკმა მეწინავე შვეულმფრენის ეკიპაჟს ამ მიმართულებით გაფრენა უბრძანა, თუმცა პილოტები უკვე ეჭვობდნენ, რომ მარშრუტი აერიათ, მით უმეტეს, როდესაც ქვემოთ ასფალტირებული გზა და ავტობუსი დაინახეს, რომლის მგზავრები შეშფოთებას არ გამოხატავდნენ (არადა, ავღანელები, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა არმია მხოლოდ ორი წლის წინ იყო შეჭრილი მათ სამშობლოში, შვეულმფრენების დანახვისთანავე თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ, რადგან იცოდნენ, დაბომბვა არ ასცდებოდათ).

პილოტები უშედეგოდ უმტკიცებდნენ ჯიუტ პოლკოვნიკს საბედისწერო შეცდომას. მათ არგუმენტს ამაგრებდა ხმელეთზე დანახული ხის სატელეგრაფო ბოძები, რომელთა მსგავსი ავღანეთში აღარ მოიძებნებოდა, რადგან ადგილობრივმა მოსახლეობამ ისინი შეშად დაჭრა. ყველაფერი წინ გამოჩენილმა შენობამ გადაწყვიტა, რომელსაც სადარაჯო კოშკებიც კი ჰქონდა. იგი მართლაც ჰგავდა ინფორმატორის მიერ აღწერილ მოჯაჰედების ბაზას.

პოლკოვნიკმა დესანტირების დაწყების ბრძანება გასცა. ასამდე შვეულმფრენი ერთმანეთისგან 200-300 მ-ში დაჯდა და დესანტირება 17 წთ-ს გაგრძელდა.

დაიწყო შეტევა შენობაზე. მედესანტეები ავტომატებით, ტყვიამფრქვევებით, ყუმბარსატყორცნებითა და ნაღმსატყორცნებით დაუნდობლად უშენდნენ ცეცხლს სამიზნეს, რის შემდეგ ობიექტზე ГРУ-ს სპეცრაზმი შეიჭრა და... მათ



ირანის ტერიტორიიდან გამოქცეული შვეულმფრენების ეკიპაჟებს მედესანტეების ნაწილი ირანში „დაავიწყდათ“ და მათ ფეხით მოუხდათ ავღანეთის საზღვრისკენ გაქცევა

ელექტრონული ბიბლიოთეკა



**სანამ საბჭოთა მედესანტეები მეზობელ ირანში ასფალტის ქარხანას ანადგურებდნენ, რაბათ-ჯალას ბაზიდან მოჯაჰედებმა მოასწრეს ნარკოტიკებისა და „სტრელების“ გატანა და თავის შველა...**

თვალწინ განადგურებული ირანული ასფალტის ქარხანა გადაიშალა!

საბედნიეროდ, ქარხანაში ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული მუშაობა და არავინ დაღუპულა. სანამ რუსი მედესანტეები გონს მოეგებოდნენ, სადაზვერვო თვითმფრინავის ეკიპაჟმა რადიოეთერში გადასცა: „თქვენ ირანის ტერიტორიის სიღრმეში 12 კმ-ზე, დასახლებულ პუნქტ ჰორმეკთან იმყოფებით. სწრაფად მოახდინეთ დესანტის ევაკუაცია და იქაურობა დატოვეთ“.

ამხელა საჰაერო არმადის ხელახლა ჰაერში აყვანა არც ისე ადვილი იყო, რადგან Ми-6 ტიპის მფრინავი ტანკერებიდან სადესანტო Ми-8-ების საწვავით გაწყობა მიმდინარეობდა.

ამ დროს რამდენიმე ჰექტარზე მიმობნეულ შვეულმფრენებსა და მედესანტეებს დაბალ სიმაღლეზე ორმა რეაქტიულმა თვითმფრინავმა გადაუქროლა. მედესანტეებმა თავდაპირველად მისალმების ნიშნად ხელიც კი დაუქნიეს, რადგან მათი საჰაერო მცველები МиГ-23 ტიპის გამანადგურებლები ეგონათ. თუმცა ორიოდ წუთში თვითმფრინავები შემოტრიალდნენ და მიწაზე მჯდომი შვეულმფრენებისკენ ორი რაკეტა გაუშვეს. როგორც აღმოჩნდა, ისინი საბჭოთა МиГ-23-ები კი არა, ირანის სამხედრო-საჰაერო ძალების ამერიკული წარმოების F-4 „ფანტომები“ იყვნენ. ორივე რაკეტა AIM-9 Sidewinder ტიპის იყო, მაგრამ ისინი „ჰაერი-ჰაერი“ კლასს მიეკუთვნებოდნენ და მიწაზე მდგომ შვეულმფრენებს ბევრი ვერაფერი დააკლეს.

სამაგიეროდ, ირანული „ფანტომების“ მეორე წყვილმა უფრო გონივრული გადაწყვეტილება მიიღო და საბჭოთა შვეულმფრენებს ქვემეხების ჯერი გადაატარა. 20 მმ-იანმა ჭურვებმა ორი Ми-8 დააზიანა და ასაფრენად გამოუსადეგარი გახადა, რის გამოც ისინი თავად მედესანტეებმა ააფეთქეს, რათა ირანელებს ხელში არ ჩავარდნოდათ.

ჰაერში საბჭოთა МиГ-23-ებიც ტრიალებდნენ და კუდზეც „დაასხდნენ“ ირანულ „ფანტომებს“, მაგრამ იმის გამო, რომ მოსკოვიდან ბრძანება არ ჰქონდათ, პილოტებმა ვერ გაბედეს ცეცხლის გახსნა.

მფრინავებისგან განსხვავებით, მედესანტეებს ბრძანება არ სჭირდებოდათ, — ისინი, რაც კი ხელთ ჰქონდათ, ყველაფერს ესროდნენ დაბალ სიმაღლეზე მფრენ „ფანტომებს“ და ერთი დააზიანეს კიდეც.

ამასობაში ბრძოლის ადგილისკენ უკვე ირანელთა მოტოქვეითი დანაყოფი ტანკებითა და ჯავშანტრანსპორტიორებით მიიწევდა და მათ მუხლუხებს ნამდვილად ვეღარ გადაურჩებოდნენ საბჭოთა შვეულმფრენები და მედესანტეები, გაქცევით რომ არ ეშველათ თავისთვის. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ შვეულმფრენების ეკიპაჟებს მიწაზე მედესანტეების ბატალიონი დარჩათ და მედესანტეთა ნაწილს ფეხით მოუწია სამსაათიანი უკან დახევამ „ფანტომების“ ცეცხლის თანხლებით, სანამ ავღანეთის ტერიტორიას არ შეაფარეს თავი.

დილის 6 სთ-ზე დაწყებული გრანდიოზული აერომობილური ოპერაცია შუადღისთვის დასრულდა ირანული ასფალტის ქარხნის განადგურებითა და ორი შვეულმფრენის დაკარგვით, თუმცა რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, უმსხვერპლოდ. თუმცა, ამით ის დღე არ დამთავრებულა. ირანის ტერიტორიიდან კუდამოძუებული საბჭოთა მედესანტეები ავღანეთის ტერიტორიაზე ისევ შეიკრიბნენ და დღის 3 სთ-ისთვის ახალი ოპერაცია წამოიწყეს მოჯაჰედების ნამდვილი ბაზის ასაღებად, მაგრამ მოულოდნელობის ეფექტი უკვე დაკარგული იყო. მოჯაჰედებმა მოასწრეს ნარკოტიკებისა და იარაღის დიდი ნაწილის გატანა. ბაზაში საბჭოთა მედესანტეებს მხოლოდ 1500 კგ-მდე ნარკოტიკული მასალა დახვდათ, მაგრამ არც ერთი „სტრელა“...

საბოლოოდ ეს საოცარი სამხედრო ისტორია იმით დამთავრდა, რომ მოსკოვმა ოფიციალურად მოუხადა ბოდიში თეირანს და აუნაზღაურა მიყენებული ზარალიც.

**ირაკლი ალადაშვილი**



**უზარმაზარი ხარჯები წყალში გადაყრილი აღმოჩნდა, ერთი საბჭოთა პოლკოვნიკის ჯიუტობის გამო...**

# სტალონეს „კობრას“ ფინური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი



## Jati-Matic – ფინური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი, რომელსაც თვით სტალონეს მიერ გაკეთებულმა რეკლამამაც არ უშველა...

1986 წელს მსოფლიოს კინოთეატრები დაიპყრო ჰოლივუდის მორიგმა მძაფრსიუჟეტიანმა ბლოკბასტერმა „Cobra“-მ, რომლის მთავარი გმირი, ლეიტენანტი მარიონ კობრეტი, მოწინააღმდეგეს ერთმანეთის მიყოლებით უცნაური ფორმის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევით ანადგურებდა.

მთავარი გმირის როლს „რემბო“, სილვესტერ სტალონე ასრულებდა, ხოლო უცნაური ფორმის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი კი ფინური წარმოების Jati-Matic-ი იყო.

თავიდანვე ვიტყვით, რომ თვით სტალონეს მიერ თითქმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით „გაპიარებამაც“ არ უშველა ამ ფინურ იარაღს და ის ფართოდ არ გავრცელებულა, არადა, Jati-Matic-ი მაშინაც და ახლაც გამოირჩევა უნიკალური კონსტრუქციით და მეტ დაფასებას იმსახურებს.

Jati-Matic-ს რამდენიმე ტექნიკური თავისებურება აქვს, რომლებიც მას სხვა პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებისგან გამოარჩევს, თუმცა, ჯობს, მივყვეთ თანამიმდევრობით.

პირველი, ძირითადი თავისებურება დაპატენტებულია. საკეტი გადაადგილდება არა ლულის ღერძის გასწვრივ, არამედ ზემოთ, განსაზღვრული კუთხით. ამ ტექნიკური გადაწყვეტილების წყალობით, ავტომატური ჯერებით სროლისას ლულის პირი ზემოთ ნაკლებად „ხტის“, როგორც სხვა ავტომატურ იარაღში, რაც, თავის მხრივ, ზრდის სროლის სიზუსტეს ავტომატურ რეჟიმში სროლისას.

მეორე — საკეტის დახრილი კუთხით განთავსებამ კონსტრუქტორებს შესაძლებლობა მისცა იარაღის პისტოლეტის ხელის მოსაკიდი ზემოთ აეწიათ ისე, რომ მსროლელის ხელის მტევანი გათანაბრებოდა პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის ლულის ღერძს. ამის წყალობით ხელის მტევანი უკეთესად „იღებს“ და აკომპენსირებს გასროლისას წარმოქმნილ უკუცემის მომენტს, რაც კიდევ უფრო ზრდის სროლის სიზუსტეს.

მესამე — ლულის ღერძის მიმართ კუთხით განთავსებულმა ტელესკოპურმა საკეტმა შეამცირა იარაღის სიგრძე. 375 მმ მთლიანი სიგრძის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევში 203 მმ სიგრძის ლულა თავსდება, რაც Jati-Matic-ს ერთ-ერთ კომპაქტურ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევად აქცევს.

მეოთხე — ფინურ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევში ორიგინალურადაა გადაწყვეტილი გადასატენისა და წინა ხელის მოსაკიდის ფუნქციები, — ფაქტობრივად, ისინი ერთმანეთშია შერწყმული. მჭიდის წინ, ლულის ქვემოთ, და-

ეროვნული ბიბლიოთეკა




კეცილია გადამტენი, რომლის გაშლის შემდეგაც იგი წინა ხელის მოსაკიდის როლსაც ასრულებს. გადატენა ამ ხელის მოსაკიდის უკან-წინ მოძრაობით (დაახლოებით ისე, როგორც დგუშიან სანადირო თოფებში) ხდება. დაკეცილ მდგომარეობაში იგი უკუდამცველის როლს ასრულებს.

მეხუთე — პისტოლეტ-ტყვიამფრქვევს არა აქვს ცეცხლის რეჟიმის გადამყვანი. სასხლეტზე თითის ნაკლები ძალით მოდებისას ერთი გასროლა ხდება, ხოლო ბოლომდე დაჭერისას კი იარაღი ავტომატურ რეჟიმში ისვრის.

მეექვსე — Jati-Matic-I, ისევე როგორც პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის უმრავლესობა, საკეტის უკანა მდგომარეობიდან ისვრის, ანუ გადატენისას საკეტი უკანა, უკიდურეს მდგომარეობაში რჩება (შედარებისთვის — „კალაშნიკოვის“ გადატენისას საკეტი წინა მდგომარეობაში ბრუნდება). ასეთ დროს სხვა პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებს ერთი არცთუ უმნიშვნელო პრობლემა უჩნდებათ: უკანა მდგომარეობაში არსებული საკეტის გამო ღია რჩება მასრების ექსტრაქციისთვის განკუთვნილი გვერდითი ფანჯარა, საიდანაც ჭუჭყმა შეიძლება იარაღის მექანიზმში შეაღწიოს და მისი მუშაობა შეაფერხოს. წარმოიდგინეთ, ტალახში მცოცავი მებრძოლი, რომლის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი საბრძოლო მზადყოფნაშია. საკეტი უკანა მდგომარეობაშია, ხოლო ექსტრაქციის ღია ფანჯარა კი ტალახით ივსება.

მართალია, ფინურ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევში გადატენის შემდეგ საკეტი უკანა შეყენებულ მდგომარეობაში რჩება, მაგრამ მასრების საექსტრაციო ფანჯარა მაინც დახურულია, თანაც საკეტის მეტალზე წითლად ამოტვიფრულია ინგლისური სიტყვა — FIRE, რაც იმას ნიშნავს, რომ იარაღი მზადაა ცეცხლის გასახსნელად.

მეშვიდე — იარაღში



Jati-Matic-ის ავტომატიკის ორიგინალური სქემა დაპატენტებულია

**ჩვენი დოსიე:** ფინური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი Jati-Matic-ი მჭიდის გარეშე მხოლოდ 1,65 კგ-ს იწონის, მჭიდით კი 2,2 კგ-ს. მჭიდში 9X19 მმ Para კალიბრის 40 ვაზნა ეტევა. პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის მთლიანი სიგრძე 375 მმ-ია, ლულის კი 203 მმ-ი. იარაღის სროლის ტემპი 600-650 გასროლაა/წთ-ში, ხოლო სროლის ეფექტური მანძილი კი 100 მ-მდე

ფინური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის Jati-Matic-ის არასრული დაშლა



ფართოდაა გამოყენებული მსუბუქი და გამძლე მასალები. მათ შორის — დაშტამპული ფოლადი, გამძლე პლასტმასა და ალუმინი, რის გამოც 40-ვაზნიანი მჭიდით პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი მხოლოდ 2,2 კგ-ს იწონის, ხოლო უმჭიდოდ კი, როგორც დიდი პისტოლეტი, სულ რაღაც 1,65 კგ-ს (მაგალითად, რუსული „სტეჩკინის“ ტიპის ავტომატური პისტოლეტის მასა უმჭიდოდ 1220 გ-ია).

მერვე — ფინური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის არასრული დაშლა-აწყობა ყოველგვარი ინსტრუმენტების გარეშე ხდება, რაც ძალიან მოსახერხებელია მისი საბრძოლო ექსპლუატაციის დროს.

მეცხრე — Jati-Matic-ს არ უყენდება კონდახი. კონსტრუქტორების მტკიცებით, დახრილად განთავსებული საკეტი, მსროლელის ხელის მტევანის ლულის ღერძის გასწვრივ მოთავსება და წინა ხელის მოსაკიდი სრულიად საკმარისია ავტომატური ჯერით სროლისას წარმოქმნილი უკუცემის იმპულსების ისე გასანეიტრალებლად, რომ სროლის სიზუსტე მაღალი დარჩეს.



მორიგ ჰოლივუდურ ბლოკბასტერში „წითელი განთიადი“ (RED DAWN) Jati-Matic-ი უკვე უარყოფით გმირს, საბჭოთა პოლკოვნიკ სტრელნიკოვს „ემსახურება“

ფინური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის რვავე თავისებურება მართლაც ძალიან საინტერესოა, თუმცა, მეცხრეში კონსტრუქტორებს ნაკლებად დავეთანხმებით. ბევრი სხვა იარაღისგან განსხვავებით, Jati-Matic-ის გამოცდის შესაძლებლობა „არსენალს“ დღემდე არ მიეცა (თუნდაც იმიტომ, რომ მათი რიცხვი მსოფლიოს მასშტაბითაც კი ძალიან მცირეა და საქართველოში სავარაუდოდ არც ერთი ფინური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი არ მოიპოვება), თუმცა, ინტერნეტით გავრცელებულ ვიდეორგოლებში ნათლად ჩანს, რომ ავტომატურ რეჟიმში სროლისას Jati-Matic-ის ლულის პირი მაინც მნიშვნელოვნად „ხტის“, რაც, ბუნებრივია, უარყოფითად იმოქმედებს სროლის სიზუსტეზე. ამით იმის თქმა გვსურს, რომ სრულფასოვან კონდახს ავტომატურ რეჟიმში სროლისას ვერაფერი შეცვლის, რაც დაადასტურა კიდეც ამ ფინური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის შემდგომმა ისტორიამ.

ფინელი კონსტრუქტორის, იალი ტიმაარის მიერ კონსტრუირებული უკონდახო Jati-Matic 1980-დან 1987 წლამდე იწარმოებოდა, რის შემდეგაც მისი გამოშვება შეწყდა, რადგან ნათელი გახდა მისი ექსპორტირების უპერსპექტივობა.

1995 წელს ერთ-ერთმა ფინურმა ფირმამ აღადგინა Jati-Matic-ის წარმოება GG-95 PDW-ის სახელწოდებით და მას დასაკეცი კონდახი დაუყენა, რამაც მართლაც გაზარდა სროლის სიზუსტე. Jati-Matic-ის ამ მოდერნიზებულ ვარიანტს ცნობილი ჩინური საიარაღო ფირმა Norinco სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურებს სთავაზობს.

**ირაკლი ალადაშვილი**




მოდერნიზებულ GG-95 PDW-ს Jati-Matic-ისგან განსხვავებით დასაკეცი კონდახი მაინც დაუყენეს

არსენალი



# Jati-Matic

ISSN 1987 - 5061
9 771987 506007